



୬. ପ୍ର.

ଗୀତମାନଦୀ

ଏକାଳୀ ଉତ୍ସବମହିନୀ

(ମେ-XIX ଶାଖାଜୀବି)



ଠ ଓ ଠ ଠ ଠ

ଅଧ୍ୟୟେତ୍ରାନ୍ତମହିନୀପତ୍ର ଶିଳ୍ପଶିଳ୍ପିରଙ୍ଗା (ହାନ୍ଦୁ ପ୍ରକାଶକୁ ପ୍ରକାଶିତ), ବିଶ୍ୱାଳୋଳି ପ୍ରକାଶିତ,
1906

F 9(43), 18^o

გერმანიის

ახალი ისტორიაზან

(გვ-XIX საუკუნე)

F 5.096
3



თ ვ ი დ ი ს ი

ელექტრომშეცდავი „გურენდერგი“ (გამ. „კავკაზეთი კრიი“), სისახლის ქუჩა.
1905

პოლიციური პარტიები გერმანიში¹⁾

ვინც ამ წერილებში ძებნას დაუწყებს პამფლეტს, დაწერილს ამა თუ იმ პარტიის საღიღებლათ, ამა თუ იმ მიმართულების თაყვანის საცემლათ, შესცდება. ჩვენი აზრით, სანამ ვინმე საერთო მოძრაობის ერთ-ერთ მიმართულებას მიეკუთხებოდეს, მანამდის საჭიროა მან მოელი მოძრაობა ყველა მისი მხარეებით გადააღვალიეროს, შეისწავლოს, შეითვისოს, რომ შემდეგ შესაფერ აღვილზე შესაფერათ მოეწყოს. მიღრეკილება მხოლოთ გრძნობებზე, გულ-ჩვილობაზე, სიმ-პატია-ანტიპატიაზე აშენებული ვერაფერი თავდებია საქმის ცოდნისა და საზოგადო მოღვაწეობისა. ეს კიდევ გამოსადეგია საშინაო-სამეცნიერო ურთიერთობაში, მაგრამ საქვეყნო, სინალხო საქმეში ამ იარაღით გამოსვლა უკველი საბუთია ჩან-მოკლეობისა და სამარცხვინო დამარცხებისა. ერთად-ერთი ცოდნა, გაგება და სწავლა წარმოადგენს იმ უტყუარ საძირკველს და იმავე დროს იარაღს, რომლითაც უნდა გამაგრადეს და რომლითაც უნდა შეიარაღდეს ესა თუ ის მიმართულება. აი ასეთი მოსაზრებით ვხელმძღვანელობთ, როცა ამ წერილის ვწერთ. ჩვენ გვსურს გერმანიის დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებას ფარდა ავხადოთ და ქართველი მკითხველისათვის დასანახი გავხადოთ. რა არის დღევანდელი ცხოვრება? ის არის მხოლოთ ერთი რგოლი იმ გრძელი ჯაჭვისა, რომელსაც ისტორია ეწოდება და რომლის პირველი და უკანასკნელი რგოლი შორეულ წარსულში და უცნობ

1) ეს წერილი დაბეჭდა „ივერიაში“ 1896 წ.

მომავალშია გადაკარგული. თვითეულ მათგანს იმდენი მხიჭვნელობა აქვს, რამდენათაც ისინი ერთი მეორეზეა აცმული და ერთათ არიან. მაშინადამე, ღლევანდელი ცხოვრების გაგზბა შესაძლებელია არა თავის-თავათ ცალკე აღებული, არამედ როგორც წარსულის შედეგი და მომავალის მიზეზი. ეს კადევ ცოტაა: აწმყო არის არა მარტო ხიდი წარსულსა და მომავალს შორის გადებული, არამედ მოედანიც, სადაც ევ წარსული და მომავალი ერთმანეთს ებრძიან. ამნაირათ, ღლევანდელი ცხოვრება შესდგება სამი ნაწილისაგან: წარსული, აწმყო და მომავალი. პოლიტიკური ენით ასე ითქმის: უკან წასვლა, გაჩერება და წინ წასვლა—ანუ: რეაქცია, კონსერვატიზმი და პროგრესი. ამათი შეჯახება წარმოშობს ისტორიას. ამით კიდევ ბევრი არაფერი თქმულა. საქმე იმაშია, რომ ამ უდაბურ ტყეში გზა გავიგნოთ, შევიტყოთ, რომელი მიმდინარეობა რომელ მათგანს ეკუთვნის. ადვილათ შესაძლებელია პროგრესიული მოვლენა რეაქციონურით მივიღოთ. რომ ეს ასე არ დატრიალდეს, საჭიროა ვიცოდეთ: რას ქვია წარსული, რას ქვია აწმყო, რას ქვია მომავალი. ის ეხლა ჩენ თვალ წინ გადაიშალა ცხოვრება მთელი თავისი მოძრაობით, მთელი თავისი დაუდგრომლობით და ბობოქრობით. ევ აღელვებული ზღვაა, აზვირთებული ტალღებია, რამაც მოსვენება, დაწნარება არ იცის. მაშ შევცუროთ შიგ, რომ შემდეგისევ ნაპირას გამოვიდეთ, ხელ-ახალი ენერგია მოვიკრიბოთ და უკანვე დავბრუნდეთ. ცურვის სწავლა მარტო ცურვით. არის შესაძლებელი. გერმანიის დღევანდელი წყობილების გასაგებათ, ცოტა უკან დავიწიოთ და მერე ნელ-ნელა წინ. გამოვყეთ, გადავაბათ წარსული, აწმყო და მომავალი ერთმანეთს. უკეთ რომ ვთქვათ, მათ შორის უკვე საქმით არსებული კავშირი გონებით აღმოვაჩინოთ.

რას შეიცავს პოლიტიკური პარტია? რას ნიშავს პარტია. აში პოლიტიკა და პოლიტიკაში პარტია? ქართველი კაცი პარტიობას ძალიან ცუდი თვეალით უცქერის. მისი აზრით

პარტიობა ეს დაუგრომელი და მოუსვენარი კაცის გამოგონილია, ეს ქვეყანას რევს, მეზობელ-ხათესავთა შორის შურსა თესს და ამით პირად სარგებლობას ეძიებს. შეიძლება ჩვენებური პარტიობა—თუ კი ეს საზოგადოთ არსებობს—მართლაც ასეთი იყოს. მაგრამ ევროპიული პარტიობა-კი სულ სხვა სახისაა. ამას ისეთი ღრმა ფესვები აქვს, ისეთი ბუნებრივი და აუცილებელი მოვლენაა, რომ მისი მოსპობა და შეჩერება თვითონ ცხოვრების მოსპობასა და შეჩერებას მოასწავებს. რომ ეს ასეა—ამას დავინახავთ მისი წარმოშობის საზოგადო მიზეზებისაგან.

პოლიტიკურ პარტიათა არსებობის საზოგადო მიზეზები.

1789 წ. მღვდელმა სიესმა პარიჟის საერო ყრილობაში თავისი შესანიშნავი სიტყვა ასე დაიწყო: „რა არის მესამე წოდება?—არაფერი. რა უნდა იყოს იგი?—ყველაფერი“, და მით მომავალი ხანის საიდუმლოება ქვეყანას აუწყა. ვის უწოდებს ის მესამე წოდებას? მაშინ მთელი ერი დაყოფილი იყო სამათ: თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და ხალხი. ის ეს ხალხია მესამე წოდება, თუმცა, როგორც შემდეგ ისტორიამ დაგვანახა, ეს მესამე წოდება თავის იგებულებაში მეოთხე წოდებას (პროლეტარიატს) ატარებდა. 64 წლის შემდეგ ოგიუსტენ ტიერი სწერს მესამე წოდების ისტორიას და პირველსავე გვერდზე ასე იწყებს: «მესამე წოდება დღეს საფრანგეთში აღარ არსებობს. როგორც საჭით, ისე სახელით ის 1789 წლის დიდ სოციალურ განახლებაში გაჰქირდა. მაგრამ ამ მესამემ და უკანასკნელ წოდებამ ისეთი როლი ითამაშა, რის სიღიღე დიდხანს დაფარული იყო იდამიანთათვის და მხოლოდ დღეს ყველასათვის აშკარაა. მისი ისტორია არის ჩვენი სამოქალაქო განვითარების და წინსვლის ისტორია. მან შესცვალა ძველი არეული ზე-ჩვეულებანი, კანონები და პირობები, რაიცა დანგრეულ რომება გვიანდერდა და მათ მაგიერ გაამეფა.

დღევანდელი რიგიანობა, ერთობა და თავისუფლება. ამ გძელი ხნის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ნელ-ნელა გალ-რომაელთა, გალ-ფრანგთა და ბოლოს ფრანგთა და-ჩაგრული და უმდაბლესი წოდება იწევს მაღლა და ხელთ იგდებს პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ უფლებებს. ამ ძლევა-მოსილ მსვლელობამ თან და თან დაანგრია ყოველ ნაირი ძალ-მომრეობითი და უსამართლო უთანასწორობა: პატრონი და მონა, გამარჯვებული და დამარცხებული, ბატონი და ყმა და მათ ალაგას იყვანა ერთი ხალხი, ერთი ყველასათვის კანონი, ერთი თავისუფალი და ბატონი ერი“.

ამნაირათ, ამ მესამე წოდების მოძრაობა— დღევანდელი ცივილიზაციის მოძრაობაა. მისი იღორძინება---დღევანდელი ურთიერთობებს იღორძინებაა. რანაირათ იმოძრავა მესამე წოდებამ? რაში გამოიხატა ეს პროცესი?

საშუალო საუკუნოებში თვითეული ხალხი დაყოფილია რამდენიმე ნაწილათ. თვითეულ ნაწილს ფლობს საკუთარი მთავარი. სამთავროს შეადგენს სოფელთა და ხეობათა ჯგუფი, თვითეული ამათგანი ეკვემდებარება საკუთარ ბატონს. ამ სახით, საბატონოთა კრება შეადგენს სამთავროს, ხოლო სამთავროთა კრება—სამეფოს. მეფე სახელათ არსებობს, მაგრამ საქმით ის მთავარს არ აღემატება. Roi de France—მეფე საფრანგეთისა— მხოლოდ ტიტულია, უფლება კი იმდენიაქვს, რამდენიც ბურგონდის, გინდ ბრეტონის მთავარს. ის პირველია თანასწორთა შორის. როცა მთავრები შეიყრებიან, მეფე თავმჯდომარეობს, ხოლო დამოუკიდებელ სამეფო პოლიტიკას ის არ აწარმოებს. ვისაც მეტი მამული აქვს, მას მეტი პური, ღვინო, ხორცი, ე. ი. მეტი საჭმელ-სამელი აქვს და მაშასა-დამე მეტი ხალხის შენახვა შეუძლია; გერმანიის ერთ მებატონის ოჯახში ყოველ-დღე ოცდა ათი ათასი კაცი სადილობდა, სამაგიეროთ ის ისე გაძლიერებული იყო, რომ მეფეს გინდ გადააყენებდა და გინდ დაამტკიცებდა, რისთვისაც ეწოდა Koniqmacher—მეფის მკეთებელი. მეფე მხოლოდ ერთი დი-

დი მემამულება და მეტი არაფერი. ასეთ დანაწილებაში, რასა-
კვირველია, ნაციონალური იდეა, ნაციონალური თვით-ცნო-
ბიერება და თვით ნაციაც არ არსებობს. ყველა კმაყოფილდე-
ბა თავის ოჯახისა და კუთხის ნაწირმოებით. მას არაფერი არ
აიძულებს მიმოსვლის გაცნობ-განვითარებისათვის. შრომის
განაწილება თითქმის არ არსებობს. ამიტომ თვითეული იცავს
თავისი კუთხის ინტერესებს. აქ აღამიანის გონება ვიწროთ
შემოფარგლულია, მთელი მისი აზროვნება მის სოფლის საზღ-
ვარს არ გასცილდება. მთელი ქვეყანა—ეს მისი სოფელია, მი-
სი სოფელი—ეს მთელი ქვეყანაა. (რუსები ქვეყანას და სოფელს
ერთ და იმავე სახელს უწოდებენ—მირა).

ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა—აი
ამ ხანის საზოგადო ხასიათი. ასეთ პირობებში ომის დროს
მებატონეს შეუძლია მთავარს არ მიემაროს და მთავარი მე-
ფეს. ამის გამო მეფე იძულებულია სათაობიროთ მთავართა
და მებატონეთა კრება მოიწვიოს და დახმარება თხოვოს. აქ
ის ან უარს, ან პირობას მიიღებს. ისევე იქცევა მთავარი ხელ-
ქვეით მებატონეთა მიმართ. რადგანაც ბატონები ორ ნაირია
—საერო და სასულიერო—ამისათვის კრებაზე ორივე წოდების
წარმომადგენელნი ესწრებიან. ხოლო მე-XIII—XIV საუკუ-
ნოებიდან, როცა ქალაქები ცოტაოდნათ გაიზარდენ, კრებაზე
ჰოქალაქეთა ანუ ბურჟუათა (ბურჟუა ნიშნავს მოქალაქეს,
სიტყვა Bourg—პატარა ქალაქი, დაბა) წარმომადგენელ-
ნიც მოდიან. უკანასკნელთ ეს პირველიათ არ მოსწონ-
დათ: ხარჯი მოგვდის და დროც გვეკარგებაო. ასე რომ მე-
უემ განსაკუთრებითი კანონი გამოსცა: ის ქალაქი, რომელიც
თავის წარმომადგენელთ არ გამოგზავნის, ჯარიმას გადაიხ-
დისო. ეს დიდათ საყურადღებო იყო მეფისათვის, რადგანაც
ქალაქისაგან გადასახადს ვერ აიღებდა მოქალაქეთა ნება დაურ-
თველათ. კრებაზე ¹⁾ თვითეული წარმომადგენელი მხოლოთ

¹⁾ ასეთ კრებას საფრანგებში ერქვა ორი სახელი: სამთავროს—
Etats provinciaux, სამეფო—etats généraux, გერმანიაში—Landtag და

თავის კუთხის სარგებლობას იცავდა. ბატონს სახეში ჰქონდა თავისი საბატონო, მთავარს — სამთავრო, და მოქალაქეს — ქალაქი. ეს ვიწრო, პროვინციალური პარტიობაა. თუ მათი ინტერესი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა, — განაჩენიც ვერ შედგებოდა. ამ შემთხვევაში იწყება ომი და ძლიერი იმარჯვებს. ეს — ლონის სამართალია.

ამნაირათ ხალხის დანაწილება ეკონომიკურათ, პოლიტიკურათ, იურიდიულათ და ნაციონალურათ — აი ამ ხანის დახასიათება. ნაციონალური სახელმწიფო არ არსებობს.

ვაჭრობა და აღებ-მიცემობა ნელ-ნელა გაძლიერდა. რადგანაც ხმელეთის გზები უხერხეული იყო, ამრომნავოსნობა დაედგა საფუძვლათ სავაჭრო მიმოსვლას. ქალაქები შენდება წყლის პირის. ქალაქის უახლოესი და საიმედო ბაზარია ის სოფლები, რომელნიც მას აკრავენ. ამნაირათ, სოფელსა და ქალაქ შორის ჩნდება შრომის განაწილება და ნაშრომის გაცვლა-გამოცვლა; რაც მეტი ტერიტორია აკრავს ქალაქს, მით მეტი სააღებ-მიცემო ასპარეზი აქვს. აქედან დაიბადა ქალაქთა შორის შური და განხეთქილება. საფრანგეთში გამოდის კანონები, რომლის ძალით ერთ ქალაქს ეკრძალვის თავისი საქონელი მეორე ქალაქის საზღვრებში გასაყიდათ გაიტანოს. რაკი ბაზარი ვიწროა, მოვაჭრემაც წინდაწინ იცის რას გაყიდის და რას იყიდის. თუ ვაჭართა რიცხვი გამრავლდა, მაშინ მათ შორის მეტოქეობა იმართება და სუსტი იჩიგრება. აი ამას წინაღმდეგ შემუშავდა ამჭრული წესები. აქ დაწერილებათ განისაზღვრა რა-მდენი ხელოსანია, რამდენი შეგირდი ჰყავს თვითეულს, რას უნდა

Reichstag. რუსეთში — Земскій сейюръ და მგონი Боярская дума. ჩვენშიაც იყო ასეთი კრებები. ხოლო არ ვიციტ, რა სახელი ერქვა, და იყო რაიმე განსაზღვრული წესები ამისთვის თუ არა. მაგ. ირაკლი, მეორე თავის არვულებს თვითონ-კი არ ასამართლებს, არამედ კრებას იწვევს და დიდებული ასამართლებენ. ცხ-და, ჩვენს მეფეს, როგორც ეს ვეროპის საშუალო საუკუნოს მეფეთაც, ფართო დამოუკიდებელი პოლიტიკის და მსაჯულობის წარმოება არ შეეძლო.

ამზადებდეს და სხ. ცხადია ვიწრო ბაზარს ვიწრო წარმოება შეჰ-
ფერის. ამ ხანაში ქალაქი ისეთივე განცალკევებისა და გან-
თვითებისათვის მეტროლი იყო, როგორათაც სოფლის ფეოდა-
ლი და მივარდნილი ხეობები. ქალაქში ირგვლივ კედელი შე-
მოივლო, დააყენა დარაჯები, გაიჩინა საომარი იარაღები და
ასე თავის საზღვრებს ფეოდალთა აკლებისაგან იცავდა.

მე XV საუკ. აღმოაჩინეს ამერიკა და ზღვის გზა ინდო-
ეთისაკენ. ამით ერთიანათ შეიცვალა ევროპის მდგომარეობა.
ევროპიელები დაეხვიდნ ახალ აღმოჩენილ ქვეყნებს; ოქრო-
ვერცხლის და სხვა ძვირფასი საქონლის გადმოზიდვა იწყეს.
გამშირდა მისვლა-მოსვლა, გაფართოვდა სამოქმედო სარბიელი
და ადამიანთა ნაშრომს დიდი გასავალი მიეცა. სავაჭრო ცენ-
ტრი ხმელთა-შეუ ზღვისაგან ატლანტიის ოკეანეში გადავიდა.
ამან დასცა იტალია, სამხრეთი გერმანია, პოლონეთი და სხ.
სამაგიეროთ საეკონომიკო ასპარეზზე გაბატონდენ პორტუგალია,
ესპანია, საფრანგეთი, ინგლისი და პოლანდია. ბაზრის გაგა-
ნიერებამ გამოიწვია წარმოების გაგანიერება და განვითარება.
ფულის და საქონლის ტრიალი ცხოვრების დედა ძარღვათ
შეიქნა. ქალაქები გამოვიდენ კარ-ჩაკეტილ მდგომარეობი-
დან და ხელი-ხელ გაყრილი გავიდენ სავაჭრო გზაზე. მაგრამ
ასეთ არეულ დროს მათ ფუნდალები — შავნით და უცხო ტომთა
მეტოქენი — გარეთ ავიწროებდენ და ვაჭრობის წეს-რაგის და-
ცვა შეუძლებელი ხდებოდა. ფეოდალები თავიანთი ამალით
ძარცვენ მოქალაქეთ და აწიოკებენ ახალ-გაშენებულ უძლურ
ქალაქებს. აქედან დაიბადა ორი მიმდინარეობა: მოქალაქეთა
ლტოლვილება ძლიერი ცენტრალული მთავრობისაკენ და
კეთილშობილთა ლტოლვილება ფულისაკენ. ფულმა დაავა-
ლიანა და დასცა ქედ-მოუხრელი მებატონენი და მთავრობამ
გააღმონიერა მოქალაქენი. მოწინავე წოდებას თანდათან ეკარ-
ვების ნივთიერი ნიადაგი და მოედანზე გამოდის ბურუუზია.

ბურუუზიის განვითარება — ეს საქონლის ტრიალის და ფუ-
ლის მეურნეობის განვითარებაა. ეს მოითხოვს ადვილ მიმო-



სვლას და საზოგადო მშვიდობიანობას. საუკუნოების
განმავლობაში დაწილკებული ერთ ერთათ იქრიბება და არსდება
ერთი ეროვნული სახელმწიფო. მეფე მუდამ ფულს საჭიროებს,
ხოლო ფულის წყარო აღებ-მიცემობაა. ამნაირათ, მეფის პირ-
დაპირი ინტერესი შეიქნა აღებ-მიცემობის აღორძინება და
გაღონიერება. ის იფარავს ქალაქებს, გზებზე აყენებს დარაჯთ,
ერთი სიტყვით, ყოველივე ზომას ლებულობს ფერდალთა აღა-
გმვის და ვაჭართა უზრუნველყოფისათვის. მაგრამ შეეძლო-კი
მას ფერდალთა ალაგმვა? ჩვენ ზევით ვთქვით, რომ მეფე არ
აღემატება უძლიერეს ფერდალს, რომ ის პირველია თანა-
სწორთა შორის. მაშ საიდან იკრებს ეხლა ახალ ძალას? აქ
მუშაობს იგივე ფულის ტრიალი. რაკი ფულით ყველაფრის
შექნა შეიძლებოდა, — ცხადია ეს ლითონი ყველასათვის სანა-
ტრელი გახდა. მეფის ხაზინა ისე მდიდრდება, რომ შესაძლე-
ბელი შეიქნა მეომართა დაჭირავება და მუდმივი ჯარის ყო-
ლა. ჯარის ერთი ნაწილი შედგება უცხოელებისაგან (მაგ.
შვერცარიელები), ხოლო მეორე ნაწილი ყოველნაირ უსაქმო,
უსახლ-კარო, მღოღავ და დღის ლუკმის მაძიებელთაგან. ყმას
თავისუფლება არ ჰქონდა ჯარში შესასვლელათ, ბატონი-კი
არ კადრულობდა; ჯერ-ჯერობით უფულოთაც იოლათ მიღი-
ოდა. ახლა მეფე აღარ საჭიროებს მებატონეთ ეხვეწოს ამა-
თუ იმ ომში მომეხმარეო. პირიქით, ურჩ მებატონეს გაწვრ-
თნილი ჯარით იმორჩილებს და თავის სურვილს ასრულებინებს.
ამნაირათ, მეფე გამძლავრდა და თავისი სამფლობელო გააფირ-
თოვა. მეორე მხრით, ნატურალური მეურნეობა შეინგრა,
ბატონი ფულს საჭიროებს და ეს ფული სოფელში არ მოი-
ძებნება. ის დავალიანდა და უკან დაიწია. ის ტოვებს თავის
კოშეს და ქალაქში მიდის. ახლა სამსახურს აღარ თაკილობს:
ჯარში, სასახლეში, კანცელარიებში, ქვეყნის მართვა-გამგე-
ობაში, ერთი სიტყვით, ყოველ გამოსახენ და ჯამაგირიან
ადგილებზე ბატონი აზნაურები იჩენენ ბინას. კეთილშობილ
წოდებამ დაკარგა ძვლი თვისებები: გაუტეხელი თავმოყვარე-

ობა, გულადობა, სიყოჩაღე და სხ. ის ეხლა ჯამაგირის მაძიებელ წოდებათ გადაიქცა. ამით დაილეჭა მისი ყოვლათ ძლიერება და მეფის მონა-მოსამსახურე შეიქნა. რადგანაც წოდებებს აღარავითარი ფაქტიური ძალა არ შერჩა, მეფე მათ წარმომადგენელთ აღარ იწვევს. წინათ მეფე მათ ეხვეწებოდა, ახლა ის მპრინცებელია და რომელი ბატონი ექებს ყვის ნებართვას რამე საქმის გასაკეთებლათ. საფრანგეთის მეფეთ 1614 წლიდან წოდებათა წარმომადგენელნი აღარ მოუწვევიათ. ინგლისში და გერმანიაში ხანდახან იწვევენ, მაგრამ მნიშვნელობა აღარ აქვთ. თუ კრება მეფეს ეურჩება, — ეს ჯარის საშუალებით სხდომას ხურავს და მოწინააღმდეგეთ ატყვევებს. ¹⁾

აი ასე შემზადდა ახალი ნიადაგი, რომელზედაც იღმოცენდა ახალი მოვლენა. მეფეთა გაძლიერებამ დაპირადა მეფეთა ოვით-მპურობელობა, ხოლო ოვითმპურობელობამ — ახალი მოძღვრება, წოდებული Droit divin, ესე უფი, — მეფე უზენაესის მიერ არის წარმოგზავნილი. ეს დედააზრი პირველათ პრაქტიკით განამტკიცა ლუი მე-XIV, ხოლო ოკრიით — მის აღმზრდელ ფილოსოფოსმა ბოსუეტმა. აი რას სწერს ბოსუეტი თავისს „La Politique tirée de l'Ecriture sainte“ „ნამდვილი მეფე არის ღმერთი. მაგრამ ღმერთი აყენებს მეფეთ, როგორც თავისს მინისტრებს და მათი საშუალებით ქვეყანას მართავს... მეფის უფლება ღვთისაგან მომდინარეობს, მეფის პიროვნება წმიდა და მირონცხებულია (sacrè)... მეფის უფლება უსაზღვროა... ის, ვინც მეფეს არ ემორჩილება, იგზავნება არა სამსჯავროს წინაშე, არამედ პირდაპირ შეუნდობლათ სიკვდილით ისჯება, როგორც მტერი საზოგიდო შშვილობიანობისა და აღამიანთა საზოგადოების. „თვითმპურობითი მთავრობა არ არის ოვითნებითი (arbitraire) მთავრობა“, რადგანაც მეფე ვალდებულია იმეფოს თანახმად არსებული

¹⁾ 1688 წ. ინგლისში რევოლუცია მოხდა და პარლამენტი დაარსდა. აქედან ახალი პარლამენტალური წყობილება იწყება და ძველი წოდებათა კრება უქმდება.

წესებისა; მაგრამ თუ ის თვითნებობას იჩენს — „არავითარისა-შეალება მის წინააღმდეგ არ არსებობს“ და სხ.

ასე აღზარდა ბოსუეტმა მომავალი მეფე. ლუი მე-XIV-მ ასე მიმართა თავისს შვილიშვილს: „თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მეფენი თვითმპურობელი ბატონებია და, რასაკირველია, ყოველივე, რაც საერო თუ სასულიერო წოდებას ეკუთვნის, მათ შელობელობაშია. ამავე ძალით ყოველივე, რაც კი ჩენს სამეფოშია, ჩენ გვეკუთვნის... გარემოება, რომელიც მეფეს იძულებულ ჰყოფს ხალხის კანონებს დაექვემდებაროს, არის უკანასკნელი უბედურება, რაიცა ადესმე ჩენი წრის კაცს ეწვევა... მეფე წარმოადგენს მთელ ერს, ერთ მთელს არ შეადგენს: ის ერთიანათ მეფეში მდგომარეობს („La nation resiste tout entiere dans le roi“) აი, ასეთი შეხედულობა შემუშავდა საფრანგეთში. ლუიმ ააშენა ვერ-სალი და იქ დანიშნა თავისი სამუდამო ბინა¹⁾, შემოილო ეტიკეტები, ახალი ცერემონია, უსაზღვრო ფირმალისტობა და სხ. მისი სასახლე გახდა იდეალათ ევროპის სასახლეებისა-თვის. ლუი მე-XIV-ს უწოდეს — *grand roi* — დიდი მეფე. ბო-სუეტის აზრები გავრცელდა და მეფენი ევროპის შეიმოსენ თვითმპურობელობით. გერმანიის პატარა მთავრები და ერის-თავებიც ლუის ბაძვედენ. თუ კი აქამდი მეფის უფლება და-მყარებული იყო ჩენულებებზე, ახლა მან მიიღო განსაკუთრე-ბული წერილობითი საფუძველი და გახდა გადაუვალ კანონათ.

ამგვარათ, ეკონომიკურ განვითარებამ ააღორძინა მოქა-ლაქეობრივი ცხოვრება და სარბიელზე გამოიყვანა მესამე წო-დება. ამინ დაარღვია ნატურალური მეურნეობა და მით დაინგ-რა მაზე აშენებული ფეოდალთა ბატონობა. მის ალაგის ჩად-გა ფულის მეურნეობა და ზედ აშენდა მეფეთა თვითმპურობე-ლობა.

1) მანამდი საფრანგეთის მეფეს მუდმევი ბინა არ ჰქონდა: ხან ერთ და ხან მეორე ალაგას ცხოვრებდა.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ბურუუა და მეფე დაკავ-
შირდენ თავგასულ ფეოდალთა წინააღმდეგ. მაგრამ, რო-
გორც კი მიზანი მიღწეულ იქნა, მაშინვე იცვლება გამარ-
ჯვებული მეფის პოლიტიკა. ფეოდალები ეკინომიურათ
დასცა ბურუუაზიამ, ხოლო პოლიტიკურათ მეფემ. ასე მი-
სუსტებული არსება ცხადია საშიშარი არ არის და მას-
თან კავშირის დაჭრა გაადვილდა. მეფემ მოინდომა მისი
სისხლისადა ხორცის — მოწინავე წოდების — ამაღლება, ნივთი-
ერი მდგომარეობის გაუმჯობესობა და ხალხის წინაშე პატივ-
ცემულათ გამოჩენა. ეს კი შესაძლებელი იყო სამსახურითა და
ჯამაგირით. ბურუუები ხომ უკან აღარ დაუბრუნებდენ აწერილ
მამულებს. მე — XVIII საუკ. საფრანგეთში დააკანონეს მრავალი
ახალი თანამდებობა, მხოლოთ იმიტომ, რომ აზნაურებისათვის
საქმე და ფული გაეჩინათ. ამას გარდა მრავალი სახელით იყო
მოხელეთ და ჯამაგირის იღებდა, ხოლო საქმე-კი არაფერი
ჰქონდა. ჯარში და სხვა სამსახურში უპირატესობა აზნაურთ
ეჭირათ. 1781 წ. ბრძანება გამოვიდა აფიცრობა მხოლოდ
ძველი გვარის აზნაურთ მიეცესო. პენსიას, საჩუქრებს, ვალის
შემსუბუქებას და სხვა ასეთ „მოწყალებას“ ხომ საზღვარი არ
ჰქონდა. უფრო უკეთეს პირობებში იყო სამღვდელოება. 131 ეპისკოპოზეს და არხიეპისკოპოზეს წელიწადში 14 მილი-
ონი ლივრი (ფრანკ) შემოსდიოდა; მაგიერში წვრილი, სოფ-
ლის სამღადელოება უკიდურეს სიღარიბეში იმყოფებოდა.
ამას მიუმატეთ მეფის, სასახლის, ბიუროკრატიის, ჯარის და სხ.
ხარჯი. ¹⁾ საიდან მოდიოდა ამოდენა ფული? პირველი
და უახლოესი წყარო იყო ბანკირებისა და ფინანსისტებისაგან
ვალის აღება. ხოლო ვალის გადახდის წყარო — ხალხისაგან
მოკრეფილი გადასახადი. ფინანსისტების ინტერესია მეტი ფუ-
ლი გაასესხოს და რაც შეიძლება მეტი პროცენტი აიღოს.
მთავრობის ინტერესია რაც შეიძლება მეტი ფული ისესხოს

¹⁾ დაწვრილებით: ტენის; Les origines de la France contemporaine და ლუი ბლანის „L' Histoire de la Revolution française“

და მეტი გადასახადი მოკრიფოს. ამნაირათ: აზნაურობა, სამ-
ლვდელოება, სასახლე და ფინანსისტები—ეს იყო ერთი კავში-
რი ხალხის გასაყვლეფათ მოვლენილი. მრეწველი ბურუუაზია
პირველათ ძვირფას საქონელს ამზადებდა არისტოკრატიის
მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. ამ მიზეზით აღორძინდა
ლიონის შესანიშნავი აბრეშუმის ქარხნები. მაგრამ, როცა ტეხ-
ნიკა განვითარდა, სამუშაო მაშინები გაუკეთესდა, ხალხის
სახმარი საქონლის კეთებაც ზაიწყეს. აბა რა სასყიდელი ძა-
ლა შერჩებოდა იმ ხალხს, რომელიც ასე გაღარიბებული და
გაღატაკებული იყო გადასახადების წყალობით? ამ გარემოე-
ბამ შეაფერხა მრეწველობა, რამაც კიდევ უფრო დასცა მუშა,
ხალხი. სოფლის ხალხი ქილაქებს მიაწყდა ლუქმა პურისათვის;
აქ-კი სამუშაო იმდენი არ იყო. ხალხი და ბურუუაზია, ანუ
მესამე წოდება, როგორც მაშინ ეძახოდენ, კარგათ ხედავდა
იმ ვეებერთელა სახელმწიფო შენობას, რომელიც მის კისერს
დასწოლოდა და ქვეყნის დიდ უმრავლესობას აუტანელ უღე-
ლათ გადაქცეოდა. ეს უღელი რომ შეგნებული და ყველა-
სათვის აშკარა ყოფილიყო, საჭირო შეიქნა ადამიანთა ერთი
ჯგუფი—ნასწავლი ხალხი ანუ ინტელიგენცია.

საიდან გაჩდა ეს ინტელიგენცია? საშუალო საუკნოებ-
ში სწავლა-განათლების ბუდე და მეთაური იყო ეკკლესია და
სამღვდელოება. როცა ვაჭრობა-მრეწველობამ ფეხი იიდგა,
აუცილებელი შეიქნა მცოდნე პირები ახალი საქმის რიგიანათ.
წისაყვანათ ამიტომ ქალაქებში იხსნება სასწავლებლები, სა-
დაც ასწავლიან არა მარტო სამღვთო წერილს, არამედ ცხოვ-
რებაში გამოსაყენებელ საგნებს. ამით განათლების საქმე მო-
შორდა სასულიერო წოდებას და ჩაბარდა საერო პირთ. სწავ-
ლა გაქალაქდა. სანამ სამოქალაქო ასპარეზი ვიწროა, მანამ
ნასწავლნი სახელმწიფო სამსახურს ეტანებიან. მაშასადამე,
ინტელიგენტი, როგორც მოხელე, ძალა-უნებურათ არსებული
წყობილების მონა-მორჩილია. მაგრამ, როცა ცხოვრება ფარ-
თოვდება, ბურუუაზია ვითარდება, სამოქმედო ასპარეზი გა-

ნიერდება, ერთს შრომა ნაყოფიერდება და სიმღიდრე გატუ-
ლობს, მაშინ ინტელიგენტიც ადვილათ პოულობს კერძო
სამსახურს და სახელმწიფო მოხელეობას შორდება. მისი
მდგომარეობა დამოკიდებულია არა ბიუროკრატიისაგან, არა-
მედ პირდაპირ საზოგადოებისაგან. (მაგ. ექიმები, ადვოკატე-
ბი, ინჟინერები, მწერლები, ტეხნიკები, ქიმიკები და სხვ).
აი, ეს კლასი შეიქნა უკმაყოფილო, და გახდა მესამე წოდების
მოთავეთა და გზის მაჩვენებლათ.

ასე ბუნებრივათ შემზადდა წინააღმდეგობა ხალხისა და
არისტოკრატიულ-მონარქიულ წყობილების შორის. ამ წ--
ნააღმდეგობის გამოაშვარავება, ბრძოლის დაწყება მხოლოთ
დრო და შემთხვევის საქმეა. სხვა-და-სხვა სახელმწიფო ეს
დრო და შემთხვევა სხვა-და-სხვა იყო. ამ ბრძოლაში ყველაზე
უფრო თავი ისახელა საფრანგეთმა. ერმა, რომელმაც დაპა-
და ბოსუეტი და ლუი მე-XIV, დაპადა რობესპიერი, დან-
ტონი და რესპუბლიკა. ბოსუეტის აზრები ზემოთ მოვიხსე-
ნეთ. ეხლა მოვიხსენთ, რობესპიერის და დანტონის აზრებიც. 1789 წ. მათი ხელმძღვანელობით პარიჟის რევოლიუციონურ
მთავრობამ გამოსცა სახელოვანი „La Déclaration des
droits de l'homme et du citoyen“ — დეკლარაცია (აღია-
რება) ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა. აი რამდენი-
მე მუხლი:

„ადამიანები იბადებიან და რჩებიან თავისუფალნი და
უფლებებით თანასწორნი.“

„უფლებები ნიშნავენ თავისუფლებას და დაჩაგვერის წი-
ნააღმდეგობას“.

„მხოლოთ ერთ წარმოადგენს თვითმკურობელ ძალას“.

„კანონი არის საზოგადო სურვილის გამოხატულება.
თვითმკური მოქალაქე ვალდებულია პირადათ ინ თავისი წარ-
მომაღვენელით კანონის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღოს.
კანონი ყველასათვის ერთია. არავისი დაჭრა, დატყვევება და გასა-

მართლება არ შეიძლება, თუ კანონით წინდაწინ გარკვეული
 და ნება დართული არ არის¹⁾.

„ოფიციულ მოქალაქეს შეუძლია სრულრათ თავისუფ-
 ლოთ ლაპარაკი, წერა და ბეჭდვა“.

„გადასახადი უნდა განაწილდეს ყველა მოქალაქეს შო-
 რის თანახმათ შეძლებისა და მდგომარეობისა“ და სხ. ერთი
 სიტყვით, დიდი რევოლუციის პრინციპია: თვითმპყრობელი
 და ბატონი მხოლოდ ერთა, მისი წევრნი უფლებით თანასწო-
 რია, ყველა თავისუფალი მოქალაქეა. ამაებს ვერავითარი
 მთავრობა ვერ დაარღვევს. მოკლეთ ეს გამოხატეს სამსიტყვაში
 — თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა.

აი, ეს მუხლები შეადგენენ დღეს ქვაკუთხედს დასავლეთ
 ევროპისას. ქვეყნის მართვა-გამგეობა, პოლიტიკა სასახ-
 ლებიდან, კარჩაკეტილ კაბინეტებიდან გაღმოსკდა მთელ ერ-
 ში და ქვეყანა მორწყა. პოლიტიკა ჩამოერთვა ერთს და გა-
 დაეცა ყველას. ის დადის ქუჩებში, ყავა-ხანებში, დარბაზებ-
 ში, ყრილობებში, მწერლობაში, ყველგან; ის დღეს არავის-
 საკუთრებას, არავის საიდუმლოებას არ შეადგენს. პოლიტი-
 კა ეკუთვნის მთელ ერს, მთელი ერი ეკუთვნის პოლიტი-
 კას. ეროვნული ცხოვრება განუყრელია პოლიტიკური ცხოვრე-
 ბიდან, პოლიტიკური ცხოვრება — ეროვნულიდან. ამათი განაწი-
 ლება თვით ერის სიკდილს მოასწავებს. ამათ შეერთებამ, შეკავ-
 შირებამ მოგვცა ის, რასაც დღეს ევროპაში ვხედავთ: ერთი
 ხალხი, ერთი ერი, ბატონი და თავისთავის პატრიონი.

მოკლეთ, აი რანაირი საისტორიო გზა გაიარა ევროპამ:
 მოქალაქობრივ განვითარებამ პირველათ დასკა მრავალთ ბა-
 ტონობა (ფეოდალთ) და მათ მაგიერ განამტკიცა ერთის ბა-

¹⁾ აქ, რასაკირველია, კაცის მოკვლაზე და ისეთ დანაშაულობაზე,
 სადაც პოლიციის ჩარევა მაშინვე საჭიროა, ლაპარაკი არ არის. ეს სხვა
 მუხლშია გარკვეული და ჩვენ აქ ყველას ვერ მოვიყვანთ. — მოქალაქე
 ნიშანებს არა მარტო ქალაქში მცხოვრებს, არამედ სოფელშიაც. რევო-
 ლიუციაშ ეს სახელ-წოდება ყველას ერთიანათ არგუნა, რაც დღემდის დარჩა.

ტონიბა (მეფის). მეორეთ, მანვე დასცა ამ ერთის ბატონიბა და მის მაგიერ განამტკიცა ყველას ბატონიბა. თვითმპურობელი ძალა მეფიდან გადავიდა ერში. ერი გახდა თავის თავის ბატონი და მმართველი. მეფი ზოგან მოისპო, ზოგან მისი უფლებები ხალხის უფლებებით შეიზღუდა. მეფის სასახლეს გვერდში მიუდგეს მეორე სასახლე, რომელსაც პარლამენტი ეწოდება და სადაც ხალხი, წარმომადგენელნი სხედან. ყველგან ასეთი ცვლილება, ერთი ხანიდან მეორე ხანაში გადასვლა აჯანყებით და სისხლის ღვრით მოხდა. ევოლიუცია დასრულდა რევოლუციით.

3

თუმცა ასეთია დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების საზოგადო მიზეზები, მაგრამ აქედან სრულიათ არ გამოდის, ვითომც ყველა ერი ერთნაირათ განვითარებულიყოს, თანასწორი გზა გაეკეთებიოს. ყველა ერმა გააკეთა საზოგადოთ ერთი და იგივე, მაგრამ, ამასთანავე, თვითმელმა თანახმათ თავისი საკუთარი გეოგრაფიულის, კლიმატიურის და ისტორიული პირობებისა. ამით ყველამ თავისი პირადობა შეინახა, ნაციონალური თვისებები განავითარა, საკუთარი გზა-კვალი შეიმუშავა. ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია—აი განვითარების სამი სხვა-და-სხვა სახე. პირველი უფრო თანდათანი გზით მოძრაობს, მეორე რევოლუციონურათ, ხოლო მესამე... და სწორეთ ამის თქმა ასე ადვილი არ არის. ეხლა შევუდგებით გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების გარკვევას. განსაკუთრებით ყურადღებას მივაჭცევთ პრუსიას, ვინაიდგან ის, როგორც ეკონომიკურათ, ისე პოლიტიკურათ მთელ გერმანიას მეთაურობს. გერმანია პრუსიაში გაჰქირა—თუ შეიძლება ასე ითქვას.

ფული და მეურნეობა

გერმანია ეკონომიკურათ უკან ჩამორჩა ინგლისს და საფრანგეთს. ამის უმთავრესი მიზეზი მისი გეოგრაფიული მდებარეობაა.

როგორც ზევით ვთქვით, ქალაქური ცხოვრება გაჩაღდა წყლის პირებზე. ამერიკის იღმოჩენამდე განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდა ხმელთა-შუა ზღვა, ხოლო შემდეგ— ატლანტის ოკეანი. გერმანია პირველთან უფრო ახლოს იყო და ამიტომ მე-XV საუკუნეებდე აქ საქონლის და ფულის ტრიალი ვითარდება. ეს შეფერხდა მას შემდეგ, რაც სავაჭრო ცენტრი ატლანტის ოკეანში გადავიდა. გერმანია, დაშორებული ამერიკის გზიდან, დაშორდა მთელ ახალ მოძრაობას. ამით გერმანიის პოლიტიკური განვითარებაც შეჩერდა.

იმ დროს, როგორც ვიცით, მთელ ევროპის ბეჭ-ილბალს რომის პაპი განაგებდა. მას და მის ამაღლას ფული ისე და-კირდა, როგორც საერთო პირთ. ამიტომ ევროპის სამღვდელოება ხარკს პკრეფს მორწმუნეთაგან და უგზავნის „პეტრეს მოადგილეს“. ამან კიდევ უფრო გააღარიბა ხალხი და დასცა მმართველთა ძლიერება. მთელი ევროპა რომის ტახტის საწველ ფურათ გადაიქცა. თუ ეს დღეს უფრო საგრძნობელი შეიქნა, ვინემ წინათ—საშუალო საუკუნოებში—ამის მიზეზია ფულით გადასახადის აღება. წინათ ეკვლესიისთვის იხდიდენ: პურს, ხორცს, ყველს და სხვა საჭირო მასალას; ხოლო ამაგბის გადახდას საზღვარი აქვს. ეხლა ამის მაგიერ ფული მოითხოვეს და ფულის გადასახადს-კი საზღვარი არ დაურჩა. რაც მეტი გაქვს, მით უკეთესია. აი, ასეთი ძარცვის წინააღმდეგ

ულონო იყვენ მაშინდელი ფეოდალები. მხოლოდ იქ, სადაც შეფერ ბურუუაზის წყალობით ფეოდალები აღაგშა და თავისი ბატონობა განამტკიცა, პაპისაც ეკარგვის თავისი ყოვლათ-ძლიერება. 1438 წ. საფრანგეთის მეფემ კარლ VII-მ კანონი გამოსცა, რომლითაც საფრანგეთის სამღვდელოება რომიდან რამოდენიმეთ დამოუკიდებელი გახდა. მაგ. უმაღლესი სასულიერო პირთა გაწესება მეფის შეუკითხავათ და ნება-დაურთველათ პაპის აღარ შეეძლო; აიკრძალა პაპისათვის ხარჯის მოკრეფა და სხ. ერთი სიტყვით, ეკონომიურათ და პოლიტიკურათ განვითარებული ქვეყანა რომის უღლისაგან აღვილათ თავისუფლდება. გერმანიას კი ეს არ შეეძლო. მას, როგორც უკან ჩამორჩენილს, სხვა რამე საშუალებისათვის უნდა მიემართა. აი ასეთ საშუალებათ დარჩა რეფორმაცია. რეფორმაცია რომ მაღალი კულტურის ნაყოფი ყოფილიყო, ის დაბალ კულტურიან ქვეყანაში აღარ გაჩდებოდა. ცხადია, ეს დაპბადა იმ გარემოებამ, რომ გერმანიამ წინ წაიწია ცოტაოდნათ, მხოლოდ იმდენათ-კი ვერა, რომ პოლიტიკური ძალა გაეძლიერებია და პაპის ბრძანებისთვის თავისი ბრძანება წინ დაეხვედრებია. ამიტომ ის იძულებული შეიქნა გაელაშქრა არა პაპის ბძნების, არამედ თვითონ პაპის წინააღმდეგ. იღორძინდა რეფორმაცია. მიუხედავათ ამისა გერმანია მაინც უკან დარჩა. ¹⁾

ფეოდალთა შესუსტება და სამხედრო წყობილების განმტკიცება პირველათ პრუსიის მეფემ ფრიდრიხ ვილჰელმ I-მა დაიწყო. მან გაწვრთნა მუდმივი ჯარი და ყოველივე ლონეს ხმარობდა აზნაურთა თავ-გასულობის შესაბორკავათ. სამსახურში უპირატესობას არაკეთილშობილ, უბრალო მოქალაქეთ ანიჭებდა და სხ. ეს პოლიტიკა შეცვლილ იქნა მემკვიდრის ფრიდრიხ დიდის მიერ. მან ისევ მოწინავე წოდებას მიანიჭა უპირატესობა და მოინდომა მისი გაღონიერება. თუ ფრიდრიხ დიდი—განვითარებული და ვოლტერის თაყვანისმცემელი—ასეთ გზას დაადგა, ეს უნდა აიხსნას შემდეგი

¹⁾ ამის შესახებ ი. კარლ კაუცკის „Thomas Alore“ 1887



გარემოებით. იმ დროს აზნაურობა ნივთიერათ წაბოლძევდა და ცხადია მეფემ დახმარება მოისურვა. მეორე მხრით, ის მფარველობს ვაჭრობა-აღებმიცემობას, რომლის გასაძლიერებლათ მერქანტიული სისტემა შეითვისა. 1766 წ. აკრძალა 490 ნაირი საქონლის უცხოეთიდან შემოტანა და 1774 წ. მატყულის უცხოეთში გატანა. რანაირ პირობებში იყო მაშინ გერმანიის მეურნეობა? ამის გასაგებათ საჭიროა ევროპის მაშინდელი ნივთიერი მდგომარეობა წარმოვიდგინოთ.

ყველა ერი, სანამ მრეწველობას დაადგებოდეს, მეურნეობას ეწევა. მრეწველობის განვითარება ერის ერთ ნაწილს ატოვებიებს მიწა-მოქმედებას და თავისკენ იზიდავს, ხოლო მეორე ნაწილის შრომის ანაყოფიერებს იმდენათ, რომ მისი მომუშავებული მოელ ერს ყოფნის. ინგლისი გასულ საუკუნის პირველ ნახევარში და საფრანგეთი ამ საუკუნის დასაწყისში სამეურნეო ქვეყნებათ ითვლებოდენ; უცხოეთიდან სამეურნეო ნაწარმოები არ შემოჰქმდათ. 1763 და 1764 წ. ინგლისმა საზღვარ-გარეთ გაიტანა 820,000 კვარტერი ხორბალი. ერთი მაშინდელი მწერალი ამბობს: „რა ეშველებოდა ჩვენს მემამულეებს, საზღვარ-გარეთ ბაზარი რომ რა ჰქონდეთო“. 1767 და 1768 წ. 830,000 კვარტერი ხორბალი უკვე საზღვარ-გარეთიდან შემოიტანა¹⁾. ამის შემდეგ ინგლისი სამუდამოა: სამეურნეო ნაწარმოებთა შემომტან ქვეყნით დარჩა. ეს ნიშნავს იმას, რომ ინგლისში მრეწველობა გაფართოება, დიდ-ძალ ხალხს საქმე გაუჩნდა და მეურნეთა ნაშრომის ბაზარი გადიდდა. რომელ უცხო სახელმწიფოს უნდა ესარგებლა ამ გარემოებით? საფრანგეთს შინაც-კი ჰქონდა ბაზარი და, მაშასადმე, მხოლოდ მოქარბებული ხორბლის გატანა შეეძლო. ბურთი და მოედანი დარჩა გერმანიას. 1795-96 წელს პრუსიამ ორი მილიონი ტალერის მეტი პური გაიტანა, ვინემ შემოიტანა. აი, ამან ერთიანათ გადააბრუნა

¹⁾ Fooke u. newmoch: "Die geschichte und die Bestimmung der Preire", ტომი 1, გვ. 35

გერმანიის მეურნეობა. ბატონ-ყმურ და ფეოდალურ წყობილებიან ქვეყანას უცებ უცხოეთში ფართო ბაზარი გაუჩნდა. მეურნე აწარმოებს არა მარტო თავისი პირდაპირი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, არამედ გასაყიდათ, ბაზარზე გასატანათაც. მეურნეებაც ბაზრის მოთხოვნილებამ ჩაითრია. მეურნე ფულის მოგებამ გაიტაცა. ერთი სიტყვით, ნატურალურ მეურნეობას ფულის მეურნეობა არღვევს. აიწია ნაწარმოების ფასმა და მასთან ერთათ შემოსავალმა. მემამულე, რომელიც წინათ სულს ძლიერ იბრუნებდა, წელში გამაგრდა, გალონიერდა და ცხოვრების სათავესკენ წამოიწია. ასეთ შემთხვევაში მეცადინეობენ მეტი მიწა მოიმუშავონ, მეტი იარაღები შეიძინონ, მეტი თანხა იქონიონ და სხ. ყველა ამაებისათვის საჭიროა ფული, კრედიტი. ამ დროს არსდება სააზნაურო საადგილ-მამულო ბანკები, რასაც უწოდებენ Landsehaxf. მის წყობილება ასეთია: მემამულე-აზნაურები ადგენენ საურთიერთო ბანკს იმ მიზნით, რომ წევრთ იიფი სესხი მოუპოვონ. ამის პლანი პირველათ ბერლინის ერთმა ვაკარმა გამოიფიქრა (1767 წ.) და სამი წლის შემდეგ განახორციელეს სილეზიის მემამულეებმა. ბანკის საქმე ისე კარგათ წავიდა, რომ საერთო ყურადღება დაიმსახურა. მეფე ფრიდრიხ დიდმა ორასი ათასი ტალერი ხაზინიდან ორი პროცენტით ასესხა. შემდეგ ეს გავრცელდა და ყველა პროცენტიებში შემოიღეს. ბოლოს რუსეთმა და პოლოუმ წაბაძეს და ამ ტიპის ბანკები დააარსეს (ორი ჩვენც გვაქვს). პირველათ ბანკებში იგირავებდენ მხოლოდ წევრთა მამულებს, მაგრამ ეს შემდეგ შეცვალეს და უფრო საზოგადო ხესიათი მისცეს. აი როგორ წარმოებდა სესხის აღება: წევრის მამულს შეაფასებენ და სესხს მხოლოდ მამულის ერთ ან ორ მესამედზე გასცემენ, ასე რომ მემამულეს არასოდეს მთელი მამულის დაგირავება არ შეეძლო. აღებულ ბანკის ბილეთზე აღნიშნული იყო მსესხებლის სახელი და გვარი და პროცენტის შეტანის დრო. რასაკვირველია, ეს იმიტომ შემოიღეს, რომ მემამულის გაკოტრება თავიდან აეცილებიათ. აქ სი-



ტყვა დაუთმოთ თანამედროვე მწერალს. 1798 წ. დაბეჭდილ
წიგნში კითხულობთ: „პრუსიაში არ არის არც ერთი პრო-
ვინცია, სადაც ამ უკანასკნელ 25 წელიწადში მიწის ფასი
არ აწეულიყოს. ასევე მოხდა უკანა პომერანიაში. ბევრი ქა-
ლაქის და სოფლის მიწის ფასი გაორდა და იჯარასაც მეტს
იძლევიან. ზოგ უცოდინარს ჰგონია, ეს მხოლოდ ღრმები-
თია. მალე ისევ დაეცემა ფასი და მრავალი ოჯახი დაიღუპე-
ბათ. ამისათვის საჭიროა ამ კითხვის გადაჭრა: მამულის ბან-
კებში დამგირავებელთ მოელის რამე საფრთხე? ორმა გარე-
შოებამ წამოაყენა მეურნეობა: 1763—89 წ. მეფის დახმარე-
ბამ... და საადგილ-მამულო ბანკებმა. დღეს ფულს ვშოულობთ
 $4\frac{1}{2}\%$, წინად კი 6% ვაძლევდით. $1\frac{1}{2}\%$ წმინდა მოგება
გვრჩება. თამბაქო და ქირთოფილი მოგების მრმცემი შეიქნა
და ეხლა ხშირათ მოჰყავთ. 1794 წ. ქ. შტეტინიდან 9,938
ცენტნერი თამბაქო გაიტანეს. (1 ცენტნერი = 120 გირვანქანა)
აგრეთვე გასავალი მიეცა ხილს, თაფლს, ნაქსოვს და ღორს.
1899 წ. 62,000 ტალერის მოქსოველი ტილო გაიტანეს.
1793 წ. 30,000 ტალერის თაფლი, 1794 წ. 8,153 ტონი
ხილი და სხ. ყველა ამაებს წინეთ არავითარ ყურადღებას არ
აქცევდენ. მე ვიცი მაგალითი, რომ მამულს, რომელიც წი-
ნეთ იჯარით 450 ტალერათ გაიცა, დღეს 1500 ტალერი
მოგება შემოაქვს. მეორე მამული ათის წლის წინეთ 507 ტა-
ლერათ იღებს იჯარაში, მერე 10,500 ტალერათ გაიყიდა...
ხოლო იჯარით 1900 ტალ. გაიცა. ბეჭითობით და ხეირიანი
მოვლით ისე გაუკეთესდება მამული. კარგი ფასი პურის, პი-
რუტყვის, ერბოს, მატყლის, ტყვის, ერთი სიტყვით, ყველა
ნაწარმოების უცემელია დიდი მიზეზია ასეთი გაუმჯობესობისა,
მაგრამ მარტო აქედან არ წარმოსდგება ეს... ჩემის აზრით,
ნამუშევარის ფასი კიდევ აიწევს. საზიანოა ეს კერძო პირის
ან სახელმწიფოსათვის? არა მჯერა. ამასთანავე მამულის და-
კარგვა შემცირდა, მაგ. 1787 წ. 25 მამული აიწერა და გა-

იყიდა (პომერანიის ერთ ნაწილში), 1795 წ. მხოლოდ 5 მა-
მული¹⁾“.

ამნაირათ მეურნეობა შედგა ახალ გზაზე. მისი მიზანი
ბაზარი შეიქნა. როგორც ავტორი ამბობს, ასეთი ცვლი-
ლება ბევრს არ ექვნიკა; წინასწარმეტყველობდენ—დავი-
ლუპებითო. საიდან წარმოსდგა ამგვარი შეხედულება? საქ-
მე იმაშია, რომ პრუსიის სხვა და სხვა ნაწილი სხვა და სხვა
დროს განვითარდა. მაგ. სილეზიაში პოლშის ვაჭრობის გავ-
ლენით მე-XVI—XVII ს. მიწათ-მოქმედებამ კაპიტალისტუ-
რი ხასიათი მიიღო. მამული ბევრმა ბურჟუაზ შეიძინა, შემ-
დევ ესენი გააკეთილშობილეს. რაკი მიწას ფასი მიეცა, ბატო-
ნებმა თავის ყმებს საკუთრება წაართვეს და დღიური ქირით
ამუშავებდენ. აქედან დაიბადა სოფლის პროლეტარიატი.
დანარჩენი პროვინციები: პომერანია, ბრაუნშვეიგი, მარკეტი
და სხ. ისევ ძველებურ ნიადაგზე დარჩენ. როცა პოლშის
ვაჭრობა შეფერხდა, სილეზიის მემამულეთაც საქმე ცუდათ
წაუვიდათ და მრავალი გაკოტრდა. აი, ამ მაგალითით ხელ-
მძღვანელობდენ იხალი თომა ურწმუნონი. მათი აზრით, მა-
მული უნდა იყოს ოჯახის მოთხოვნილების დამაკაყოფილე-
ბელი პირდაპირი სახსარი და არა ქაპიტალი, თანხა, საიდა-
ნაც მოგებას გამოველით. ასეთ ორ-ნაირ ნივთიერ პირობებ-
მა პრუსიის მებატონეთა შორის ააღორძინა ორ-ნაირი პოლი-
ტიკური მიდრეკილება: სილეზიაში თავისუფალი კონსერვატო-
რები, დანარჩენ ნაწილში ძველი კონსერვატორები.

ასე თუ ისე, ინგლისი გახდა გერმანიის ბაზრათ. იქით
მიჰქონდათ ფაბრიკის ნაყოფი—დამუშავებული საქონელი.
ამით ძირიანათ დაირღვა ძველი ურთიერთობა. წინეთ ოჯა-
ხის მიერ გაკეთებული ნივთი სრულათ აკმაყოფილებდა მო-
თხოვნილებას. ეხლა იგივე ოჯახი ფაბრიკის მუშტარი შეიქ-

¹⁾ Rudolph Meyer: Nundert jahre Konseroatives Politik
1896

ნა. შრომაშ (კალ-მხრივი მიწართულება მიიღო. მეურნე აკეთებს ერთ (ან რამოდენიმე) საქმეს იმ იმედით, რომ ნაშრომს გაყიდის და სხვის მიერ მომუშავებულ საქონელს იყიდის. მისი შრომა ერთიანათ ბაზრისაგან არას დამოკიდებული. ბაზარმა პურის მაგიერ ბალახი რომ მოითხოვოს, მეურნემაც ბალახი უნდა აკეთოს და პურს თავი დაანებოს. ასეთია ამ ბატონის ძლიერება. 1809 წ. ა. ტავრის წერილი: „მეურნეობის მიზანია არა რაც შეიძლება დიდი წარმოება, არამედ რაც შეიძლება დიდი წმინდა მოგება,—რაც სრულ წანააღმდეგ დამოკიდებულებაში შეიძლება იყვენ. მაშასადამე, გონიერ სამეურნეო მოძღვრებამ უნდა გვიჩვენოს: რანაირათ შეიძლება მიწიდან დიდი წმინდა მოგება (reingewinn) დავინარჩუნოთ!.. შეიძლება ბევრი პური, ღვინო და სხ. გქონდეთ, მაგრამ შეიძლება მაინც ღარიბი იყოთ; შეიძლება იგივე ნაყოფი ცოტა გქონდეთ და მდიდარი იყოთ. ამას ბაზრის მოთხოვნილება სწყვეტს. აიწევა ფასი და ცოტა ნამუშევარითაც ბევრს იგებთ, დაეცემა ფასი და ბევრი ნამუშევარითაც ნაკლებს იგებთ. სამეურნეო კითხვა ბაზრის კითხვათ გადაიქცა. აი ეს კეშმარიტება პრუსიის მემამულეთ თავიდანვე შეუგნიათ და მთელი მათი მოქმედება დღემდი აქეთკენ არის მიმართული.

მეკლენბურგში ასი კილოგრამი ხორბალი ლირდა:

1781—	85	წლ.	11	მარკა	და	31	პფენინგი
1786—	90		14	"	18	"	
1796—1800			17	"	48	"	
1801—1805			23	"	65	"	
1806—	10	19	"	1)	"	"	
1811—	15	14	"	20	"	"	
1816—	20	29	"	15	"	"	

ეს უმაღლესი წერტილია. ეს ხანა არის მეურნეობის ოქ-

1) ნაპოლეონის ომებია ფასის დაკლების მიზეზი და არა ბაზრის პირობები.

როს ხანა. რა გავლენა აქვს ბაზარს იქიდანაც ჩანს, რომ ხა-
პოლეონის ომების დროსაც 14 მარკას ქვევით უ ი არ წა-
ვიდა, მაშინ როდესაც მოსვენებული 1781-85 წ. იგივე ხორ-
ბალი 11 მარკა ღირდა. აშკარაა ბაზარი თავისი ძლიერებით
თოფუზარბაზანსაც აღემატება!

რაკი სუ აიწია მიწის ნაყოფის ფასმა, მასთან ერთათ მიწის
ფასიც უნდა აწეულიყო. ერთი და იგივე ზომის მამული
მეკლენბურგში საშუალო რიცხვით 1770-74 წ. იყიდებოდა
20,457 მარკათ, 1785 89 წ. 27,165 მარ., 1800-1804 წ.
26,681 მარ., 1805-1809 წ. 71,253 მარ.—როგოც აქედან
ჩანს, მიწის ფასი თითქმის გაოთხებულა. სოფელმა თავისკენ
უანგარიშო ფული მიაიზიდა. ყველა ეს, რასაკვირველია, მება-
ტონეთა სასარგებლოთ. გლეხობას კიდევ ბატონ-ყმობის ბორ-
კილი არ შექსნია. ამას მიუმატეთ ისიც, რომ ამ დროს მამუ-
ლის შეეძნა არავის შეეძლო, თუ არა აზნაურს (გარდა სილე-
ზაისა). ეს ძველი კანონი ძალაში დარჩა ლიბერალურ რე-
ფორმების შემოღებამდე. მაშასადამე, მამულების ყიდვა-გაყიდვა
ტრიალებდა აზნაურთა შორის. ვალის აღება, მიწა-აღგილე-
ბის დაგირავება, ახალი მიწების ყიდვა-გაკეთება, გაშენება და
გაუმჯობესება—აი ამ დროს საზოგადო სამეურეო მიღრეკი-
ლება, და ყველა ეს რის იმედით? ინგლისის ბაზრის, ე. ი.
ინგლისის მრეწველობის განვითარების. მართლაც მაშინ-
დელი ინგლისელი მექარხნე დარწმუნებული იყო, რომ მისი
ქარხნის საქმე საქვეყნო საქმეა, ის თუ დაიღუპა მთელი
ქვეყანა მასთან ერთათ დაიღუპება და სხ. განსაკურებით ასეთ
აზრებს მანჩესტრლები ქადაგობდენ. რა ეშველება ევროპას,
რომ ჩვენ ტანთ და ფეხთ საცმელს არ ვუგზავნიდეთ და მის
პურს და ხორცს არ ვყიდულობდეთო. ეს გერმანელ მეურნე-
საც სჯეროდა. შეავიწროვეთ ინგლისის წარმოება და შევიწ-
როვდება მეურნეობის ბაზარი. ამით ინგლისის ქარხანასა და
გერმანიის სახნაც-სათეს მიწებ შორის პირდაპირი ხილი გაიდვა:
იქ მრეწველობა, იქ მეურნეობა, იქ მექარხნე, იქ მემამულე.

მათი ინტერესია საქონლის თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა. გერმანელი მემამულენი და ინგლისის მრეწველნი თავისუფალ ვაჭრობის უკიდურეს მომხრეთ გამოვიდენ. ამის წინააღმდეგ ამხედრდენ ინგლისის მემამულენი და 1815 წ. პარლამენტმა დააკანონა: აიკრძალოს ინგლისში უცხო ხორბლის შემოტანა, რომლის კვარტერი 80 ჰილინგს ქვევით ღირსო და კიდევაც დაიწყო მრეწველთა დიდი მოძრაობა ხორბლის სრულიად უბაჟოთ შემოტანისათვის. ეს მოძრაობა ინგლისის ისტორიაში დიდათ შესანიშნავია იმით, რომ მეურნეობის და მრეწველობის ინტერესთა წინააღმდეგობა სინათლეში გამოიტანა და აშკარა გახდა. ხოლო ამ მოძრაობის გამარჯვებამ (1864 წ. იანვარში) ქვეყანას აუწყა, რომ დღევანდელი ცხოვრება მრეწველობაზე არის აშენებული და მეურნეობას მეორე ხარისხოვანი ადგილი უჭერია. ასეთი მოძრაობა გერმანიაში დღეს არის, რასაკვირველია, ისე, როგორც გერმანიას შეფერის ე. ი. eu miniature. მაგრამ მაშინ ინგლისის მოძრაობას გერმანია ტაშს უკრავდა, ვინაიდან სამეურნეო ინტერესი უცხო ბაზარს მოითხოვდა. მიუხედავათ 1815 წ. კანონისა, გერმანია ინგლისის ბაზარზე მაინც ბატონობს ¹⁾.



¹⁾ ob. Fookeund Newmarchs laco cit.

ლიბერალიზმი

ნატურალურ მეურნეობის ბატონობა ნიშნავს მიწის ბატონობას. ადამიანი მიწაზე არის მიკრული, რასაც მოიმუშავებს იმას იქავე ხარჯავს. მთელ თავის სიცოცხლეში შეუძლია თავისს სოფელს არ გასცილდეს. არაფერი არ აიძულებს მისვლა-მოსვლას და რამე ახალის გაგებას, მხოლოდ საომრათ ან საქურდლათ თუ წავა, თორემ სხვა საქმე გარეთ არა აქვს რა. ომი და ქურდობაც ხდება ჩუმათ, გაპარულათ. გზებს და ბოგირებს თუ საღმეა ანგრევენ, რომ მტრებმა არ ისარგებლოს და თავს არ დაეცეს. ასე რომ აქაც მეცადინეობენ გარეშე ქვეყანასთან მიმოსვლა გააძნელონ და, თუ შეიძლება, სრულიათ დამხონ. ერთი სიტყვით, კაცი თავის მიწასთან მჭიდროა შეკავშირებულია, იმას იქით გასაქანი არა აქვს. მაგრამ, რადგარაც — *nulle terre sans seigneur* — არა არს მიწა უბატონოთ, ეს მიწაზე მიკრული ადამიანებიც ამ ბატონის ყმებია. პიროვნების განუვითარებლობა, მისი ხელ-ფეხის შებორკვა, მტკიცეთ განსაზღვრულ სამოქმედო კალაპოტში ჩაყენება, მოკლეთ, ამქრობა ქილაქში, ბატონ-ყმობა სოფელში — ის ნატურალური მეურნეობის იურიდიული გამოხატულება.

როცა ნატურალური მეურნეობა ფულის მეურნეობაში გადადის, ცხოვრების ძველი საფუძველი ერთიანათ იშლება. აქ ადამიანი მიწაზე კი არა, ფულზე არის მიკრული. მისი მიზანი ფული და ფულია, ყველა დანარჩენი საშუალებაა. ფულის შოვნა კი შესაძლებელია რამე ნაწარმოების ბაზარზე

გაყიდვით. მაგრამ ეს ნაწარმოები თავის თავათ ფეხს ვერ აიდგამს და მუშტარს ვერ მონახავს. ვერც ფული მოვა თავის თავათ, ესენი მოძრაობენ აღამიანთან და აღამიანით. ამნაირათ, ბაზარზე გამოვიდენ საქონლის და ფულის პატრონნი. რას ნიშნავს ეს? აი რას: პირველათ, ამ პატივცემულ პირთ უფლება აქვთ თავისუფალის სიარულის, ბაზარზე გასვლის. მეორეთ, მათ უფლება აქვთ რაიმე საკუთრება იქონიონ, ე. ი. მესაკუთრენი იყვენ. ამით ძირიანათ დაინგრა ძველი იურიდიული წყობილება. წავიდეთ ქვევით. ფულს ხომ ბატონი არა ჰყავს, — მას ერთანაირი ფასი აქვს ყმისა და ბატონის ჯიბუში. ფული იცნობს მხოლოდ კაცს, საიდანაც და რანაირიც უნდა იყოს ის. ფულის წინაშე ყველა კაცი ერთია, მას არავინ არ ჰყათხავს: ვისი შვილი ხარ, რომელ სოფელში სცხოვრობ და სხვ. ფული ამყარებს იურიდიულ თანასწორობას. ფულის მოძრაობა მოითხოვს აღამიანთა მოძრაობას. ამისათვის საჭიროა ყოველივე ხელოვნური ზღუდეების დარღვევა და თავისუფალი მიმოსვლის დამყარება. ფულის შეძენისათვის აუცილებელია შრომა, ხელის და ტვინის განძრევა; მეორე შხრით ფულის შეძენას საზღვარი არა აქვს, რაც მეტი გაქვს, მით უკეთესია; მაშასადამე, შრომასაც საზღვარი არა აქვს. მუდამ ჰფიქრობ, მუდამ მოძრაობ, მუდამ ფაცურობ. ამით ვითარდება თვით-მოქმედება, ენერგია, ერთი სიტყვით, პიროვნების ძალ-ღონე მოელი თავისი სავსებისთ გარეთ გამოდის. ეს ინდივიდუალიზმია. „მე“ ძლევა-მოსილათ გამოდის მოედანზე და ომს უცხადებს ძველს ქვეყანას. „მე“ არის ერთათ-ერთი საწყაო ქვეყნიერობისათ — ამბობს ერთი გერმანელი. „მე“ როგორ იქცევა „ჩვენ“-ათ, ქვევით გავიგებთ; იმ საფეხურზე, რომელზედაც ჩვენ აქ ვიმყოფებით, ასეთი გადასხვაფერება ჯერ კიდევ არ არსებობს. როცა ამბობენ ევროპიელი მამაცია, აზიელი ზარმაციაო, ამით მხოლოდ იმ აზრსახატვენ, რომ პირველი იძულებულია დღე და ღამე ფულის შოვნაზე იფიქროს, მეორე კი ასეთი

შრომიდან თავისუფალია სრულიათ თუ არა, სანახევროთ მაინც, ვინაიდან უფულოთაც იოლათ მიღის. ხოლო, როცა უკანისკნელის ყოფა-ცხოვრება პირველსავით შეიცვლება, მა-შინ მისი „ზარმაცობა“ ისპობა.

ამგვარათ, ფულის ბატონობა მოასწავებს ეკონომიკურ ნიადაგზე თავისუფლებას და თანასწორობას. მოძღვრება თავისუფლების შესახებ პირველათ იღორძინდა ეკონომიკურით წინ-წაწეულ ქვეყნებში — ინგლისა და საფრანგეთში (მე-XVIII საუკუნ.) ადამ სმიტი და ტიურგო, მანჩესტერლები და ფიზიოკრატები — აი ამ მოძღვრების მამათ-მთავარნი. ესენი ქადაგობდენ: ყოველივე ზღუდე და შევიწროვება, რაც კი აბრკოლებს საქონლის მოხრაობას, ერთი ალაგიდან მეორე ალაგზე სრულიათ თავისუფლათ გადასვლის, უნდა მოისპოს. ამის სათვის უნდა გაუქმდეს კველა კანონი, რომელიც აძნელებს საქონელთა მოხმარებას და დამუშავებას, საზღვარს უდებს მუშათა რიცხვს (ამქრობა) და მოგზაურობას (პასპორტი), ადებს ნიხრს ზოგიერთ საქონელს (პოლიციის ნიხრი პურზე, ხორცზე და სხვ.), ნებას აძლევს მხოლოდ ზოგიერთ პირს ამა თუ იმ დარგის წარმოებისას (პრივილეგიები, მონოპოლია და სხვ.), ხელს უშლის ერთა შორის თავისუფალ ვაჭრობას და მიმოსვლას (დამოუნა, ბაჟები, პასპორტი და სხ.) და სხ. და სხ. მოკლეთ რომ ვთქვათ, უნდა დაილეწოს ძევლი პოლიციური და ბიუროკრატიული ხელ-ფეხ შემბოჭველი კანონები და ადამიანი განთავისუფლდეს მთავრობის აპეკუნობისაგან. ნება მაეცით კაცს იმოქმედოს ისე, როგორც მას სურს, ნუ ჩააყენებთ ხელოვნურ კალაპოტზე. ნუ ჩაერევა სახელმწიფო მის მოღვაწეობაში. პოლიციის საქმე მშვიდობიანობის დაცვაა და არა მოქალაქეთა თავისუფლების შეკვრა; დაანებეთ კერძო პირთ მეტი თაოსნობა, ხოლო მთავრობას ნაკლები; გააფართოვეთ კერძო პირთა სამოქმედო სარბიელი; სამაგიეროთ შეავიწროვეთ მთავრობის ასპარეზი. ერთის სიტუაცით, რაც შეიძლება მეტი ი. ავისუფლება, მეტი ასპარეზი,

მეტი მოქმედება კერძო პირთათვის, რაც შეიძლება ნაკლები თავისუფლება, ნაკლები ასპარეზი, ნაკლები მოქმედება მთავრობისათვის. ეს მოძღვრება გამოიხატა ოთხ ფრანგულ სიტყვაში „Laissez faire, laissez passer“ — „აცალეთ მოქმედება, აცალეთ მოძრაობა“. ეს უმაღლესი ინდივიდუალიზმია, ეს შესანიშნავი ახსნაა ახალი ისტორიული მოძრაობისა; ეს პიროვნების გაღმერთება, მისი უფლებების დაცვა და განმტკიცებაა. ეს აღამიანის პირველი გამოსვლაა თავისი გათელილი პირადობის აღსადგენათ. მხოლოდ აქ შესძინა მან ძველ ქვეყანას: მე ვარ საზოგადოების ქვა-კუთხედი, მე ვარ თავის თავის ბატონი და ნებას არავის მივცემ ჩემზე იმატონსო. ამ ხმაზე ძირიანათ შეინძრა ქვეყანა, მოისპო ძველი პოლიტიკური და იურიდიული მტარვალობა და გამეფდა თანამედროვე თავისუფლება.

ამ მოძღვრებას ამ საუკუნეში უწოდეს ლიბერალიზმი ე. ი. სწავლა თავისუფლების შესახებ. დღეს ის ამ ლათინური სახელით არის ცნობილი.

ესლა მიუბრუნდეთ გერმანიას.

ზედა თავში დავინახეთ, რომ გერმანია ერთიანათ ახალ ეკონომიურ გზაზე შედგა. სამეურნეო ნაწარმოებმა თავისკენ მიიზიდა უცხოეთის ფული და მით ნატურალური წარმოება დაეცა. მისი ალაგი დაიჭირა ფულის მეურნეობამ. ამ გარემოებამ გააგანიერა ვაჭრობა, აღებ-მიცემობა, გაიხსნა მრავალი კანტორები, საწყობები, გაიყანეს გზები და სხ. ხალხის სასყიდელი ძალა ამით უნდა აწეულიყო, რასაკვირველია. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ხალხის კეთილდღეობა დამოკიდებული არ არის მემამულეთა კეთილდღეობისაგან. ახალი პირობებით მხოლოდ განთავისუფლებულ ხალხს შეუძლია სარგებლობა. ამნაირათ, პირველი კითხვა იყო ბატონ-ყმობის მოსპობა და ერის ახალ გზაზე განვითარება. ამით გაიხსნა ფართო მოედანი საზოგადო მოღვაწეობისათვის. ადამ სმიტის და ტიურგოს ლიკერალური მოძღვრება შეითვისა ფეხ-ადგმულ

ბურუჟაზიამ და მოინდომა ცხოვრებაში გატარება. ამ მიმართულების საუკეთესო წარმომადგენელია პრუსიის კანცლერი თ. ჰანდენბერგი. ის რანაირი საყურადღებო მოხსენება წარუდგინა გან მეფეს 12 სექტემბერს 1807 წ. „იმ აზრმა, რომ რევოლუციის თავიდან აცილება შესაძლებელია ძველი წყობილების დაცვით და მისი საფუძველის მაგრათ ხელის ჩაკიდებით, გამოიწვია მხოლოდ რევოლუციის წინ წაწევა და გამდლავრება. ძლიერება მასი (რევოლუციის) დედა-აზრების ისე დიდია, ის ისე გავრცელებული და საყოველთაოთ ცნობილია, რომ სახელმწიფო, რომელიც მას არ მიიღებს, ან უნდა დაინგრეს, ან უნდა ძალათ მიაღებონ. რევოლუცია, ადამიანთა გამაკეთილშობილებელი, არა შიგნით ან გარეშიდან ძალათ მოვლინებული, არამედ მთავრობის გონიერებით გატარებული—აი ჩვენი მიზანი, ჩვენი სახელმძღვანელო პრინციპი. მეფეკი ასეთ აზრს არ თანაუგრძნობდა. თუმცა დარწმუნებული იყო რეფორმების საჭიროეობაში, მაგრამ ეს ისე უნდოდა, რომ ძველ წყობილებაში ღრმა ცვლილება არ მომხთარიყო. ამიტომ მაშინდელ რეფორმებს ორნაირი ბეჭედი აზის: ჰარდენბერგის და მეფის, ე. ი. ლიბერალური და კონსერვატიული. 1807 წ. გადაწყდა ბატონ-ყმობის გაუქმება, რომელიც ძალაში მხოლოდ 1810 წ. უნდა შესულიყო. ამით ყმა მოშორდა ბატონს, მაგრამ დროებით ვალდებულათ გადაიქცა. 1811 წ. ყმა-მებატონეთ მთავრობისაგან რჩევა მიეცა:—ორი წლის განმავლობაში მორიგებით გაათავე ყოველივე დამოკიდებულებაო, წინაღმდეგ შემთხვევაში, განსაკუთრებითი „კომისიას“ მიენდობა ჩქარა გასათავებლათო. ყმას შეეძლო თავისი მიწის ერთი მესამედი ბატონისათვის დაეტოვებია და მით სრულიათ განთავისუფლებულიყო. ამ დროს ნაპოლეონის ომები დაიწყო და საქმე შეჩერდა. 1821 წელს კანონით ნება მიეცა განთავისუფლებისა მხოლოდ შეძლებულ გლეხებს, 1845 წ. კი ყველას. ხოლო

მისი უკანასკნელი ნაშთი 1848 წლის რევოლუციამ წალეკა. ჰარდენბერგის უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო, რომ პიროვნებისთვის მეტი თავისუფლება მიეცა და ხალხი თვით-მოქმედების გზაზე დაეძრა. 1810 წ. 2 ნოემბერს და 1811 წ. 7 სექტემბერს გამოცემული კანონი (ხელობის შესახებ) ერთიანთ სმიტი-ტიუგოს და ნაპოლეონის დებულების შეხედულობაზე დგას. გაუქმდა იმქრობის შედგენის ვალდებულება. ამქართ ნება დაერთო დაშლის და ქონების განაწილების. ხელოსანს ნება მიეცა, რამდენი შეგირდიც სურს, იმდენი იყვანოს, გინდ ფაბრიკა გახსნას და სახელოსნო დახუროს და სხ. ამქრული ძველი კალაპოტი შეინგრა და თვითულს თავისუფლება მიენიჭა: — როგორც გსურს, ისე იცხოვრეო. პოლიციური ნიხრი მოისპო. სასტუმრო-რესტორანების პატრონთ მხოლოდ დაევალათ სასმელ-საჭმელების ფასი დაებეჭდათ და ოთახებში ჩამოეკიდებიათ. ასეთივე ლიბერალიზმზე არის დაფუძნებული 1845 წ. გამოცემული კანონი. იმ ზოგი მუხლები: მთავრობისაგან ნება ეძლევა ყველას, ვისაც-კი რაიმე საწარმოვო საქმის დაწყება სურს; გაუქმდა ყოველნაირი ბაჟი წარმოებაზე, გარდა სახელმწიფო გადასახადისა, გაუქმდა ძველი კანონი, რომლის ძალით ერთსა და იმავე პირს ერთსა და იმავე დროს არ შეეძლო სხვა-და-სხვანაირი საქმის წარმოება. ბაზრობა თავისუფალი შეიქმნა, ვისაც როგორ სურს, ისე იყიდის და გაყიდის. ნიხრები საჭმელ-სასმელზე მოისპო. პოლიციის მიერ პურზე ნიხრის დადება მხოლოდ მინისტრის ნება-დართვით შეიძლებოდა. აფთიაქის და ექიმე-

¹⁾ ვერმანის სხვა სამეფოებში ბატონიშვილის მოისპო: ბადენში — 1784 წ., ბავარიის — 1808 წ., ვიურტემბერგში — 1817 წ. ნასსაუში — 1812 წ. მესენი დაბშტადი — 1820 — და სხ. რეინის განაპირა პროვინციებში, სადაც ის ფრანგთა ჯარი და მმართველობა გაბატონდა, ყველაფერი ფრანგულ წესებზე გარდაიქმნა. იქ ჯარი შეიქმნა რეფორმატორი. პარდენბერგი შეკვე 1822 წ. გადაიცვალა.

ბის ნიხრი ისევ ძალაში დარჩა. ერთი სიტყვით, მთავრობა შედგა ლიბერალურ გზაზე ¹⁾.

ლიბერალური მითონია თორნაირია: ეკონომიური და პოლიტიკური. ყველა მთავრობა ითვისებს პირველს, უარ-პურთს მეორეს. ეკონომიური განვითარება, ეროვნული შრომის განაცოფიერება, ერის გაერთიანება,—ეს სასურველია მთავრობისათვის, ვინაიდგან, როგორც ჰარდენბერგი ამბობს, სახელმწიფო, რომელიც ამას არ მიიღებს, უნდა დაინგრეს. სახელმწიფოს დანგრევა ხომ მთავრობის დანგრევაც არის. ამისათვის ის იღწვის ვაქრობა—აღებ-მიცემობის გასაძლიერებლათ, მისვლა-მოსვლის გასაადვილებლათ და სხ. გერმანიაში ყველაზე უფრო აღრე ეს კეშმარიტება პრუსიაში შეიგნო. მისი მეთაურობით გერმანიის სამეფონი შეერთდენ და დააარსეს ევრეთ წოდებული Zollverein—სადამოფნო კავშირი. ამით თავიანთ შორის ბაჟის ზღუდეები დალეწეს და ნივთთა მსვლელობა თავისუფალ კალაპოტში ჩააყენეს. მეორმოცე წლებში დაიხსნა რკინის გზებიც და ქვეყანაც სრულ განახლების გზას დაადგა. აღორძინდა განსაკუთრებით მთა-მაღნების წარმოება (ქვა-ნახშირი, რკინი, ფოლადი და სხ.). შექრის კეთება, არაყის ხდა, იგრეთვე დაიხსნა ფაბრიკები საქსონიაში, რეინის პროვინციაში, პრუსიაში და სხვა ნაწილებში. პრუსიაში ფეხი აიღდა საქსოვ ქარხნებმა, რომლებშიაც მუშაობდენ 192,000 მუშა. (ამაში ჩათვლილია სოფლის მქსოველებიც). პრუსიაში ირიცხებოდა

1) ხელობის თავისუფლება აღიარებულ იქმნა: ვიურტემბერგში 1828—36, ბავარიაში—1834—51, პანოვერში—1847—48 და სხ. მაგრამ მთელი თავისი სავსებით მესამოცე წლებში განხორციელდა. მანამდე კონსერვატორების ჩინილით და გავლენით ლიბერალურ მიმართულებას ფრთა მოეკვეცა. ხელობას თორნაირი მნიშვნელობა აქვს: ვიწრო და ფართო. ჩვენ ვხმარობთ აქ ყველაგან ფართო მნიშვნელობით, ე. ი. ყოველნაირი საჭმე, რომლის მიზანი ფიზიკური ან სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა.

78 ათასი ფაბრიკა და 550 ათასი მუშა. პირიქით, ხელოსანთა რიცხვია—457,365, რომელთაც 384,783 შეგირდები თუ მოჯამავირები ჰყავდათ. როგორც ჩანს, ხელოსანთა რიცხვი თავიანთ შეგირდებით ქარხნის მუშებს ქარბობს. ეს ასეც უნდა იყოს იქ, სადაც კაპიტალისტური წარმოება თავის სრულ ძალაში არ შესულა. ამ შემთხვევაში ხელოსანთა შრომის კიდევ გასავალი აქვს, ის კიდევ დაძლეული არ არის დიდი კაპიტალისა და ფაბრიკისაგან. მაგრამ ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი მოასწავებს ხელოსნობის მიერ უკან გადადგმულ ნაბიჯს. რამდენათაც ვითარდება ერის თვით-მოქმედება, მრეწველობა, ნაყოფიერდება შრომა და გროვდება კაპიტალი, იმდენათ უკან მიდის ხელოსნობა, კლებულობს ხელოსანთა რიცხვი და ძალა-უნებურათ პროლეტარიატდება. ხელოსნობის სრული გაქრობა ისეთი გრძელი და ნელი პროცესია, რომ საეჭვოა კაპიტალიზმი ამას მოესწროს. ამ საგანს კიდევ დავუბრუნდებით. ამნაირათ, განვითარება ვაჭრობის, მრეწველობის, საქონლის და ფულის ტრიალისა ნიშნავს განვითარებას აღამიანთა მოქმედების, მოძრაობის და საზოგადო წინმსვლელობისას. ეს შეუძლებელია ისე, რომ იმავე დროს პიროვნება არ განთავისუფლდეს ძველი ხელ-ფეხ შემბოჭველ პირობებისაგან და არ შეიქნეს თავისუფალ მომქმედათ. იმიტომ სავაჭრო პოლიტიკა აუცილებლათ ლიბერალური პოლიტიკა. აქედან, აღამიანის კაცობრიული უფლების აღდგენა, ყოველივე აპეკუნობისა და ძიძაობისაგან განთავისუფლება, მისი სრულ-წლოვანათ, აღიარება—მოკლეთ, თავისუფალი ადამიანი თავისუფალ სარბიელზე,—აი ამ მიღრეკილების დროშა, აა რა არის ლიბერალიზმი.

კონსერვაციში

ვაჭრობის განვითარება ნიშნავს ლიბერალიზმის განვითარებას. რას ნიშნავს მეურნეობის განვითარება? როგორც ზევით განვიხილეთ, გერმანიის მეურნეობა წინ წასწია გარეშე ბაზარმა, ის დამოკიდებული შეიქნა ინგლისის მოთხოვნილებისაგან. შიგნით, გერმანიაში, მას არავითარი საფუძველი არ ქონდა. მეურნეობა მტკიცე გზაზე მაშინ დკას, როცა შინაური მოთხოვნილება აქვს დასაქმაყოფილებელი, როცა სამმშობლოშივე ფართო ბაზარი მოეპოვება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერთს შრომა ნაწილდება. ერთი ნაწილი მისდევს მეურნეობას და რჩება სოფლათ, მეორე— აღებ-მიცემობას, მრეწველობას, ხელოსნობას, სხვა და სხვა თავისუფალ ხელობას და იკრიბება ქალაქათ. სანამ გერმანიაში ასეთი პირობები არ გაჩნდებოდა, მანამ მათი მეურნეობაც სუსტ ნიადაგზე უნდა ყოფილიყო. უცხო მოთხოვნილებამ ისე წაათამამა მემამულენი, რომ გადაჩეხს უზარმაზარი ტყეები, გააღიდეს სახნავ-სათესი და საძოვარი ველები და ამით წარმოება უმაღლეს ხარისხადე ასწიეს. მეორე მხრით, საფრანგეთის დიდ რევოლუციამ უმამულო გლეხობა მამულიანათ გახდა. მუქთა-ხორა სამღვდოლოებას და აზნაურთ ჩამოერთვა მიწა-აღვილები და გადაეცა მშრომელ გლეხ-კაცობას. ამან განავითარა მეურნეობა და გასაყიდი ნაწარმოებით ერთიანათ აავსეს ბაზარი.

ამნაირათ, გერმანიამ და საფრანგეთმა გასაყიდათ გამოიტანეს იმდენი საქმელი, რომ მასი მეოთხედი მოთხოვნი-

ლებაც არ ყოფილა. ამით დაიბადა მეოცე წლებში პირველი დიდი სამეურნეო კრიზისი. მართალია, წინათ უარესი კრიზისიც ყოფილი, მაგრამ ეს წარმოსდგებოდა ნაწარმოების ნაკლებობით, ე. ი. მოუსავლობით, რის მიხეხიც არის გვალვა, სეტუვა, წყალდიღობა, ომი და სხვა. ხოლო ეს ახალი კრიზისი დაბადა სრულიათ წინააღმდეგმა მიზეზმა—დიდმა მოსავალმა. წინათ ქვეყანა გაკირვებაში ვარდებოდა იმიტომ, რომ ბელელში პური არ იყო; დღეს გაკირვებაა იმიტომ, რომ ბელელში ნამეტანი ბევრი პურია! განა ეს ქვეყნიერების ძირიანათ გადატრიალება არ არის? აი ასეთ სასწაულებს ახდენს კაპიტალიზმი. აქ ისევ ციფრები ვდლაპარაკოთ:

„1818 წ.—შემოდგომის ნათესის მოსავალი ძლიერ კარგი იყო, ზაფხულის საშუალო.

„1819 წ.—შემოდგომის ნათესის მოსავალი ყველა მხარეში ძლიერ კარგი იყო, მხოლოთ ზაფხულში ზოგ ილაგას გვალვა იყო.

„1820 წ.—ყველგან ძლიერ კარგი.

„1821 წ.—საშუალო.

„1822 წ.—უხვი მოსავალი.

„1823 წ.—ყველგან წარმოუდგენელი სიუხვე“.

აი რამოდენი „სიმდიდრე“ დატრიალებული გერმანიაში. ძველებური შეხედულობრივ ეს მართლაც სიმდიდრეა, ეხლა კი ეს იმოდენათ ირიცხება სიმდიდრეთ, რამოდენათაც ფული შემოძეს. მაშ, გაცსინჯოთ ეს სიმდიდრე. ზევით ჩვენ მოვიყვანეთ მეკლენბურგის ხორბლის ფასი, რაც 1816—20 წლებში 29 მარკას აღმატებოდა (ასი კილოგრამი). ახლა განვაგრძოთ იგივე ციფრები ქვევით:

1821—25 წლ. 9 მარკა 47 პფენ (მოსავალი კი უხვია)

1826—30 „ 13 „ 79 „

1831—35 „ 13 „ 42 „

1836—40 „ 16 „ 23 „

ბერლინის ბაზარზე ასი კილოგრამი ხორბალი ღირს:

1791—800	წლ.	14	"	71	"
1801—10	"	23	"	74	"
1810—20	"	19	"	76	" (ომები)
1821—30	"	13	მარკა	33	პფენ. (უხვი მოსავალი)
1823		10	"	40	"
1824		9	"	98	"
1825		10	"	62	"
1826		12	"	26	"
1827		14	"	79	"

ერთი კილოგრამი ხორცი ღირდა:

1791—800	წლ.	51	პფენინგი.
1800—810	"	68	"
1810—820	"	69	"
1823		56	"
1824		54	"
1825		50	"
1826		44	"
1827		44 ¹⁾	"

ასე დაიწია ფასში ყველა დანარჩენ სამეურნეო ნაწარ-
მოებმა, არა მარტო ბერლინში, არამედ გოტას, ინდა და
სხვა ქალაქებში (ib.). რას მოასწავებს ეს კრიზისი? აი რას:
ვალის გადაუხდელობას, მამულის დაკარგვას, გაღარიბებას
და დაცემას. და ყველა ეს იმიტომ, რომ კაცმა მეტი იშრომა
და ბევრი ნამუშევარი მოიყვანა!

რადგანაც შემოსავალი ვალის ნახევარსაც ვერ ფარავდა,
ამიტომ აწერილი მამულები ისევ ბანკებს დარჩათ, რას გა-
მოც ბანკები საშინელ ცუდ მდგომარეობაში ჩავარდენ.
კრედიტი რომ სრულიათ არ დაკარგოდათ, მთავრობამ ფუ-

¹⁾ Ucke: Die Aprarkrisis während der 20—er jahe d. Lar Nunderts' 1883 Halle.



ლით დახმარება იღმოუჩინა. მაგალ., აღმოსავლეთ პრუსტის
საადგილ-მამულო ბანკებს ერთი მილონი ტალერი ასესხა,
დასავლეთ პრუსიას 328,000 ტალერი. პომერანიაში 1825—
28 წ. მუდამ იყო ას მამულზე მეტი აწერილი; აღმოსავლეთ
პრუსიაში 1826 წ. 154 მამული აიწერა, 1829 წ. კი 96
მამული. ეს თითქმის ბანკში შეტანილი მამულების მეოთხე-
დი ნაწილია. ამათგან გაიყიდა (აღმ. პრუს.) 1826 წ.—85,
1829 წ.—98, კ. ი. დაგირავებულ მამულთა ერთი მეექვსედი.
„მამულის ფასის დაწევა დაიწყო 1816—18 წლებიდან: პო-
მერანიაში, სადაც წინათ იყიდებოდა 50 პროცენტით ზევით,
ვინემ დაფასებული იყო, 1824 წ. ისე დაეცა, რომ დაფასე-
ბულის ორ მესამედსაც ვერ ღებულობდენ, კიონისძერგის
პროვინციაში 34 მამული, რომელიც 1,001,624 ტალერათ
იყო დაფასებული, 681,091 ტალერათ გაიყიდა. 100 ტა-
ლერზე 32 ტალერით ნაკლები. მორუნგის პროვინციაში
22 მამული 530,075 ტალ. შეფასებული, 307,320 ტალ.
გაიყიდა. ას ტალერზე 39 ტალერი ნაკლები... მამულები,
რომელნიც 1817 წ. პრუსიაში 150—180 ათას ტალერში
იყიდეს, 1825 წ. 30—40 ათას ტალერში გაყიდეს. პოლ-
შტეინში და ჰანოვერში ამავე დროს განმავლობაში მიწის
ფასმა 50 პროცენტით დაიწია!!.“ (id) გლეხებსაც გაუჭირდათ
გადასახადების შეტანა და ბევრ ალაგას მამული დაეკარგათ.
ერთ პროვინციაში 1822 წ. 1600 გლეხთა მამულში ათასი
საჯაროთ გაიყიდა. თუმცა ესეც უნდა ითქვას, რომ ამნაირი
კრიზისი უფრო მემამულეთ აქვეითებს, ვინემ წვრილ მესა-
კუთრეთ. ამის შიზეზია ის, რომ შეძლებულთა შორის უფრო
ადრე კრცელდება ფულის მეურნეობა, ვინემ შეუძლოთა
შორის, პირველი უფრო ადრე ეჩვევიან ფულის ხმარებას,
ვინემ მეორენი. ამიტომ ბაზრის მოთხოვნილებასთან პირველ-
თა ცხოვრება უფრო მეიდროთ შეკავშირებულია, ვინემ მეო-
რეთა. ამათ მხოლოდ ერთი საქმე აწუხებთ— სახელმწიფო გა-
დასახადი. თუ ეს კი როგორმე მოიშორეს, სხვაფერ არა

უქირთ-რა. ამათი კრიზისი მოუსავლობაა, რასაც ქვევით და-
ვინახავთ.

ვიმეორებ: ეს კრიზისი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ
შიგნით ბაზარი არ იყო და უცხო ბაზარი ვიწრო შეიქნა.
ნაციონალური ეკონომიკური განუვითარებლობა,— აი კრიზი-
სის უმთავრესი მიზეზი. მეურნეობა ააღორძინა უცხოეთის
მოთხოვნილებამ, ე. ი. უცხო კაპიტალისტურ წარმოებამ.
შინ კი კაპიტალიზმი იმდენათ გაღონიერებული არ დარჩა,
რომ უცხოეთის მიერ უარყოფილი მეურნეობა თვითონ შე-
ეფარებია და ფართო ბაზარი მიეცა. ეს მხარე განსაკუთრე-
ბით საყურადღებოა იმიტომ, რომ სწორეთ ასეთ მდგომარეო-
ბაშია დღეს რუსეთი და საქართველო. ეს კი უველას ავიწყ-
დება. ხშირათ შეხვდებით რუსულ მწერლობაში ასეთ აზრს:
კრიზისი არამც თუ ჩვენში—გერმანიაშიც არის დღესო. ეს,
რასაკვირველია, ჩინებული ბოდიშის მოხდაა, მაგრამ საქმეს
სრულებით არ ხსნის. გერმანის დღვევანდელი კრიზისი დაბა-
და კაპიტალიზმის განვითარებამ, ხოლო ჩვენი და რუსეთის—
კაპიტალიზმის განუვითარებლობამ. თავის-თავით ცხადია,
რომ გერმანია დღეს სამრეწველო ქვეყანაა, მაშინადამე, აქაუ-
რი კრიზისიც სხვა სახის უნდა იყოს, ვინემ უკან ჩამორჩ-
ნილ ქვეყანაში. გერმანიის მეურნენი დღეს უცხო ბაზარს კი
არ ეძებენ, არამედ თხოულობენ:—შინაური ბაზარიც გვეყო-
ფა, ოღონდ უცხოეთის პურს ნუ შემოუშვებოთ. რუსეთის
და ჩვენებური მემამულენი წინააღმდეგ ამისა თხოულობენ:
შიგნით არა გვაქვს ბაზარი და გარეთ გვიშოვთ. განსხვა-
ვება ძირითადია.

ამგვარათ, გერმანიის მეურნეობა აუცი წლებში დიდ
გასაჭირდა. ამის თქმა საჭირო არ არის. საჭიროა
ვიცოდეთ როგორ ახსნეს ეს მაშინდელ მოღვაწეებმა და რა-
ნაირ გზას დაადგენ. ამის გასაგებათ მიწმალოთ მაშინდელ
სამეურნეო ლიტერატურას.

1827 წ. ავენარიუსი ერთ თავის წიგნში სწორს: აქაუ-

კუნის დასაწყისში მეურნეობას ოქროს ხანა დაუდგა, მაგრამ „1819 და 1820 წ. სრულიათ მოულოდნელათ აღმოსავლეთ ზღვაზე ხორბლის გადატანა და ვაჭრობა შესწყდა. ის მემამულენი, რომელნიც უვალო იყვენ—გალარჩენ, რაღან პროცენტები არ ჰქონდათ გადასახადი. სამაგიდროთ ისინი, რომელთა მიწა-აღვილები ბანკებში იყო შეტანილი, დიდ გაპირებაში ჩავის ჩავარდენ და ვერც გაძლეს: გარდა ბანკის ვალისა, სხვა ვალიც რომ არ ქონებოდათ, შეიძლება კიდევ გადარჩენილიყვნ; ჩვეულებრივ კი ბანკის ვალს კერძო ვალებიც თან ახლავს... მართალია მეფის მოწყალებია, ბევრი დაღუპვას გადარჩა, მაგრამ ყველას ხომ ვერ დაეხმარებოდა. ამიტომ მრავალი ოჯახი დაიქცა, თავიანთ მამულ-დედულს სამუდამოთ გამოეთხოვენ“. 1837 წ. ბიულაუ სწერს: „კურმარკტის პროვინციაში 1827 წ. აზნაურთა მამული შეფასებული იყო 27 მილიონ ტალერით, ამაში 21 მილიონი ტალერის დაგირავებული იყო. წინააღმდეგ ამისა, გლეხთა მამული ღირდა 31 მილიონ ტალ. დაგირავებული იყო მხოლოდ $6 \frac{1}{2}$ მილიონი ტალერის მამული¹⁾“. ფონ კნობლახი თავის საყურადღებო წიგნში²⁾ ეხება კრიზისის მიზეზებს და არკვევს ამნაირათ: კრიზისის მიზეზებია პირველით ბანკები, რომლებმაც, თუმცა სარგებლობა მრიტანეს, მაგრამ ამასთანავე ორი ამოდენი ზარალიც, გაადვილეს დავალიანება და სხ. მეორეთ, მთავრობის ზოგ რეფორმამ ერთიან დასაცა მეურნე. ასეთი გამათახსირებელი რეფორმებია: 1,— გადაწლა-გადმოსვლის თავისუფლება სოფლის ხალხისთვის, რომელიც პამდი მიწაზე იყო მიკრული და ერთ ალაგის იჯდა; 2, გლეხთა გადაქცეცა თავისუფალ მესაკუთრეთ, ზატონებს აღარავთარ სამსახურს არ შეიქნ; 3,— გაუქმება მებატონის სასარ-

¹⁾ R. Meyer, cit.

²⁾ „Über das Entstehen der noth, welche alle Landwirthe dringt“ 1830.

გებლოთ სასმელის და საზრდოს გადახდისა (რაც რუსეთში, ვენგრიაში და სხვაგან კიდევ არსებობს და რასაც ავტორი შენატრის); 4,—დაბაევა სოფელში გამოხდილი ლუდის, არაყისა და სხ. ამას მოსდევს ხელოსნობის და ამქრობის თავისუფლება. ით ამაებმა დააქვეითა კეთილშობილთა მდგომარეობაო. ბოლოს უჩჩევს მთავრობას, რომ მან მოაწყოს იაფი კრედიტი და იზრუნოს ხორბლის ფასი ძლიერ დაბლა არ დაეცეს.

საზოგადოთ მაშინდელი საეკონომიკ-სამეცნიერო მწერლობა ორათ გაიყო: ერთი ნაწილი მოთქვამდა და გოდებდა მემამულეთა ბედ-ილბლის შესახებ, მეორე ნაწილი კი ხსნიდა ამ მოვლენას და წიმალს უჩვენებდა. ით, ეს უკანასკნელია ჩვენთვის საინტერესო. აქ ორი მიღრეკილება ჩანს: ერთი თხოულობს ისევ ძველებურ იურიდიულ წყობილებას, მეორე შენატრის ძველებურ ეკონომიურ ურთიერთობას, როცა უფულოთაც ცხოვრება შეიძლებოდა.

„სამუდამოთ გასაკვირლათ დარჩება ისტორიაში—ამბობს ფონ-ბიულოვი (1821 წ.)—ის გარემოება, რომ ყველა სახელმწიფოზე უფრო პრუსია ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთის ცვლილებას და, მიუხედავთ ამისა, იმავე პრუსიამ ამ ცვლილების ხასიათი შეითვისა და, რაც იქ ქვევიდან მაღლა გაატარეს, აქ მაღლიდან ქვევით გატარდა. თუმცა მამულის ჭანაწილება მავნებელია საზოგადო კეთილდღეობის და მშვიდობიანობისათვის, მაგრამ ყველა ეს კიდევ არაფერია იმ ზიანთან, რომელიც დავალიანებას მოაქვს. ხოლო ვალის იღებას ააღვილებს საკუთრების დანაწილება და დიდი ვალი იბრკოლებს მეურნეობის განვითარებას... საჭიროა კანონით შეიზღუდოს მიწის დაგირავება. მიწა, როგორც უძრავი ქონება, არ უნდა დაგირავდეს, არემედ მხოლოდ იმის შესამუშავებლათ ჩადებული კაპიტალი. ამ მიზნისათვის ნასესხი ფულის მოხვარება მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყოს. პირად ვალთან კი მთავრობას საჭე არ აქვს. პირველ სახის ვალის გამოყენება უნდა შეინდის საზოგადოებებს და არა კერძო პართ...



დავალიანების უმთავრესი მიზეზი სამკუიდროს თანამშრომანთა
გაყოფაა. სადაც ეს ასე ხდება, მამულის პატრონთა გაღარი-
ბება აუცილებელია. მეურნემ რომ თავისი ნაჯერი მიწა შეირ-
ჩინოს, განსაკუთრებითი ბედნიერი შემთხვევაა საჭირო. ვა-
ლის აღება გააადვილა საადგილ-მამულო და საიპოტეკო ბან-
ქებმა...“ განთქმული სახელმწიფო მოლვაწე ფონშტეინი
1819 წ. სწერს: „გლეხთა სახლ-კარის და აზნაურთა მამუ-
ლების დაცვისაგან დამოკიდებულია სოფლის მცხოვრებთა
დაცვა და მათი ზნეობის, გარჯის და შრომის მოყვარეობის
შენახვა. მიწის უსაზღვრო დაკინებისაგან გლეხ-კაცობა ირ-
ღვევა და გადადის დღიურ ქირის მუშათა და მოჯამიგირეთა
რაზმში, ხოლო აზნაურობა დამოუკიდებელ მამულიან წო-
დებისაგან მოსამსახურე და სასახლის წოდებათ სხვაფერდება“.
1822 წ. ის არჩევს ერთ კანონ-პროექტს და ამბობს: ამ წეს-
დების დედა-აზრით კეთილშობილ წოდებას ეკარგვის თავისი
წოდებრივი უფლება, თავისი შთამომავლობით მიღებული
მდგომარეობა და დგება იმავე საფუძველზე, რომელზედაც
დგანან არა კეთილშობილი დიდი მემამულენი. ამით აზნაუ-
რობა, როგორც მემამულე და ჩვეულებრივი უპირატესობა-
წარჩინების მექონე, იშლება, მისი გვარის და ოჯახის სახე-
ლი, რაც წარსულს მომავალთან აკავშირებს, საუკუნოთ იკარ-
გება, ყველა ამაების მაგიერ წინ გამოდის ნივთიერი სიმღიდ-
რე: სახნავ-სათესი მიწები, ხორბლით სავსე ტომრები და სხვა,
რაც დიცემბული ადამიანისთვის უმაღლეს საუნჯეს შეადგენს“.
1822 წ. სწერს: ხელობის თავისუფლებით ჩვენ ვარღვევთ
მშრომელ გლეხ-კაცობის, ეზო სახლ-კარის გაყოფის ნება-
დართვით ზნეობრივათ გამრჯელი და თავის თავის პატივის-
მცემელი გლეხობა გადავაქციეთ გასაწყლებულ მოჯამიგირეთა
ბრბოთ, რომელიც მოვახშეთა და ურიების ბრკყალებში ჩა-
ვარდა. ჩვენი ეკონომიური, პოლიტიკური, ტეხნიკური სა-
ყოველთაოთ ცნობილი სისტემა, თავისი ტეხნიკურ-ინგრარ-
ქიულ მართველობით, თავის თავს ჭამს, როგორც სატურნი



თავის „შეილებს“. 1831 წ. ფონ ზტეინი ქვეყანას აფრთხილებს იმ საფრთხესაგან, „რომელიც მომდინარეობს დაბალ ხალხის გამრავლების და მისი მოთხოვნილების გაძლიერებისაგან, ეს კლასი შედგება ქალაქებში უსახლკარო და საკუთრებას მოკლებულთაგან, სოფლებში ბალახის მთიბავთ, ჩალის მჭრელთ, მოჯამაგირეთ, ახალ-გლეხთ (Neuborüer) და მოსამსახურეთაგან. ეს ხალხი გაედენთილია შურით, პირადი ინტერესებით და ძუნწობით. რამდენათ ეს საშიშარია საკუთრების და პიროვნებისათვის, გვიჩვენებს დღევანდელი საფრანგეთის ყოფა-მდგომარეობა... ქონების და წყობილების ხანგრძლივობის არსებითი პირობა მიწა-ადგილის გონიერი გაყოფაა. ქვეყნის დამდუპველია, როგორც ბევრ მამულთა მცირე რიცხვის ხელში მოგროვება, რის მაგალითია ინგლისი, ისპანია და რომის პაპის საბრძანებელი, ისე მიწა-ადგილის დაკიკნება და ატომათ გადაცევა, რის მაგალითი საფრანგეთი, რეინის პროვინცია და ძველი ვიურტენბერგია. ორივედან წარმოდგება საშიშარი ბრძო, რომელსაც პროლეტარიატი ეწოდება“.

ზოგ მწერალთ ახალი ვითარების ძირში შეუხედავთ და ქვეშარიტ ახსნასაც იძლევიან. მუშათათვის თავდადებული ლიუდოვიგო გალლი 1825 წ. სწერს: „ფულის გაბატონებამ წინანდელი სამი წოდება: მასაზრდოებელი, მასწავლებელი და მეობარი სრულიათ ხალ წოდებებათ დაჰყო, სახელდობრ: ფულის პატრონი, რომელსაც რაიმე მტკიცე შემოსავალი აქვს, ან პროცენტები, იჯარა (რენტა), შენობის ქირა, ჯამაგირი თუ პენსია და უფულო, მშრომელი ხალხი, რომელიც მიწითა და თავის ხელით თავს იჩიენს. ამ ორ წოდების შორის ინტერესთა ძირითადი წინააღმდეგობაა და ერთმანეთს ისე უცქერიან, როგორც მტრები. პირველის მდგომარეობა იმდენათ უფრო უკეთესდება, რამდენათაც მეორის უკან-უკან მიღის და იჩაგრება“.

„ამ საშიშარ ცვლილების დაღუპვისაკენ მივყევართ. მისი აუცილებელი შედეგია: ყველა ქონების ფულიანთა ხელში

მოგროვება და საზოგადოების დანარჩენი ნაწილის ამ მიზნი-სათვის გამოყენება და ყურ-მოკრილ ყმათ გადაკცევა. ამით ყოველივე მაღალი ლტოლვილება იკარგება და კულტურა ირღვევა". ავტორი მთავრობას უჩევს პურს მტკიცე განსაზღვრული ფასი მისცეს, რაც არც მყიდველს და არც გამყიდველს არ აზარალებს.

ფონჰაკსთაუზენი ამბობს (1829): მიწა შეიქნა ისე თავისუფალი მოძრავი, როგორც ტანისამოსი, იარალი და სხვა სამკაული. „ძველი საძირკველი ამით აინგრა და ახალი კანონმდებლები უბრალოთ იტანჯებიან წეს-რაგის ისევ აღდგენისა და ამ არევ-დარევისაგან რამე რაგიანი წყობილების შექმნისათვის".

„პირველათ ინგლისში დაიბადა ის აზრი, რომ მიწათმოქმედება ხელობაა, ინდუსტრიის ერთი შტოა, რომ სამუშაო მიწა საქონელია, რის ბაზარზე გატანა შესაძლებელი და სასურველია" ¹⁾... ასეთივე ჩივილი ისმის მეორმოცე წლებშიაც. ფონბულვი 1842 წ. სწერს: „როგორც დღეს ჩანს, მამულის უმრავლესობა თანდათან მესამე წოდების ხელში გადავა... მე ვამბობ იმის შესახებ, რაც ყოველდღე ხდება: მამასახლისი, მეწისქილე, მეწილე და სხ. აზნაურთა მამულის პატრონათ ხდებიან", 1843 წ. „აზნაურთა მამული გასაყიდ საქონლათ გადაიქცა, ის ერთის ხელიდან მეორის ხელში უფრო ჩშირათ გადადის ვინემ დუქანი, ან ქარხანა... მამულის უკადურესი დავალიანება სამკიდროს თანასწორათ დაყოფამ აუცილებლათ გახადა და პიპოტეკურ დაწესებულებებმა საშინლათ გაადვილა. მამულის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა სულ ახალი საქმეა ²⁾ და ამიტომ ყველა მის შედეგებს ჯერჯერობით აშკარათ ვერ ვხედავთ, მაგრამ ცოტა ხნის შედმეგ თვალსაჩინო იქნებიან":

¹⁾ R. Meyer, loco citato.

²⁾ ზევით მოვიხსენეთ, რომ აზნაურთა მამულს არა-აზნაური ვერ იყიდდა. ეს ძველი ვარნი ჰარდენბერგის რეფორმებმა. გააუქმა.



კოზეგარტენის „Betrachtnugen neber die veransserung und Theibbarkeit des Landbesitzes“-ში (1842) ვკითხულობთ: ფულის მეურნეობის და მოქმედების სრული თავი-სუფლების შედეგია ადვილათ დავალიანება და ამის მიზეზი კიდევ ჩარჩო ხელში ჩავარდნაა... ფულის მეურნეობა უძრავ ქნებას ამოძრავებს, ვინაიდან. ვაჭარ-სპეციულიანტთ ფულის სასწორზე გააქვთ არა მარტო დედა-მიწის ნაყოფი, არამედ თვითონ დედა-მიწაც“... ავტორს ჩინებულათ შეუგნია ფულის მოძრაობის გავლენა და მთელ თავის თხზულებში ფულის მეურნეობის მავნებლობას ამტკიცებს.

ფონლავერგენი სწერს (1841): „საზოგადოების კეთილ-დღეობის საფუძველი, საშუალო შეძლების მეურნეთა უმრავლე-სობა, ულმობელმა კონკურენციამ დასცა. მთავრობის აგრარიულ (სამიწათ-მოქმედო) კანონებმა უმაღლესი მიზანი—სოფლის საზოგადოების შენახვა—ვერ შეასრულა. ახლა ყველისათვის ცხადია, რომ ეს კანონები საკმარისი არ არის და არც შესაფე-რი გავლენა დაურჩა“. შემდეგ იძლევა ასეთ პროექტს: სო-ფლის საზოგადოებისაგან უნდა შედგეს კორპორაცია, რომ-ლის მიზანი მცხოვრებთა ინტერესების დაცვაა. „ეს ინტერესი უთუოთ ნივთიერი უნდა იყოს, რომ დაპირის საშუალო სა-ფეხურზე მდგომთა შორის კავშირი და ერთობა გამაგრდეს და სამუდამოთ დარჩეს. ასეთ არსებით საძირკვლათ გამოდგება საკრედიტო დაწესებულება“. თვითოული მსესხებლის თავდები და ზედამხედველი მთელი კორპორაციაა, აღებული ვალი სა-მელიორაციი საქმეს ხმარდება. „საზოგადოებას უფლება უნდა მიეცეს თავის წევრთა ნივთიერ და ზნეობრივ მდგომარეობაზე ზედამხედველობა იქმნიოს. ის არ უნდა იყოს გალდეზული ისეთი წევრი მიიღოს, რომლის შრომის მოყვარეობა და პა-ტიოსნება საეჭვოა... ამისათვის სახლ-კარის და ეზოს გაყიდვა უნდა შეიზღუდოს ისე, რომ ყიდვის პირობა, სანამ ის ძალაში შევიდოდეს, საზოგადოებისგან უნდა დამტკუდეს და ცნო-ბილ იქნას. ამ შემთხვევაში საზოგადოება წინდაწინ შეიტ-

ყობს, თუ რა ქონების და ზნეობის პატრონია მყიდველი, რო-
მელსაც მისი წევრობა მოუსურვებია“. 1754 წ. ასეთი წყო-
ბილება იყოვთ.

სტალი თავის „უფლების ფილოსოფიაში“ (1829) არჩევს
წოდებათა წარმოშობას და თანამედროვე ცხოვრების შესახებ
ასეთ ფილოსოფიურ რეცეპტს იძლევა: „უფლებრივი წყობი-
ლების მიზანი უნდა იყოს, როგორც კერძო ძალით (Bivat-
marcht) აღჭურვილი წოდების დაცვა და განმტკიცება,
ამასთანავე მისი მიჩნევა ქვეყნის ინტერესის პირველ წარ-
მომაღენელათ“. ხოლო ეს შესაძლებელია მაშინ, როცა მი-
სი არსებობის საძირკველი, მიწა-ადგალი, განუყოფლათ და
გაუყიდავათ ალიარებულ იქნება... რა სარგებლობა მოუტა-
ნა სოფლის კაცს ჰიპოტეკურ დაწესებულებამ? არაფერი. იმის
მაგირ, რომ თავის ნაშრომის ერთი ნაწილი ბატონს მისცეს,
დღეს პროცენტის ფორმით ფულის პატრონს აძლევს. დაკარგ-
ვით კი ბევრი დაკარგა. ბატონი, როგორც მემამულე, დაინ-
ტერესებულია მამულთა გაუმჯობესებაში. მისთვის, როგორც
სოფლელისათვის, სოფლის კეთილ-დღეობა და სოფლის სარგებ-
ლობამისი კეთილ-დღეობა და სარგებლობაც არის, ამიტომ
სოფლის ინტერესის დამცეცლია. ფულის პატრონი — სპეციულია-
ნტი — სრულებით არ ფუქრობს თავისი მოვალის კეთილდღეობაზე,
მისი ინტერესი სრულებით არ არის მიწის გაუმჯებესება, მას
სურს მხოლოდ სოფლელი დატყუოს, გაძარცვს და მისი
ქონება ხელში ჩაიგდოს. და ის სწორეთ ამნაირათ მიწა-ადგი-
ლი მცირე რიცხვთა და ისიც არა კეთილ-შობილთა ხელში
იკრიბება. მამული მოძრავ საქონლათ გადაიქცა. არნდტი
(Arndt, 1840) სწერს: „ის ქვეყანა, სადაც მცირე რიცხვთა
ხელში თითქმის მთელი სოფლის მცხოვრებნი მხოლოდ მოიჯა-
რადრე და მოქარავეა, აგრეთვე იქ, სადაც მიწა უსაზღვროთ და-
კიკნულია — ის ასეთი ქვეყანა სახელოვნათ და პატივცემულათ
დიდხანს ვერ დარჩება“. (ავტორი გადაკრავს ინგლისს და საფ-
რანგეთს).



„რომ ფაბრიკებში, დიდ და სატახტო ქალაქებში თავმოყული იყოს დასაწყლებული, დამშეული, მშვიდობიანობის დამარტვეველი და გაუნათლებელი ბრბო—თავის თავათ ცხადია. ეს ღვარძლი და მეტი ხორცი აუცილებელი შედეგია სწავლა-განათლების გავრცელებისა და კაცობრიობის გაფაქიზების (verfeinerung). მაგრამ თუ სოფლებიც ისეთივე თავისუფლებით იმოძრავებენ, როგორც ახლა, მაშინ იქაც იმასვე ვნახავთ, რასაც ქალაქში ვხედავთ. მიწის ზაყოფა, ერთ და ორ მორგენამდი დაპატარავება, რაც ვერც საკმაო საშრომს იძლევა და ბადებს სოფლის საწყალ, დამშეულ და დაუდევარ უზნეობრბოს“...

„ჩვენი დრო წარმოადგენს სატურნს, რომელიც თავისავე შვილებს სჭამს და თავისივე სისხლით დამთვრალი მუცელზე ხელს იცემს და ხალხს შესძახის: Seht hier die 'Folgen der Freiheit! Seht hier das von Wahn nud Knechsenatierloeste Menschengeschlecht!'“ (ჩამოხედეთ აქ, შეხედეთ თავისუფლების შედეგს! შეხედეთ ამ ფანტაზიის და ყმბისაგან დახსნილ აღამიანებს!).

ჩვენ არ გვსურს მკითხველს თავი მოვაბეზროთ ნამეტანი ბევრი ამონაწერებით. კმარა ისიც, რაც უკვე ამოვწერეთ. აქ ჩვენ შევკრიბეთ უმთავრესი დედა-აზრები იმ მოღვაწეთა, რომელნიც ცნობილია კონსერვატიულ მოძღვრების მამა-მთავრათ. როგორც დავინახეთ, ყველა ეს მწერლები ერთსა და იმავე ნიადაგზე დგანან, ერთისა და იმავე თვალთა-ხედვის ისარით არიან აღჭურვილნი. რა ნიადაგია ეს?

ფულის მეურნეობამ მამული აამოძრავა და საქონლათ გაჰვადა. იმას იმდენი ლირებულება მიეცა, რამოდენათაც ფულის წყაროს შეადგენს. მამული ფულათ იქცევა, ფული მამულათ, მამული ფულს უდრის, ფული მამულს. ერთი სიტყვით, მამული=ფული. რაკი ეს ასე მოხდა, ცხადია მოძრავი არსება უძრავათ ვერ დარჩებოდა, ე. ი. მამული მუდამ ერთისა და იმავე პირის ხელში ვერ გაჩერდებოდა. ის ილტვის



იქით, საითკერძო გამოსარჩენი საქმეა. მამულის წარმომადგენელი ნელნი მემამულენია, ხოლო მემამულენი აზნაურებია. ფულის წარმომადგენელი ფულის პატრონებია, ხოლო ფულის პატრონები ბურუუბია. აზნაურობა საშუალო საუკუნოების შვილია, ის გაჩნდა მაშინ, როცა ფულის მეურნეობა არ იყო. ბურუუაზია ახალი საუკუნოების შვილია, ის თავისი არსებით განხორციელებული ფულია. აზნაურთა ბატონობა—ეს მამულის, მიწა აღგილის ბატონობაა. მიწა-აღგილის ბატონობა კი სოფლის ბატონობაა. ბურუუაზის ბატონობა ფულის ბატონობაა, ფულის ბატონობა კი ქალაქის ბატონობაა. ის ორი სხვადასხვა მიმდინარეობა, სხვადასხვა პრინციპია. ერთი ცეკვითნის წარსულს, მეორე აწმყოს. ესენი ერთ და იმავე დროს და ერთ და იმავე ალაგას არსებობენ. მათ სიღრმეში ჩანერგული განხეთქილება დამალულა, თუ ორივეს საქმე კარგათ მიდის. როგორც კი ერთი მათგანი წაიბორდიებს, უჩინარი განხეთქილება აშკარათ ითვეთქებს და მათ შორის ბრძოლა იწყება. ეს ბრძოლა სხვადასხვა ერში სხვადა სხვა სახისაა. გერმანიაში ბრძოლა ასტეხა მეოცე წლების სამეურნეო კრიზისმა. ყველა ზემოთ მოყვანილი მწერლები ამ გარემოებას ახალ მიმდინარეობას აბრალებენ. ეს მიმდინარეობა, როგორც ზედა თავში განვმარტეთ, ეკონომიკური მიმდინარეობაა. ალორძინდა საქონლის წარმოება და დაეცა ძველი ბატონ-ყმური წყობილება. ადამიანს მეტი თავისუფლება მიეცა. ამით აზნაურთა ბატონობის ბოლო მოელო. აქედან მათი ლტოლვილება შერყეული საძირკვლის გამაგრების და თავიანთი უპირატესობის შერჩენისაკენ. ნაკლები თავისუფლება, ვიწრო სარბიელი, მოქმედების მტკიცე კალაპოტში ჩიყენება—ი მემამულეთ დროშა. აზნაურობის გაღონიერება, მისი უფლება-უპირატესობის გაძლიერება, მისი საკუთრების დაცვა, ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება—ი მემამულეთ პოლიტიკა. ხოლო ყველა ამაგების გასატარებლათ მოწოდებულია მთავრობა. მთავრობა—ისეთი ყოვლად

ძლიერია, რომ ცხოვრებას, როგორც უნდა, ისე შეაბრუნებეს. მაში რატომ ცხოვრება იმ წოდების სასარგებლოთ არ შეაბრუნოს, რომელსაც საუკუნოების განმავლობაში პირველობა ეჭირა და რომელიც თვითონ მთავრობის დედა-ბოძს შეადგენს? საჭიროა მხოლოდ თხოვნა, ჩაგონება, გზა-კვალის ჩვენება, რომ ყოველივე აზნაურთა სასარგებლოთ მოეწყოს. აქედან მთავრობის გაძლიერება, მისი გავლენის გაფართოვება, მისი ასპარეზის გაგანიერება — აი მეურნეობა მიმართულება.

აშნაირათ, ნაკლები თავისუფლება, ნაკლები თაოსნობა, ნაკლები მოძრაობა კერძო პარს, მეტი თავისუფლება, მეტი თაოსნობა, მეტი მოძრაობა მთავრობას — აი რა ნიშნავს კონსერვატიზმი. ეს ინდივიდუალიზმის ძირში მოჭრაა, პარადოქის მიწასთან გასწორებაა, ეს ლიბერალიზმის პირდაპირი მოწინააღმდეგეა.

როგორც ვხედავთ, მეოცე და მეორმოცე წლებში გერმანიაში დაიბადა ორი ერთი მეორეს მოპირდაპირე მოძრაობა: ლიბერალური და კონსერვატიული. პირველის დროშაზე ერთის მხრით სწერია თავისუფლება და მეორეს მხრით — წინ! მეორის დროშაზე: ერთის მხრით — ხელ-ფეხის შებოჭვა, მეორის მხრით — უკან; პირველი ააღორძინა ქალაქურ ცხოვრებას, მეორე კი სოფელმა. პირველის ბუდეა ქალაქი, მეორის — სოფელი. სავაჭრო-სამრეწველო პოლიტიკა ლიბერალური პოლიტიკაა, სამეურნეო-სემიწათ-მოქმედო პოლიტიკა კონსერვატიული პოლიტიკაა. კაპიტალი და მამული, ვაჭარი და მეურნე, ქალაქი და სოფელი — ეს არის ორი ღრმა მიმდინარეობა, ორი ისტორიული ძალა, ორი ერთი-მეორის მოწინააღმდეგე მოვლენა, ჯერ-ჯერობით ამათი ბრძოლა ეკონომიკურ ნიაღაგზე ხდება. ესენი ყოველ საათში, ყოველ დღე, ყოველ კვირაში მუდამ და შეუჩერებლივ ერთმანეთს ეჯენდიან. აქ ის იმარჯვებს, რომლის მხარეზე ისტორია დგას, ე. ი. რომლის მოქმედება დრო და ეამს. შეჰვერის. ახალი ნევთიერი ურთიერთობა თანდათან მძლავრდება და ბოლოს

იმ წერტილამდის აღწევს, რომ ძველ პოლიტიკურ კალაპოტში ველარ ეტევა და დგება ხანა პოლიტიკური ცვლილებისა. აი აქ ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი ეკონომიკური ნიადაგიდან პოლიტიკურზედაც გადადიან და იბადება მათ შორის პოლიტიკური ბრძოლა. მათ პირველ პოლიტიკურ კონფლიკტს ეწოდება რევოლიუცია. ამ დღიდან ცხოვრების გულში დამალული მღელვარება ამოდის მაღლა, ცხოვრების ზედა პირზე, და ღებულობს პოლიტიკურ ფორმას. პოლიტიკური პარტიების ნამდვილი ისტორია აქედან იწყება.

სანამ ასეთი ცვლილება მოხდებოდეს, მანამდი უნდა აღორძინდეს რამდენიმე ისტორიული პირობები, ესენი შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენენ, არამედ აუცილებელ შედეგს ახალი მოძრაობისას. ეს დრო არის ასე ვთქვათ გადასასვლელი დრო, ძველი ეკონომიკური საფუძველი ახალით იცვლება, ერთი ქვეყანა მეორე ქვეყანაში გადადის. ეს პროცესი იწვევს მწირე ტკივილებს. ხალხი ძველ ცხოვრებას თავს ანებებს, ხოლო ახალს უცებ ვერ ითვისებს. ის შუაზეა გაჩერებული, სანამდი ახალ მდგომარეობას მიეჩვევოდეს, მის თავს და ბოლოს შეიგნებდეს. მანამდინ დროს თხოულობს და ამ დროს განმავლობაში ცხოვრება საჭიროა. თუ მეოცე წლებში კეთილშობილი წოდება ჩავარდა გასაჭირში, საიდანაც მერე ველარ ამოვიდა, მეორმოცე წლებში გლეხობას და ქალაქის მუშა-ხალხს დაადგა გასაჭირი. ამ დროს გერმანიას ეწვია რამდენიმე მოუსავლობა და ხალხი დიდ კრიზისში ჩაიგდო. ცნობილი მსწავლული პროფ. კონრადი ამ გარამეობას ასე ხსნის: მოუსავლობა იყო მთელ ეკროპაში, მაგრამ განსაკუთრებით ზარალი მოიტინა ისეთ ქვეყნებში, სადაც მამული ნამეტანი დაკიკნული და მრეწველობა განუვითარებელი დარჩა. ამიტომ მცირე მესაკუთრეთ საშუალება არ ჰქონდა რაიმე გარეშე სამუშაო ეშვერათ და ფულის წყარო გაეჩინათ, ასეთი ქვეყანა იყო ირლანდია და სამხრეთ-აღმოსავლეთი გერმანია. ვიურტენბერგის, ბადენის, ჰესენის და სხვა პროვინციების კრიზი-

სის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ მიწათ-ფლობელობა უზომით დაწვრილმანდა, მესაკუთრეს საკმაო სამუშაოს და ცუდ წელიწადში საკმაო ცხოვრების სახსარს არ იძლევდა. კართოფილის მოუსავლობას 1847 წ. მიემატა პურის მოუსავლობა, რამაც მთელი სოფელი გააღარიბა. გაკოტრებულ გლეხთა მიწები მთავრობაშ შეისყიდა (რადგანაც კერძო მყიდველნი არ იყვენ) და ბევრი უმამულოთ დარჩენილნი მთავრობის დახმარებით უცხოეთში გადასახლდენ. ¹⁾ ხალხში გაჩნდა შიმშილობა, ეგრეთ წოდებული კართოფილის ავათმყოფობა, სიმშილობის ტიფი და სხვა ათასნაირი სენი. სოფლელნი გამოეშურენ ქალაქებში, მაგრამ აქაური მუშების მდგომარეობაც არა უკეთესი იყო, ვაჭრობა-მრეწველობა შეფერხდა და მუშის დღის ქირაც დავარდა, მრავალი მუშები სრულიათ უსაქმოთ დარჩა, მაგ. საქსოვი ქარხნის მუშა ორთა შუა რიცხვით წელიწადში 60 ტალერს იღებდა, აქედან 15 ტალ. სპეც და სხვა გადასახადებში მიღიოდა, დანარჩენი 45 ტალერით ოჯახის შენახვა შეუძლებელი იყო, მით უფრო, რომ ყველაფერი გაძვირდა, და თუ მაინც და მაინც ცოცხლობდენ, სული კიდევ ედგათ, სამაგიეროთ შიმშილი და ავათმყოფობა გამოულეველი სტუმარი იყო. ამათ სოფლელნიც მიემატენ და დღის ქირა ერთიანათ დასცეს. 1844 წ. გახშირდა მუშათა არეულობა, მაშინების დამტვრევა, ფაბრიკების დანგრევა და სხ. 1847 წ. ბერლინში ქუჩებში არეულობა მოხდა, რაც წარმოდგებოდა მხოლოდ იქიდან, რომ ხალხმა არ იცოდა, რით გამოკვებულიყო. საინტერესო „ომი კარტოფილისთვის“ („Kartoffelkrieg“), რაიცა მდგომარეობდა იმაში, რომ კარტოფილის საწყობებს დაეხვევოდენ და გაძარცვიდენ. ამას ბოლოს სხვა დუქნებიც მიაყოლეს მაგ. საპურე, საწვრილმანო და სხ.

¹⁾ Handwörterbuch der Staatswissenschaften ტომი I. სიტყვა Agarkrasis“. ციფრები, რომელთა წყაროები არ გვაჩვენებია, ამ წიგნებისა რის ამოღმული.

ერთის სიტყვით, შიმშილობა სოფლათ, შიმშილობა ქა-
ლაქათ, ყველგან გაჭირვება, ყველგან ჩივილი და გოდება-
ყველაფერი შეინძრა, შეირყა, ქვეყანა რაღაც გამოურკვეველ
მდგომარეობამ მოიცო. ამ გაჭირვებულ ხალხს კონსერ-
ვატორები უქადაგებდენ ყველაფერი თავისუფლების ბრალიათ,
ლიბერალები ეუბნებოდენ ყველაფერი იმის ბრალია, რომ სა-
კმაო თავისუფლება არ გვაქვსო. ხალხს, რასაკვირელია, წარ-
სულში არაფერი ჰქონდა საძებარი, გარდა შოლტებისა და
და ბატონის ბორკილებისა, მომავალზე კი იმედი მაინც მიე-
ცა, ეგების უკეთესი დღე დაგვიდგესო, ხოლო აწმყო ერთია-
ნათ აუტანელი შეიქნა. მომზადდა ნიადაგი რევოლუციისა.

კოცელიათი კოსესახვატიზმის და ლიბერალიზმის შორის (ჩევოლეცია).

ზევით ვთქვით—ლიბერალიზმი ორნაირია: ეკონომიური
და პოლიტიკური, თავისუფლება ეკონომიურ ასპარეზზე შეუძ-
ლებელია, სანამ ბატონ-ყმური წესწყობილება არსებობს. თუ
კი ადამიანს ნება არ აქვს, რომ თავის სურვილზე იშრომოს
და იცხოვოს, აღარც იმის ნება აქვს, რომ თავის სურვილზე
იფიქროს და იმსჯელოს. ეს ორივე მხარე ერთმანეთან შე-
კავშირებულია. მაგრამ როცა შრომა თავისუფლდება, ეს
კავშირი ირლვევა და აზრის განთავისუფლება საჭირ-ბოროტო
კითხვათ ხდება. გერმანიის მთავრობამ ხალხს ხელი და ფეხი
შეუხსნა, მაგრამ ამასთანავე თავი შეუკრა, გონებას ბორკი-
ლი შემოადვა—იმუშავე და იმრავლე, ფიქრი კი რა შენი
საქმეაო. 1805 წ. დაარსდა გერმანიის სამეფოთა „კავშირი“,
რომლის უმთავრესი დანიშნულება იყო ხალხის მორჩილობა-
ში ჩაბორკვა და ყოველივე პოლიტიკური მოძრაობის სათა-
ვეშივე გაქრობა. ამის საშუალება იყო: ერთის მხრით პოლი-
ცია და ეანდარმები, მეორის მხრით ცენზორი. ამით შეიქნა-
ს წყობილება, რომელზედაც ვოლტერი ამბობს:

Sans agrement du roi vous ne pourrez penser,
Si vous voulez L'esprit allez à la police,
მეფის დაუკითხავათ ფიქრი არ შეგიძლიათ. კუუის სწავლა
თუ გსურთ, პოლიციაში მიბრძანდით.

ამის აწერას აქ არ შევუდგებით, ქართველისთვის ისედაც
ადვილი წარმოსადგენია. პირველი დიდი დემონსტრაცია
მთავრობის წინააღმდეგ მოახდინეს 1817 წ. სტუდენტებმა ქ.
აიზენახის ახლოს. წარმოსთქვეს პოლიციურ წყობილების წი-
ნააღმდეგ მყაცრი სატყუები და დასწვეს რამდენიმე კონსერ-
ვატიული წიგნები. 1819 წ. მანჰამის სტუდენტებმა, სანდმა,
მოჰკული ცნობილი კონსერვატიული მწერალი კოცებუ-
მთავრობა ამ გარემოებამ ძალაან დააშინა. უთუოთ დიდი
საიდუმლო შეთქმულობა არსებობსო. სანდი დახვრიტეს და
ლიბერალებმა წმინდათა შორის შერიცხეს. დიდხანს მის თმის
და ტანისამოსის ნამცეცს ნიწილივით უბეში ატარებდენ. ერ-
თი ისტორიკოსი აღნიშნავს: მესამოცე წლებში ბევრ ძველ
ლიბერალთ ვიცნობდი, რომელნიც სანდის თმის ნავლეჯს
დიდი მოწიწებით ინახავდნენ. ასე ნელ-ნელა ინტელიგენცია
ამოძრავდა და ომი გამოუცხადა მთავრობას. მუშა-ხალხი გა-
დადიოდა შვეიცარიაში და საფრანგეთში, სადაც თავისუ-
ფალ აზროვნებას ეჩვეოდა და შინ დაბრუნებული ახალ მოძ-
რაობის მომხრე ხდებოდა. ამის გამო 1835 წ. გერმანიის
მთავრობამ ხელოსან ხალხს შვეიცარიაში გასვლა აუკრძალა
და შვეიცარიის მთავრობას დაავალა გერმანიის საეჭვო ქვე-
შევრდომნი თავის საზღვრებში არ დაეყენებია. ამის ძალით
1836 წ. ბევრი სტუდენტები, ვაჭრები და მუშები გამოაძე-
ვეს შვეიცარიიდან.

მარქსი იხსენიებს, რომ რევოლუციონური იდეები ძალიან
გავრცელებული იყო ვაჭართა შორის, ემიგრანტებს უცხო-
ეთში მოვაჭრე გერმანელნი დიდ დახმარებას უწევდენ და სხ.

პირველი ლიბერალური პროგრამმა საჯაროთ შემუშავდა
ოფენბურგის სახალხო ყრილობაზე 12 სექტემბერს 1847 წ.

აი უმთავრესი მუხლები: „ბეჭდის, სინიღისის და სწავლა-
განათლების თავისუფლება; ხალხის შეიარაღება. სამართლიანი
გადასახადი. საყოველთაო სწავლა, ნაფიცა მსაჯულება. სა-
ხელმწიფოს მართვა-გამგებობა ხალხის სასარგებლოთ; შრომისა
და კაპიტალის შორის უსწორ-მასწორობის გასწორება, ყო-
ველივე უპირატესი უფლებების გაუქმება, მხედრობის დაფი-
ცება ამნაირ წყობილების ერდგულობაზე და კერძო პირთა
თავისუფლების დაცვაზედ პოლიციის თვითნებობის წინა-
ოღმდეგ“. ამას დაერქვა ხალხის მოთხოვნილება.

რაც უფრო ძლიერდებოდა ოცნებოლიუციონური მღელვარე-
ბა, მით უფრო გასასტიკდა და გირეაქციონერდა მთავრობა. პრუსიის მეფემ ფრიდრიხის ვილჰელმ მე-IV მოიწვია წოდებათა
წარმომადგენელნი და 11 აპრილს 1847 წ. კრებას ამ სიტ-
ყვებით მიჰმართა: „საჭიროთ მიმაჩნია საჯაროთ გამო-
გიცხადოთ შემდეგი: ქვეყნის ვერავითარი ძალა მე ვერ
მაიძულებს, რომ ბუნებრივი, შინაგანი ქეშმარიტებით
განმტკიცებული დამოკიდებულება მეფისა და ხალხს შორის,
პირობითი და კონსტიტუციონალურ დამოკიდებულებათ გა-
დავაქციო. ვერასოდეს მე ვერ წარმოვიდგენ იმას, რომ მაღ-
ლა ღვთის და დაბლა დედა-მიწის შორის რაღაც დაწერილი
ქალალდი გაეჩიროს და, როგორც მეორე უზენაესი, ბრძანოს:
აი, ამ მუხლებით და პარაგრაფებით ქვეყანა უნდა იმართოს
და ძველი წმინდა ჩვულება გაუქმდესო“. აი ასე შორს გადაი-
სროლა ეს „დაწერილი ქალალდი“. 1848 წ. თებერვალში ის
ასეთ წერილს სწერს საფრანგეთის მეფეს ლუი ფილიპეს: „ხელ-
მწიფეო, თქვენ ხართ ევროპის ტახტთა ფარი, თქვენ ხართ გან-
გების მიერ დაყენებული დარაჯი, რომ საუკუნოების შრომა
განსაცდელისაგან იხსნათ და კაცობრობა ძველს შერყეულს
საფუძველზე ისევ გაამაგროთ“. სწორეთ ერთის კვირის შემდეგ
ევროპას ელვასავით მოედა:

პარიჟში რევოლუცია ასტყდა!

რესპუბლიკა დაარსდა!

ამ მოულოდნელმა ამბავმა პირველით სამხრეთი გერმანია, აამოძრავა: ბადენი, ვიურტენბერგი, ბავარია ჩევოლოუციამ ჩაითრია. ყველგან ხალხი თხოულობდა კონსერვატიულ სამინისტროს დათხოვას და ლიბერალურის შედგენას. მარტში უკვე ჯანყება მთელ გერმანიას (ავსტრიითურთ) მოედო. ბარიკადები, სამოქალაქო ომი, სისხლის ღვრა და ბოლოს ხალხის გამარჯვება — აი მარტის ამბები.

18 მარტს ბერლინის ხალხი სასახლეს შემოადგა და ცნობილი ოფენბურგის „ხალხის მოთხოვნილება“ მეფეს წარუდგინა. მეფე აივანზე გამოვიდა, უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ ხალხის ურიამულის გამო ვეღარ მოახერხა. მის მაგიერ იქ მდგომ ბურგომისტრმა გადმოიძახა:

„მეფეს სურს ბეჭდვის თავისუფლება,

„მეფეს სურს ხალხის წარმომადგენელთა მოწვევა,

„მეფეს სურს ლიბერალური წყობილება,

„მეფეს სურს მთელი გერმანიის ხალხის ერთობა“.

სიხარულს დასასრული აღარ მიეცა. მხოლოდ მუშები ვერ დაკმაყოფილდენ. სამართლის მინისტრი, მსწავლული სავინი, რომელიც იმ დროს ხალხში იყო, ერთ მუშას არწმუნებდა: მეფემ იმაზე მეტი მოგვცა, რაც ჩვენ გვინდოდა. მუშამ ასე უპასუხა: „ბებერო, შენ ამას ვერ მიხვდები, მეფეს სრულებით არაფერი არ მოუცია“. ამ პასუხში მეტი სიმართლე აღმოჩნდა, ვიდრე მინისტრის სამართალში. ცოტა ხანს შემდეგ ყოველ მხრიდან ხალხს მხედრობა შემოერყოფა და მოინდომა გაფანტვა: ხალხი წინააღმუდგა: თავისუფლება მოგვეცა, სადაც გვსურს, იქ შევიკრიბებით და რაც გვსურს იმას ვილაპარაკებთო. ამის პასუხი ჯარის ხმალი და თოფის კონდახები იყო. ამ დროს ორი თოფიც გამოისროლეს. ხალხმა იგრიალა, გვიღიალატეს, მოგვატყუეს, თოფი ხელშით და დაეცნენ არსენალს და სხვა იარაღების საწყობებს, გამოიტანეს იარაღები, ქუჩებში ააგეს ვეებერთელა ჯეფირები და საფრები. ხალხი და ჯარი შეიტაკა. ომი გაგრძელდა ორს დღეს.



19 მარტს, საღამოს, ჯარი გაყვანილი იქნა ბერლინიდან. შე-
ფერ დაითხოვა ძველი სამინისტრო და მიიწვია ახალი. 22
მარტს გამოსცა პროკლამაცია, რომლითაც ხალხს იუწყია შე-
ძლევი: ვიწვევ ხალხის მიერ ამორჩეულ წარმომადგენელთ და
წარუდგენ გადასაწყვეტათ: 1) პირადი თავისუფლების უზრუ-
ნველებულება; 2) ყრილობათა და საზოგადოებათა შედევნის
თავისუფლება; 3) ხალხის შეიარაღება ხალხის მიერ არჩეულ
წინამდლოლთა სარდლობით; 4) მინისტრთა პასუხის-მგებლო-
ბა, 5) ნაფიცია მსაჯულება ყველა პოლიტიკურ დამნაშავე-
თათვის, 6) მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და სხ. მოის-
პო ცენზურა, აილაგმა პოლიცია. გაზეთები, წიგნები, კრე-
ბები, მიტინგები გამრავლდა და მოედო მთელ ქვეყანას. და-
იწყო საარჩევნო აგიტაცია, აღმოჩნდა თავისუფალი აზროვ-
ნება, თავისუფალი ყრილობა, თავისუფალი ბეჭდვა, — ერთი
სიტყვით, ჯურლმულში დამტკიცდეული ადამიანთა ძალ-ლონე,
ენერგია და ნიჭიერება გადმოსკდა გარეთ, ამოვიდა სინათლე-
ში და მოიცო მთელი ცხოვრება. მოედანზე გამოვიდა პოლი-
ტიკური პარტიები და ახალი მოძრაობის მეთაურათ შეიქნა. ხალხი ჩადგა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამნაირათ, ის, რაც
გუშინ კანონს გარეშე იდგა, დღეს კანონიერათ იქმნა ცნო-
ბილი. ის, ვინც გუშინ საეჭვო ყოფა-ქცევის კაცათ იყო
მიჩნეული, დღეს მინისტრათ შეიქნა; ის, ვინც გუშინ ციხე-
ში იჯდა, დღეს კანონმდებლათ გახდა. აზროვნება, რომლისა-
თვის გუშინ ატუსაღებდენ, დღეს მთავრობის სახელმძღვანე-
ლოთ შეიქმნა. გუშინ ქვეყანას პოლიცია და უანდარმები გა-
ნაგებდენ, დღეს ქვეყანა განაგებს პოლიცია-უანდარმებს. გუ-
შინ ხალხის კისერზე ბიუროკრატია ბატონობდა, დღეს ხალ-
ხი ბატონობს ბიუროკრატიაზე, გუშინ მთართველთა უფლება
ხალხის უფლების დარღვევა იყო, დღეს ხალხის უფლება
მთართველთა უფლების დარღვევაა. გუშინ ხალხი არაფერი
იყო, დღეს ის ყველაფერია, გუშინ წესრიგი მაღლიდან ქვე-
ვით მიღიოდა, დღეს ის ქვევიდან მაღლა მიდის. გუშინ ადა-

მიანი მხოლოდ მორჩილი ქვეშევრდომი იყო, დღეს ის თავისუფალი მოქალაქეა, გუშინ მას უკანასკნელი მოხელეც კი უბრძანებდა, დღეს ის შეიქნა მპრძანებელი. ერთი სიტყვით, პირუტყვი ამეტყველდა უვიცი გაგონიერდა, ყრუ სმენათ გადაიქცა, ბრძან თვალი აიხილა. დღეს ის ყველაფერს იკვლევს, ზომავს, სჯის, სურს ყველაფერი თავის ხელში გაატაროს, დაწყებული უმაღლესი სახელმწიფო საქმით და გათავებული თავის სამზარეულოთი. დღეს მან პირველათ შეიგნო, რომ მინისტრის პორტფელის და მის სამზარეულო დავთარს შორის მჭიდრო კავშირია, რომ რამდენათ პირველში მეტია აღნიშნული გასავალი, იმდენათ მეორეში ნაკლებია, რამდენათ სახელმწიფო მეტი ფულს ხარჯავს, იმდენათ ხალხმა მეტი უნდა გადაიხადოს. ამიტომ დღეს ის თვით მართვა-გამგების ზედამხედველათ ხდება, რომ მით თავის ქისის ზედამხედველიც თვითონ შეიქნეს. ეს მეორეთ დაბადებაა, ეს სრულიად განახლებაა, ეს ქვეყნის გადატრიალებაა...

მაშ შევიდეთ ამ ახალ ქვეყანაში, მივათვალიერ-მოვათვალიეროთ აქაურობა, ვნახოთ ვინ როგორ არის, ვინ რას ამბობს, ვინ როგორ მოქმედობს, ვინ როგორ სჯის.



პარფიათა გამორკვევა და პარფიათა ზრძოლა.

ამ გვარათ 1848 წ. მარტში კონსერვატიზმი და ლიბერალიზმი შეეჯახენ ერთმანეთს, საიდანაც გამარჯვებული გამოვიდა უკანასკნელი. ამ შეჯახებას, ამ რევოლუციის თრიუმფორმა მიეცა: ნაციონალური და პოლიტიკურ-სოციალური. ხალხმა მოინდომა ოც-და-თექვსმეტით დანაწილებული გერმანია შეერთებინა, თავი მოეყარა და ერთი ნაციონალური ცხოვრება დაეწყო. მაგრამ ეს ცხოვრება ახალ პოლიტიკურ წყობილებაზე უნდა იგებულიყო. ნაციონალური ერთობა დემოკრატული ერთობით — აი რევოლუციონერთა დროშა. ამ თრიკითხვის დაცილება, ერთის მიტოვება და მეორის განხორციელება ყოვლად შეუძლებელია. თრივე რევოლუციამ წამოაყენა, თრივე ხალხის სურვილიდან მომდინარეობს, თრივე ერთი და იგივე სარბიელი აქეს; ან თრივემ უნდა გაიმარჯვოს, ან თრივე უნდა დამაცხდეს. მათი გატარება რევოლუციის გატარებაა, მათი უარის-ყოფა რევოლუციის უარის-ყოფაა. ამით კონსერვატორები იძულებული შეიქნენ შებრძოლებოდენ არა მარტო პოლიტიკურ თავისუფლების, არა მედ ნაციონალურ ერთობასაც, მათ უნდა უარ ყოოთ როგორც ლიბერალიზმი, ისე ნაციონალიზმი. ასეთია ისტორიული ლოდიკა, ამის შეგნება მოღვაწეთა უპირველესი მოვალეობაა. ამ სახით, კითხვა ასეთია: გერმანის ერთობის აღდგენა და პოლიტიკური თავისუფლების დამყარება. თრივეს აღმასრულებელი ხალხია, მაგრამ, რადგანაც მთელი ხალხის ერთად შეკრება შეუძლებელია, ამიტომ არჩეულ იქნენ მისი წარმომადგენელები, რომელთა სხდომა გაიხსნა ქალაქ ფრანკფურტში (მაინზე) — იმავე წლის 18 მაისს. ეს არის ფრან-

კუფურტის პარლამენტი, რომელში მოთავსებულია მთელი გერმანიის ხალხი. გერმანიის ერთი პარლამენტი გერმანიის ერთობის საფუძველია, — ხოლო გერმანიის პარლამენტი ხალხის სურვილის და უფროსობის გამომხატველია. ერთი სიტყვით, გერმანიის პარლამენტი — ეს გერმანიის რევოლიუციაა. მეორე მხრით ამ რევოლიუციის და მაშასადამე, ამ პარლამენტის მტერი კონსერვატორები და მთავრობებია. ხოლო ესენი ერთათ შეკრებილი კი არ არიან, ერთ ცენტრალურ ძალას კი არ წარმოადგენენ, არამედ ოც-და-თექვსმეტათ არის დაყოფილი, ოც-და-თექვსმეტი ცენტრალური ძალაა. მართალია გერმანია გაერთდა ფრანკფურტის პარლამენტით, მაგრამ ეს ერთობა არის მოჩვენებითი ერთობა, ვინაიდან მას არავითარი ძალა ხელთ არ უცყრია. ძალა უცყრია მთავრობებს, ხოლო მათი რიცხვია 36. გერმანია გაერთიანებული რევოლიუციონური პარლამენტით, დანაწილებული კონსერვატიული მთავრობებით — აი აქ არის მთელი ნასკვი. მთავრობამ კარგად იცის სად არის მისი მტერი, სად არის მოკრებილი რევოლიუციის ძალა, სად უნდა იქნეს იერიში მიტანილი. პარლამენტმა კი სრულებით არ იცის კონსერვატორთა ცენტრი, ვინაიდან ეს არ არსებობს. ცხადია, პარლამენტი ყალბ მდგომარეობაშია. მისი ნიადაგია დანაწილებული სამშობლო, თავისი მთავრობებით და განსაკუთრებითი წყობილებებით. პირველი გერმანია ფიკტიურია, ოცნებაა, მეორე — ნამდვილი, აშკარაა. პირველის ძალა სიტყვა და ქალალდია, მეორესი — პოლიცია, ეანდარმები, შედრობა და მოხელეობა. ამით გაიხაზა ორი სხვა და სხვა გზა: პირველისათვის ლაპარაკი და განაჩენები, მეორისათვის მოქმედობა და უთქმელობა. პირველი გულ ახდილათ უნდა მსჯელობდეს, ახალი წყობილება უნდა შეიმუშაოს. მეორე სრულიათ უნდა გაჩუმდეს, ენა უნდა ჩაიგდოს და თავისი განზრახვის გასაყვანათ მარჯვე ღროს უცადოს. პირველის განაჩენი მაშინ შევა ძალაში, როცა მეორე იცნობს, მაგრამ ეს არასოდეს არ იცნობს თუ ხალხმა ძალა არ დაატანა ე. ი. ხელ-ახალი რე-

ვალიუცია არ მოხდა. რევოლუცია უნდა მოხდეს ზეითუ-
შლ სამეფოში ცალ-ცალკე, ადგილობრივ ხალხმა ადგილო-
ბრივი მთავრობა უნდა დაამარცხოს. მაშასადამე, ფრანკფურ-
ტის პარლამენტს აქ აქვს ძალა და მით მთელი კითხვა ისევ
დანაწილებულ გერმანიაში გადმოვიდა. ეს ნაწილები მეტ-ნა-
კლებ სივრცეს, ღონეს და მცხოვრებლებს წარმოადგენენ.
ამათში პირველი ალაგი უჭირავს პრუსიას ¹⁾. თუ აქ გაი-
მარჯვა რევოლუციამ, მაშინ ყველგან გაიმარჯვებს, თუ აქ
დამარცხდა, მთელ გერმანიაში დამარცხდება. რევოლუციის
ჩარხს პრუსია ატრიალებს. ფრანკფურტის პარლამენტის დე-
და-ბოძი პრუსიის ხალხია, ხოლო პრუსიის ხალხის დედა-ძარ-
ღვი ბერლინში სცემს. ბერლინია ბუდე კონსერვატიული
მთავრობის და რევოლუციონური ხალხის. პირველ შეტაკე-
ბაში დამარცხდა მთავრობა და მაიწვია პრუსიის ხალხის
წარმოადგენელნი ლიბერალური წყობილების შესამუ-
შავებულათ. აი ამის სვე-ბედთან მჭიდროთ შეკავშირებულია
ფრანკფურტის პარლამენტის და მასთან მთელი გერმანიის
სვე-ბედიც. მაშ მოვცილდეთ ფრანკფურტის და მიუუბრუნდეთ
ბერლინს.

ლიბერალიზმის გამარჯვება იმაში გამოიხატა, რომ ძველი
აზნაურთა სამინისტრო დათხოვნილ იქნა და ორ შეძლებულ
ვაჭართა (კაპიტალისტი და პანსენმანი) მეთაურობით ახალი შე-
დგა. მამული ძლეულ იქნა ფულის მიერ. კაპიტალი დაეპა-
ტრონა მართვა-გამგეობას. ამით გაიხსნა ხანა პოლიტიკური
ბრძოლისა და პარტიათა გამორკვევისა.

რას ნიშნავს ლიბერალიზმი? როგორც ზევით დავინა-
ხეთ, ეს არის მოძლველება თავისუფლების შესახებ. ის შემუ-

1) აგრეთვე ავსტრიას. მაშინ ავსტრია გერმანიის ერთ ნაწილათ
ითვლებოდა. ჩვენ მას ა უყურადღებოთ ვტოვებთ, იმიტომ რომ შემ-
დეგ ის გერმანიიდან გამოირიცა და მით გერმანიის საქმეთა მსვლელო-
ბასთან პირდაპირი კავშირი გაუჟირა.

შევდა ფეოდალურ-მონარქიულ წყობილების ქერქში. იმანვე მოიყვანა ხალხი მოძრაობაში, მაგრამ ამ მოძრაობამ სხვა-და-სხვა ერში სხვა-და-სხვა პოლიტიკური ფორმა მიიღო: საფრან-გეთში—რესპუბლიკა, ინგლისში—კონტინუალი მონარ-ქია და სხვა. ცხადია, ლიბერალიზმი არ წარმოადგენს ერთ გან-საზღვრულ პოლიტიკურ მიდრეკილებას, რომელიც ერთ გან-საზღვრულ პრაქტიკულ განხორციელებას ღებულობს. ის მხოლოთ ახალი მოძრაობის დედა-ძარღვს ეხება, მხოლოთ მის საერთო მიმდინარეობას იკვლევს და აქედან გამოჰყავს, რომ ადამიანი თავის მოქმედებაში თავისუფალი უნდა იყოს. ხოლო ამ თავისუფლებამ რანაირი სისხლ-ხორცი უნდა შე-ისხას, ცხოვრებაში რანაირი გამოხატულება უნდა მიიღოს—ეს და მოკიდებულია თვითონეული ხალხის განსაკუთრებითი ისტორიული პირობებისაგან. კითხვაზე: საჭიროა თავისუფლება? კონსერვატორები უგებენ—არა, ლიბერალები—კიო. ამ და-ვაში ერევა ხალხი და აჯანყებით ამტკიცებს—საჭიროა. რა-კი ეს ძირითადი კითხვა რევოლუციამ გადაჭრა, მაშინვე იბა-დება მეორე კითხვა: რანაირი თავისუფლებაა საჭირო? ამის სხვა-და-სხვა პირი, სხვა-და-სხვა ჯგუფი სხვა-და-სხვანაირათ სჭრის და მით იწყება პარტიობა. თუ პირველ კითხვაზე ყვე-ლა ლიბერალები, ე. ი. თავისუფლების მსურველნი თანახმანი იყვენ, მეორეზე უთანხმონი არიან და იყოფებიან რამდენსა-მე დასათ. ლიბერალიზმი, როგორც ფილოსოფიური მოძღვ-რება, შეადგენს მათ საერთო ნია-იგს. ლიბერალიზმი, რო-გორც პოლიტიკური ფორმა, შეადგენს მათ სხვა-და-სხვა ნი-ადგს. ამ დღიდან მთელი კითხვა ტრიალებს ამის გარშემო: რევოლუციის მიერ გამოიქმული პრინციპი რანაირათ გა-ატარონ ცხოვრებაში? ომით მოგებული თავისუფლება რანა-ირათ დამაგრდეს მშვიდობიანობაში?

ამ კითხვის შესახებ პრუსიის კონსერვატორები ორათ გაიყო. ერთი — „პატიარა, მარა ძლიერი პარტია“, როგორც მა-სი მეთაური გერლახი უწოდებდა, პირდაპირ უარს ყოფდა თა-

ვისუფლების დედა-აზრს და თხოულობდა უკან დაბრუნებას, თვითმყრობელობის აღდგენას. ამ პარტიამ გავლენა ვერ მოი-პოვა ვერც სასახლეში და ვერც საზოგადოებაში. რევოლუც. ციამ ისე დაანძრია ცხოვრება, რომ მისი ძველ კალაპოტში ჩაყენება შეუძლებელი შეიქნა. აი, ეს იცნო კონსერვატორთა უმრავლესობამ, რომელიც შეადგენდა მეორე პარტიას და რო-მელიც მხარს უჭერდა პირველთ რევოლუციონერთა წინააღ-მდეგ. ის ახლა თავისუფლების პრინციპს აღარ ჰყოფდა უარს, შხოლოდ მოინდომა მისი კონსერვატიულათ განხორ-ციელება, ე. ი., რაც შეიძლება ნაკლები თავისუფლება ხალხს და მის წარმომადგენელთ და მეტი თავისუფლება მთავრო-ბას და მის აგენტებს. ეს პარტია ახალ პირობებს შეურიგდა შხოლოდ იმ აზრით, რომ თვითოს შექნილიყო მისი ხელ-მძღვა-ნელი და ყველაფერი თანახმათ მისი სურვილისა მოეწყო. მისი ორგანო გახდა ახალი დაარსებული „ჯვარიანი გაზეთი“, რომე-ლიც დღესაც ამავე როლს ასრულებს.

თავისუფლებისათვის მებრძოლნი, თავის მხრივ ორათ გაიყო: ლიბერალები და დემოკრატები. პირველნი შეიცავ-დენ მაღალ და საშუალო ბურჟუაზიას, პროფესორებს და სწავლულებს, მეორენი წვრილ ბურჟუაზიას, მუშა-ხალხს, თავისუფალ-მოაზრეთ და ინტელიგენციას. ლიბერალთ სურ-დათ ისეთი წყობილება, სადაც შეძლებულნი გაბატონდებიან, ხოლო დემოკრატთ ისეთი, სადაც ხალხს მიენიჭება ბატონობა. ამნაირათ შედგა სამი დიდი პარტია, წარმომად-გენელნი ცხოვრების სამი მიმდინარეობისა: კონსერვატორები — მამულის, ლიბერალები — სხვილი კაპიტალის და დემოკრა-ტები — წვრილი საკუთრების: კაპიტალია იგი, მიწა-ადგილი თუ შრომა. ახლა ესენი უფრო დაწვრილებით გავარჩიოთ.

კონსერვატორთა შეთაურია სწავლული იურისტი იულიუს სტალი, რომლის ერთი აზრი ზევით მოვიყვანეთ. ამიტომ ჩვენ ის გაგვაგებიებს, თუ რას ნიშნავს მისი პარტია. მის სტატია-

ში „კონსერვატორთა დღიუშა“¹⁾ ჩვენ ვკითხულობთ: „ჩვენი უმაღლესი სახელმძღვანელო დედა-აზრია შემდეგი: ყოველ-გან კანონის და არა ხალხის სურვილის ნიადაგზე დადგომა, ერთგულით სამსახური მეფის ბატონობისა და დამოუკიდებლობისათვის, წინააღმდეგობა რევოლიუციის ზნეობრივათ და უფ-ლებრივათ ცნობის, ბრძოლა წინააღმდეგ ხალხის უფროსობისა და ფრანკფურტის, თუ ბერლინის პარლამენტთა კონსტიტუციონალური მიღრეკილებისა... უეჭველია, ნამდვილი, ძველებური მეფობა გაუქმდა, მისი აღდგენა დღეს არ შეიძ-ლება, მაგრამ უეჭველია ისიც, რომ კანონის და მეფის აღა-გას ხალხის უფლება არ ჩამდგარა, მხოლოთ კონსტიტუციო-ნალური წყობილება ჩადგა ძველი წყობილების აღაგას“.

ამიტომ პოლატიკური ერთობის საფუძველი უნდა იყოს მხოლოდ ნამდვილი მონარქიულ კონსტიტუციონალური მეფო-ბის უფროსობა. მაგრამ ამ უფროსობისგანხორციელება უნდა მოხ დეს ახალი, კონსტიტუციონალური წყობილებით, რაიცა მდგო-მარეობს შემდეგში. მეფის უფლების ხელ შეუხებლობა, რომე-ლიც მომდინარეობს მოწყალებისაგან ღვთისა და არა მოწყალე-ბისაგან ხალხისა, ყოველივე სანკცია და ძალა მისგან გამოდის, ასე რომ მეფის ნებადაურთვევლათ სახელმწიფო არაფერი გადაწყ-ტება. ამასთანავე საჭიროა ხალხის თანაბატონობა-Mitherschaft წარმომადგენელთა შემწეობით ყველა საზოგადო კითხვაში. მარ-თველობის არა გაყოფა ხალხსა და მეფეს შორის, არამედ მისი შეერთება, ერთი საერთო მმართველობის შექნა მეფის და ხალხის ხელმძღვანელობით. ამ ერთობის საძირკველია: მეფის მმართველობის სიძლიერე და დამოუკიდებლობა კონსტიტუ-ციონალურ საზღვრებში“.

რანაირათ შეიძლება კონსტიტუციურ საზღვრებში მეფის დამოუკიდებლობის შერჩენა? ნუ თუ ხალხის ზედა მხედველო-

¹⁾ მოთავსებულია მის ნაწერთა კრებულში: „Die Revolition und die konstitutionele Monarchie“.

ბის ცნობა მეფის უფლების შეზღუდვა არ არის? სტალი აძ-
ბობს, ცხადია ეს ასეთ, მარა ხალხის უფლების დაკანონება
ისე უნდა მოხდეს, რომ მეფის უფლება არ შევიწროვდესო.
ამ მიზნის მისაღწევათ ასეთი წყობილებაა საჭირო: პარლამენტი
უნდა იყოს ორი, უმაღლესი და უმდაბლესი, პირველის წევრი
ინიშნებიან თვითონ მეფისაგან და შეიცავენ განსაკუთრებით
მემამულე კეთილ-შობილთ და უმაღლეს მოხელეთ, ხოლო მეო-
რის წევრთ ირჩევს ხალხი. ხალხის არჩევანი შევიწროებულია.
კენჭი აქვთ მხოლოდ შეძლებულთ და რამე შესაფერი საკუთ-
რების პატრონთ. ერთი სიტყვით, ეს ერთიანა ქონებისაგან
არის დამოკიდებული. ხალხის პარლამენტის განახენი ვერ და-
კანონდება „ბატონთა (პირველის) პარლამენტის“ ნება დაურ-
თველოთ და მეფის დაუმტკიცებლათ. მეფეს Veto-ს უფლება
აქვს. მინისტრებს ნიშავს მეფე, მათი გადადგომა სრულებით
პარლამენტისაგან არ არის დამოკიდებული, სამინისტრო პა-
სუხის-მგებელია მეფის წინაშე და მისი დათხვაც მეფეს
საჭმეა.

ამ სახით ხალხის შევიწროებულ კენჭის ყრისაგან წარმო-
დგება დეპუტატთა პარლამენტი. ამ შევიწროებულ პარლამენ-
ტის განახენი შევიწროებულია ბატონთა პარლამენტისაგან,
ხოლო ორივე ერთათ მეფის მთავრობისაგან. მაშინადამე რა
არის კონსტიტუციონალური მეფე? — კითხულობს სტალი და
თავის აზრს ასე მოკლეთ ხატავს: „ის არის არა მარტო აღმა-
სრულებელი ძალა, არამედ ბატონიც, აქვს არა მარტო ბა-
ტონობის უფლება, რომლის ამოძრავება პარლამენტისაგან
არის დამოკიდებული, არამედ თვით ეს ამოძრავება და უფ-
ლების მოხმარება არსებითათ მისგან არის დამოკიდე-
ბული. ის არის შეზღუდული მეფე და არა მხოლომ
სახელით მეფე... ის არის ისეთი მეფე რომელიც ვერავი-
თარ შემთხვევაში ვერ იტყვის: Das ist mein Belieben—
მე ასე მომექეიფებაო, მაგრამ ამასთანავე არავითარ შემთხვევა-
ში ხალხს და პარლამენტს არ დაემორჩილება, როცა ეს ამ-

ბობს, მე ასე მომექეიფებაო. ის არის ისეთი მეფე, რომელსაც უნდა ჰქონდეს ძალა წინააღმდეგ ხალხის წარმომადგენელთა და საზოგადო აზრისა „... აი, ასეთია კონსერვატორთა კონსტიტუცია, ასეთია მათი პოლიტიკური პროგრამა. აქ ვითომ ძველ და ახალ წყობილებას შორის ხიდია გადებული, კავშირია აღ-დგენილი, ტრადიციაა შენახული. ლოლიკურათ მთელი ეს მსჯელობა საშინელ უკუღმარობას წარმოადგენს, ყველა წი-ნადადება ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ერთმანეთს არღვევს და მით მთელი სისტემა უსისტემობაში გადადის. მაგრამ ისტორიუ-ლათ ეს უსისტემობა აუცილებელი მოვლენაა. მხოლოდ ასე-თი ლოლიკური ნახტოშით შესაძლებელი იყო პარტიის არსე-ბობა და შოლვაშეობა, მხოლოდ ამ უსისტემობით შეიძლე-ბოდა კონსერვატიული სისტემის აღდგენა. წინ წასვლა—ეს ლიბერალიზმია, უკან დაწევა—ხელ-ახალი რევოლიუციაა და ასე ბატონნი აზნაურები იძულებული შეიქნენ შუაზე დამდგარი-ყვენ, პირი წასულისაკენ ექნათ, ზურგი მომავლისაკენ და ამნაირათ ხან იქით, ხან აქეთ, ხან პირ-წალმა, ხან პირ-უკულმა ევლოთ. მათი პირ-წალმა—წასული, პირ-უკულმა—მომავალი, ხოლო აწმყო ჯერ არავისი არ არის. აქ ბრძოლაა და, ვინც საბოლოოთ გაიმარჯვებს, აწმყოც მისია.

კონსერვატორთა მოპირდაპირე პარტიას შეადგენენ დემოკ-რატები. მოვისმინოთ დემოკრატთა მეთაურის იოპან იაკობის სიტყვა 12 სექტემბერს ხალხის წინაშე წარმოთქმული: „ბატო-ნებო, მე პირველათ აქ თქვენ წინაშე განვაცხადე, რომ ჩემის აზრით ერთათ-ერთი რესპუბლიკა რჩის ის წყობილება, რომე-ლიც გონიერებას ეთანხმება და მომავალ დანიშნულებას—სო-ციალურ კითხვის—გადაჭრის. მაგრამ ამასთანავე ისიც ვთქვი, რომ ხალხისთვის ასეთი წყობილების ძალათ თავზე მოხვევა შეუძლებელია. მარტის რევოლიუციაში ჩვენმა ხალხმა დაამტ-კიცა, რომ მას კონსტიტუციონალური მონარქია სურს. ხმა ერისა—ხმა ღვთისაა. უნდა ვეცადოთ თავისუფლება და ხალხის უფლებები კონსტიტუციურ წყობილებაში უზრუნველ ვყოთ.

რომ კონსტიტუციონალური მოჩვენებითი თავისუფლება ნამდვილ თავისუფლებათ არ მივიღოთ, აუცილებელია შემდეგი: ხალხის სურვილი სრულიად ცნობილ და მაღებულ იქნას, მეფეს და მინისტრთ მხოლოდ რჩევის და მსჯელობის ხმა აქვთ, გადამწყვეტი კი ერთათ-ერთი ხალხის ნებაა, რაიცა იხატება მისი წარმომადგენლებით. ერთი კაცის ნება, თუნდა ეს გვირჩვინოსანიც იყოს, ხალხისთვის სავალდებულო არ უნდა იყოს. ერთს მხოლოთ გონიერი უპირატესობით შეუძლია გავლენა იქონიოს და არა ბრძანებით და ძალ-მომრეობით. მხოლოთ ხალხის საერთო სურვილი წყვეტს ყველა საზოგადო კითხვებს. აი ეს არის ხალხის უფროსობის დედა-ბოძი. კონსტიტუციონალური მონარქია, რომელიც ხალხის უფროსობაზე არ არის აგებული, მარტო სახელით განიჩევა თვით-მკურობელობისაგან. ეს აუცილებლათ იწვევს ბრძოლას მეფესა და ხალხს შორის და თავდება დესპოტიზმით ან რევოლუციით¹⁾. მეორე სიტყვაში ამბობს: „ჩვენი მიზანია ისეთი წყობილება, რომელიც ხალხის წარმომადგენელთ ანიჭებს სრულ უფლებას კანონ-მდებლობისას და გადასახადების ნებართვისას. მათ მიერ ნება-დაურთველ და დაუმკიცებელ წესებს არავითარი ძალი არ უნდა ჰქონდეს. ერთი სიტყვით, ორი საჭირ-ბოროტო კითხვაა: თავისუფალ ადამიანთა ნება, თუ მეფის მოწყალება“²⁾.

მეორე დემოკრატი გეორგ იუნგი ამბობს: „ჩვენ გვინდა სახელმწიფოში ერთი მმართველობა; ეს არის ხალხის სურვილი, რაიცა იხატება კანონმდებელი და ზედამხედველი პარლამენტია. ტახტს აქვს მხოლოთ აღმასრულებელი უფლება“... ამნაირათ, დემოკრატები თხოულობენ სრულ წინა-აღმდეგს იმისას, რასაც კონსტიტუცია ქადაგდება. უკანასკნელთათვის კონსტიტუცია ნიშნავს ისეთ წყობილებას, სადაც ყოველივე ძალა მეფის ხელშია, ხალხის

¹⁾ „Rede des Abgeordneten Iohan Iakoby“ 1848

²⁾ Ueber die preussische Vervassungsfrage“. 1849 მისივე.

წარმომადგენელთ მარტი სჯა-ბასის ნება აქვთ. პირველ-
 თავის კონსტიტუცია ნიშავს ისეთ წყობილებას, სადაც
 ყოველივე ძალა ხალხის წარმომადგენელთ აქვთ, მეფემ მათი
 გადაწყვეტილება სისრულეში უნდა მოიყვანოს, სხვა მას არა-
 ფერი ეკითხვის. ეს ორი სხვადასხვა მიმდინარეობაა: ერთი
 კონსტიტუციის სახელით ბორკილს ადებს იმას, ვინც მუდამ
 დაბორკილი იყო—ხალხს, მეორე ამ ბორკილს ხალხს
 ხსნის და ადებს იმას, ვინც მუდამ თავისუფალი იყო—მეფეს.
 ერთი მეფეს უფლებით ხალხის უფლებას ავიწროებს, მეორე
 ხალხის უფლებით მეფის უფლებას. პირველია კონსერვატიუ-
 ლი კონსტიტუცია, მეორე დემოკრატიული. აი, ამათ შეა-
 შია ლიბერალთა პარტია.

ლიბერალთ სურთ ბურჟუაზის ბატონობა და მეტი არა-
 ფერი. ამისათვის ერთ ხელს დემოკრატი უშვერენ, მეორეს
 კონსერვატორთ. პირველათ უფრო მემარცხნეობდენ, ბოლოს,
 ხალხის მოძრაობისაგან შეშინებულნი, ნელ-ნელა მარჯვნივ გა-
 დაიხარენ. მათთვის კონსტიტუცია არის მინისტრთა პასუხის
 მგებლობა. მინისტრების გადაყენებ-გაღმოყენება პარლამენ-
 ტის უმრავლესობისაგან არის დამოკიდებული და არა მეფი-
 საგან. ამით განიჩევიან კონსერვატორებისაგან და ემზავ-
 სებიან დემოკრატთ. ხოლო პარლამენტი უნდა იყოს ორი:
 პირველი და მეორე, ზედა და ქვედა. არჩევანის უფლება აქვთ
 შეძლებულთ, შესაფერი საკუთრების მქონებელი. მეფეს უფ-
 ლება აქვს veto-ს, პარლამენტის დაშლის, დათხოვის, სხდო-
 მების გადადების, ახალ არჩევების დანიშვნის და სხვ. ერთი
 სიტყვით, ყველაფერში კონსერვატორთ ემხრობიან, გარდა
 სამინისტროს დანიშნულებისა. ამ სახით ლიბერალური პარ-
 ტია მიიღოვის ისეთი კონსტიტუციისაკენ, სადაც პარლამენ-
 ტის უმრავლესობას შეადგენს შეძლებულნი (ე. ი. თვითონვე
 ბურჟუაზი) და ამათ წინაშე სამინისტრო თავის მოქმედებაში
 პასუხის მგებელია ¹⁾

¹⁾ გერმანიის ბურჟუაზიას არ ასვენებდა ინგლისის ბურჟუაზიის

აი ეს სამი უმთავრესი პოლიტიკური მიმართულება დაედვა საფუძველათ ახალ ცხოვრებას. სამივეს სურს კონსტიტუციური მონარქია, მარა თვითეულს ეს თავისებურათ ესმის, თანახმათ იმისა, თუ ის ერის რომელ ნაწილს ეკუთვნის. აზნაურობა იცავს თავის წოდებრივ ინტერესს, ბურჟუაზია თავის მხრივ კაპიტალისტთა ინტერესს, ხოლო ხალხი უმრავლესობის დედა-აზრზე დგას: ყოველი ფერი ხალხის სასარგებლოთ უნდა მოეწყოს. ამის შეგნებული მატარებელი ქალაქების მუშა-ხალხია.

პირველი მიმდინარეობის წარმომადგენლებმა — კონსერვატორებმა — ასე მოკლეთ გამოხატეს თავიანთი შეხედულება: „Autoritaet, nicht Majoritaet“ — „ავტორიტეტი (უფროსობა) და არა უმრავლესობა“, ამის გასაყანათ არ ერიდებოდენ რევოლუციასაც, მაგრამ რევოლუციის უკან წაჩინების, რეაქციონურს. დემოკრატებმა ეს შეაბრუნეს და წინააღმდეგი პრინციპი წამოაყენეს „Majoritaet, nicht Autoritaet“ — „უმრავლესობა და არა ავტორიტეტი“. არც ესენი ერიდებოდენ რევოლუციას, მაგრამ ისეთს, რომელიც ცხოვრებას წინ შეაქნებს და ღრმა ცვლილებას ახდენს. ამათ შუაში გაკვეხებული ლიბერალები იძახოდენ: Ordnung, Ruhe Friede — წესიერება, მოსვენება, მშვიდობიანობა. ამ პარტიის ყოველივე რევოლუციონური მოძრაობა შესძულდა, უძრავათ გადაიქცა და თხოულობდა მთელი ქვეყანა იმასავით უძრავი ყოფილიყო. მის რევოლუციონურ ლტოლვილებას ბოლო მოელო მაშინვე, როგორც კი სამინისტრო ვაჭრებმა შეაღინეს. რასაკვირველია, ვაჭრებს ვაჭრები უნდა დაეცვა და, რადგანაც არეულ დროს ვაჭრობი შეფერხებულია, ცხადია, მათი რევოლუციონური მიდრეკილება კონსერვატორულით უნდა გადაქცეულიყო, წესიერების დამცველათ გამოსულიყო და გამდიდრება, ამიტომ ინგლისის კონსტიტუცია იდეალათ დასახეს. ამის გამო დაუინებით თხოულობდენ ბურჟუაზიულ პარლამენტს და სამინისტროს.

შით თავისი განვითარების პირობები შეექნა.

ასეთია ის სამი ძალა, რომელმაც მოიცვა არა მარტო პრუსიის, არამედ მთელი ერმანიის პოლიტიკური ცხოვრება. სამივე ერთმანეთს ებრძეს ბატონობისათვის, სამივე ერთი მეორის მტერია, სამივე მოწოდებულია სახემწიფოს მართვა-გამგეობის მოსაწყობათ. რაზედ არის დამოკიდებული ეს მოწყობა? ცხადია, ამ სამი ძალის განწყობილებაზე. მათი შეერთება-დაშლა, გადარევ-გადმორევა, ერთი მეორეში გადასვლა-გადმოსვლა, გადადუღებ-გადმოდუღება — აი, რამ უნდა ჩამოასხას ერთი სახელმწიფო პოლიტიკა, ერთი მართვა-გამგეობა, ერთი კონსტიტუციონალური წყობილება. სახელმწიფო ბორბლებს სამივე ჩაფრენია და მაეწიკება ერთი უკან, მეორე წინ, მესამე ერთ ალაგას იმაგრებს და არც ერთს არ ანებებს გასაგორებლათ. რა მხრით უნდა ამოძრავდეს ეს ბორბალი? აშკარაა იმ მხრით საითკენაც მეტი ძალაა. საითკენ არის მეტი ძალა? ამის გასაგებათ შევიდეთ იქ, სადაც ეს ძალები თავ-მოყრილია და ერთმანეთს ებრძიგიან. ეს არის ის დარბაზი, სადაც ხალხის წარმომადგენელნი (დეპუტატები) სხედან და რომელსაც საერო კრება ანუ პარლამენტი ეწოდება.

8 ამრიცს გამოცემული საარჩევნო კანონით ხალხმა აირჩია დეპუტატები და 22 მაისს მათი კრება ბერლინში გიხსნა. არჩეულ იქნა: 16 კეთილ-შობილი, 98 სასამართლოს მოხელე, 48 პოლიციის მოხელე, 28 ქალაქის მოსამსახურე, 52 სასულიერო პირი, 27 მასწავლებელი, 31 ვაჭარი, 28 ხელოსანი, 68 გლეხი, 11 ექიმი, 3 მწერალი, 4 აფიცერი, 1 შეგირდი ხელოსანი და ერთი დღიური მუშა. კონსერვატორები ისხდნენ მარჯვნივ, დემოკრატები მარცხნივ, შუაზელი ბერძერილები. მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონ-პროექტმა უმრავლესობა არ დააკმაყოფილა. აი რამდენიმე მუხლები: შედგენა ორი პალატის. პირველ 160 წევრს ირჩევენ ხალხის მიერ არჩეულნი და არა პირდაპირ ხალხი, დანარჩენთ თვითონ მეფე ნიშნავს. მეორე პალატას ერთიანათ ხალხი ირჩევს,

მაგრამ არა პირდაპირ, არამედ არჩეულთა საშუალებით. აქ ორნაირი არჩნეანი ხდება. პირველათ ხალხი ირჩევს ვექილთ, შემდეგ ეს არჩეულნი ირჩევენ პარლამენტის დეპუტატებს. ამას ჰქვია არა-პირდაპირი არჩევა. ამ პროექტის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს ქალაქის მუშებმა და დემოკრატიულ კლუბებმა. ბერლინში ხმა გავრცელდა: ამ პროექტით რეაქცია იწყება, და ხალხი ამოძრავდა. 14 ივნისს დაეცენ არსენალს, იარაღები გამოიტანეს და შეიარაღდენ. მეორე დღეს (15) საერო კრებამ ხმის უმეტესობით უარპყო მთავრობის კანონ-პროექტი და გადასწყვიტა ახალი პროექტის თვითონ კრების მიერ შემუშავება. ამის გამო ვაჭრების ლიბერალური სამინისტრო გადადგა და შედგა ახალი კაბინეტი, რომელშიც ზოგი მემარცხნენიც მოჰყვენ, მაგ. როდიტე ტუსი (შემდეგ ცნობილი ეკონომისტი). სამინისტრომ თავის პროგრამაში შეიტანა ავრეთვე გადასახადების წეს-რიგში მოყვანა, სასამართლოს გაუმჯობესობა და სხვ. კრება არ დაკმაყოფილდა მარტო ამით და მოინდომა თავისკენ მხედრობის მიმხრობა, რომ კონსერვატორთ. ხელიდან ძალა გამოცლოდათ. ხმის უმეტესობით დაკანონდა: ის აფიცრები, რომელნიც ახალ წყობილებას არ თანაუგრძნობენ, დათხოვნილ იქნან სამსახურიდან. ეს ძლიერ საყურადღებოა, ვინაიდან ჯარის უფროსები ერთიანათ კეთილ-შობილნი იყნენ. სამინისტრომ ეს გადაშევეტილება არ მიიღო, სისრულეში არ მოიყვანა და, როცა კრებამ ხელ-მეორეთ დაამტკიცა თავისი განაჩენი, კაბინეტი გადადგა. 21 სექტემბერს შედგა ახალი კაბინეტი განსაკუთრებით სამხედრო პირებისაგან. საერო კრებამ განაგრძო თავისი სხდომა და, სხვა-თა შორის, დაკანონა“, გაუქმება მეფის ტიტულის „მოწყალებითა ღვთისათა“, გაუქმება აზნაურობის, ორდენების, უპირატესობის და სხვა. სამინისტრო არ იყო ამაგბის თანახმა და იძულებული შეიქნა გადამდგარიყო. ამის საპასუხოთ 8 ნოემბერს მეფემ მოიწვია კონსერვატორთა სამინისტრო, რომ-ლის თავმჯდომარეობა გენერალ გრაფ ბრანდენბურგს ჩააბარა.

როგორც ჩანს, კრებაზე მემარცხენენი იმარჯვებენ. დე-
მოკრატები უმრავლესობას არ შეადგენენ და, თუ მაინც მათი
აზრი გადიოდა, ამის მიზეზია ბერლინის მუშა-ხალხი, რომე-
ლიც ყოველ ღღე მიტინგებს და დემონსტრაციებს მართავდა.
დეპუტატთა საკრებულო სახლი მუდამ ხალხით იყო შემო-
რტყმული და დეპუტატები ვერ ბედავდენ სხვანაირათ მოქმე-
დებას თუ არ დემოკრატიულათ. ნამდვილი კანონ-მდებელი
აი ეს ხალხია. ხალხი არა თუ აკეთებს რევოლუციას, არამედ
გაკეთებულსაც იცავს, წარმომადგენელთ დარაჯათ უდგას
და იქ, სადაც ისინი სუსტობენ, თვითონ დგება მათ ალაგას
და ძალ-დატანებით თავისი გაჰყავს. დეპუტატები ყოველთვის
უფრო კონსერვატორებია, ვინემ ხალხი. ყველა რევოლუცი-
ის ისტორია ამას მოწმობს. რანაირათ დაარსდა საფრანგეთში
პირველი, მეორე და მესამე რესპუბლიკა? აი ასე: რევო-
ლუციის შემდეგ დეპუტატები ერთად იკრიბებიან და ბჭო-
ბენ იმაზე, თუ რომელი ჯობს, მონარქია თუ რესპუბლიკა. მონარქელები ყოველთვის უმრავლესობაა, მაგრამ ამ
დავის დროს პარლამენტში იგრიალებს ხალხი და დაი-
დახებს: გაუმარჯოს რესპუბლიკასო. ამით სარგებლობს
რესპუბლიკანელი დეპუტატები და დგება დროებითი მთავრო-
ბა. დღევანდელი რესპუბლიკა მხოლოდ პარიუსის ხალხმა დაა-
არსა. პროვინციებმა შემდეგ იცნო. აი ასეთი რადიკალურია
ქალაქის ხალხი.

რაკი სატახლო ქალაქს ასეთი გავლენა აქვს პარტიებზე,
ცხადია, კონსერვატორთ უნდა მოეწადინებიათ საერო კრება
ბერლინიდან სადღაც პატარა ქალაქში გადაეტანათ. და აი
სწორეთ 9 ნოემბერს კრებას გამოეცხადა მთავრობის გან-
კარგულება: ბერლინში ისპობა სხდომა და 27 ამ თვეს ქ.
ბრანდენბურგში იხსნებაო. კონსერვატორებმა სიხარულით
მაშინვე დარბაზი დატოვეს, დანარჩენნი არ დამორჩილდენ და
პროტესტი განაცხადეს. კრებამ მოითხოვა სამინისტროს გა-
დაყენება, და ამისთანავე დაადგინა: სანამ ბრადენბურგის სა-



მინისტრო არ გადადგება, მანამ არც ერთმა პრუსიელმა გადასახადი არ გადაიხადოსო. მთელ პრუსიაში ხმა გაისმა, — „უარ გადასახადზეო“. მარქს-ს „იხალი რეინის გაზეთი“ (გამოდიოდა კელნში) 15 ნოემბერს სწერდა: „დღეიდან სახელმწიფო გადასახადი გაუქმდა! დღეიდან გადამხდელი — სახელმწიფოს მოლატეა, გადაუხდელობა მოქალაქის პირველი მოვალეობაა!“ და შემდეგ ერთი თვის განმავლობაში ყველა ნომერი ასეთი დიდ-ასოებიანი განცხადებით გამოდის — „უარი გადასახადზეო“.

ამნაირათ, მეფეს და საერო კრებას შორის კონფლიკტი (შეჯახება) დაიბადა. კრების დარბაზი ჯარმა დაიკირა და დეპუტატთ სხდომის ნება არ მისცა. ქალაქის ხალხი მოძრაობაში მოვიდა, რის გამო ბერლინი სამხედრო წესებში ჩააყენეს, იარაღის ტარება აკრძალეს და ოპოზიცია მოედო ქვეყანას და დაიწყო აგიტაცია მთავრობის თვით-ნებობის წინააღმდეგ. 5 დეკემბერს გამოვიდა მეფის ბრძანება საერო კრების დაშლის და ხელ-ახალი არჩევნების შესახებ. ამასთანავე გამოაცხადეს იხალი საარჩევნო კანონი.

ამ კონფლიკტს ასე იხსიათებს მარქსის გაზეთი: „მეფე და საერო კრება ბატონებია. როგორც კი ამ ორ ბატონს არ შეეძლოთ თუ არ სურდათ, შეერთებულიყვენ, მაშინვე ხდებიან ორ მოპირდაპირე ბატონებათ. მეფეს უფლება აქვს კრებას ბრძოლა გამოუცხადოს. კრებას თავის მხრივ უფლება აქვს მეფეს გამოუცხდოს ბრძოლა; მეტი უფლება აქვს იმას, ვისაც მეტი ძალა აქვს. ხოლო ძალა იშინჯება ბრძოლაში, ბრძოლა კი გამარჯვებაში. ორივე ბატონს თავიანთი კანონიერება მხოლოთ გამარჯვებით შეუძლიათ დაამტკიცონ, უკანონობა კი — დამარცხებით. მეორე ალაგას ვკითხულობთ: „პრუსიის ტახტი თავის უფლებაშია, როცა ის საერო კრების წინააღმდეგ მოქმედებს, როგორც თვით-მშერობელი; საერო კრება ვერ არის თავის უფლებაში, როცა ის ამ ტახტის წინეაღმდეგ არ მოქმედებს, როგორც თვით-მშერობელი. პირველი მას მინისტრები უნდა გამოეცხადებია სახელმწიფოს მო-

დალატეთ, ხალხის ხელმწიფობის გამცემათ. მას უნდა გადა-
ეყენებია ყველა მოხელე, რომელიც კი მის ბრძანებას არ
ემორჩილებოდა“...

აქედან ცხადია, უფლების კითხვა—ეს ძალის კითხვაა,
ხოლო ძალისა—რევოლუციაა. რომელი მხარეც ამ ძალის
იმპარს, ის გამარჯვებს და მით უფლებასაც მოიპოვებს. მე-
ფეს სურს თავის უფლების განმტკიცება, ხალხს კიდე თავასი.
ამ დავას ძალა წყვეტს, მეტი გზა არ არის. მარტის იჯანყე-
ბამ გამარჯვება ხალხს არგუნა. კიდევ იჯანყებაა საჭირო,
რომ ამ გამარჯვებამ ხორცი შეისხას, პოლიტიკური ფორმა
მიიღოს მაგრამ ეს იჯანყება ახლა ხალხში კი არა, პარლა-
მენტში წარმოებს, ქუჩის ბრძოლა პარლამენტალურ ბრძოლათ
იქცა და ხალხსაც გონია, ამით ჩვენსას გავიტანოთ. ამ იღი-
უზის დარღვევა—ერთად-ერთი ისტორიული კითხვაა. პარ-
ლამენტი კი პირ-იქათ ხალხის ასეთ შეხედულების ამაგრებს
და მხარს უჭირს. ის გაიძახის — „კანონიერი ნიადაგი“, „კა-
ნონიერი ნიადაგიო“ და, როცა მთავრობა ამ ნიადაგს აცდე-
ბა, კანონის წინააღმდეგ მოქმედებს, ოპოზიცია მაინც თავი-
სას არ იშლის, კანონიერების აღდგენას თხოულობს. რომე-
ლი კანონიერება არის ეს? ის, რომელიც რევოლუციამ მო-
ავლინა და პარლამენტალურ წეს-რიგში გამოახატა. მაგრამ რე-
ვოლუცია ხომ კანონის დარღვევაა, მაშასადამე ძველი კანო-
ნის დანგრევით ახალი კანონი შეიქნა. მეორე მხრით, თუ კი
ახალი წყობილების მომხრეთ უფლება აქვთ იჯანყების და
რევოლუციის რატომ ასეთივე უფლება არ აქვთ ძველ წყო-
ბილების მომხრეთ? მარტში პირველნი იჯანყდენ, ახლა კი
ამ გზას მეორენი დაადგენ, პირველი თუ რევოლუციაა, მე-
ორე რეაქციაა. რეაქცია რომ არ გამაგრდეს, აუცილებელია
რევოლუცია. ძალის ძალა უნდა შეეტაკოს. აი, ამ ძალის წა-
მყენება ხალხმა ვეღარ შეძლო. მარტის შემდეგ ის დანაწი-
ლდა ორათ: ბურჟუაზია და მუშები, ხოლო უკანასკნელთა მოძ-
რაობამ პირველი დაშინა დ, ყაველივე რევოლუცია შეა-

ძულა. ამან უარ-ჰყო არა თუ მომავალი, არამედ მარტის აჯანყებაც, სადაც თვითონვე იბრძოდა. ერთი სიტყვით, მან უარ-ჰყო თვის პოლიტიკური წასული და მით თვისი პოლიტიკური მომავალიც.

ახლა ვნახოთ, როგორ ჩინებულიათ ისარგებლეს ამით კონსერვატორებმა.

მთავრობა, რასაკვირველია, როგორც კი ოპოზიციას სისუსტე შეატყო, ენერგიულ ზომებს დაადგა. თებერვალში (1849 წ.) მომხდარ არჩევნებმა გამარჯვება ზომიერთ არგუნა, მაგრამ მთავრობა არც იმან დააკმიყოფილა. კრება გაიხსნა ბრანდენბურგში. ამ დროს ფრანკფურტის პარლამენტის ორი განახენი გამოცხადდა. ერთი შეეხება გერმანიის გაერთიანების და პრუსიის მეფის ამ გაერთიანებული სამშობლოს იმპერატორათ არჩევას; ხოლო მეორე შეეხება შინაგან პოლიტიკურ წყობილებას და ეწოდება „გერმანიის ხალხის ძირითადი უფლებები“, ეს ერთიანათ დემოკრატული ხასიათისაა. პრუსიის საერო კრებამ დაადგინა: მიღებულ იქნას ორივე განახენი და მთავრობას დაავალა მისი საჯაროთ გამოცხადება. მეფემ კი უარ-ჰყო, როგორც „ძირითადი უფლებები“, ისე იმპერატორობის ტიტულიც და გაერთიანების სისტემა. 27 აპრილს ურჩი კრება ხელ-ახლა დათხოვნილ იქნა¹⁾.

აქედან იწყება აშეარა რეაქცია. მთავრობამ ორი ძირითადი ცვლილება მოახდინა. პირველათ ერთიანათ შეცვალა საარჩევნო კანონი, შემოიღო ეგრეთ წოდებული სამ-კლასიანი საარჩევნო სისტემა, რაიცა მდგომარეობს შემდეგში: თვითეული საარჩევნო კუთხე იყოფა სამაო, თანახმათ პირ-და-პირი სახელმწიფო გადასახადისა, თვითეულ ნაწილს შეად-

¹⁾ „ჯვარიანი გაზეთი“ წერდა: „რასაკვირველია, მეფე ხალხის მიერ გამოგზავნილ საჩუქარს (ვითომ იმპერატორობას] არ მიღებდა“. აზნაურებმა ნათლათ დაამტკიცეს, რომ ისინი წოდების ინტერესს უფრო მაღლა აყენებენ, ვინემ სამშობლოსას.

გენერალი, რომელთა გადასახადი ამ კუთხის საერთო ჯა-
მის ერთ მესამედს შეიცავს, მაგ. ერთ კუთხეს ცხრა ათასი
მარკა გადასახადი ხვდება, ოვითეულ საარჩევნო ნაწილს
სამ-სამი ათასი მარკა უნდა შეხვდეს. ამით პირველ ნაწილში
გადაირიცხება ის, ვინც მეტს იხდის, ხშირათ ამ ნა-
წილს ორი სამი კაცი შეადგენს. რომელიმე ქარხნის პატრო-
ნი იმდენს იხდის, რამდენსაც ასი და ორასი მცირე მესაკუთ-
რე, მაშასადამე, ამ ერთს იმდენი კენჭი იქვს, რამდენიც და-
ნარჩენ ას—ორასს. ოვითეული ნაწილი ირჩევს ამომრჩეველთა
თანასწორ რიცხვს, ეს არჩეულნი შემდეგ ერთდებიან და ირჩე-
ვენ ერთ დეპუტატს. ასე რომ ეს დეპუტატი არასოდეს არ
შეიძლება მესამე კლასს, ანუ ნაწილს ეკუთვნოდეს. ამ კა-
ნონით დანაწილებული პრუსიის მეკანკეთა რაოდენობა 1849 წ.
წარმოადგენდა: პირველ კლასის 153 ათასს, მეორის 409
ათასს და მესამის 2 მილიონ 700 ათასს. ცხადია, მთელი
პოლიტიკური ძალა უმცირესობას გადაეცა. ორ მილიონ ნა-
ხევარს იმდენი ხმა იქვს, რამდენიც ას ორმოც-და-ათი ათასს!
ამოდენა ხალხი ერთ მუჭა ხალხს დაუმორჩილეს! უკანასკნელს
შეიცავდა მემამულები და შეძლებული ბურჯუები. აი, ასეთი
დამახინჯებული არჩევანისაგან წარმოადგება საერთო კრება,
მაგრამ ეგეც საშიშრათ ჩათვალეს. ამიტომ მთავრობამ მეორე,
უმაღლესი, პალატა შექნა, რომელსაც უწოდებენ ხან სე-
ნატს, ხან პირველ პალატას და ხან ბატონებთა საკრებულოს.
როგორც იყო უკანასკნელი სახელი შერჩა. ამისი წევრები
ინიშნებიან მეფის მიერ, განსაკუთრებით მემამულენი და უმა-
ღლესი მოხელენი. აი, ამას დაუქვემდებარეს ხალხის დამა-
ხინჯებული პარლამენტი. ამით სიტყვა-სიტყვით განხორციე-
ლდა სტალის პროექტი. ამას გარდა შეავიწროეს ბეჭვდის,
ყრილობის და სიტყვის თავისუფლება. აკრძალეს მუშათა
საზოგადოები, დემოკრატთა კლუბები და სხვა.

აგვისტოში მომხდარ არჩევნებმა მოგვცა ასეთი
პარტიები: უმრავლესობა—კონსერვატორები, უმცირესობა—

ლიბერალები, დემოკრატები არც ერთი. ამნაირათ, ფეოდალთა პარტიამ გაიმარჯვა და ჩადგა მთავრობის სათავეში. ამით მთელი გერმანიის ბედ-ილბალიც გადაწყდა. პრუსიამ გაგზავნა თავისი ჯარები საქსონიაში, ბადენში და მხვა წვრილ სახელმწიფოებში აჯანყებულთა დასათრგუნავათ და წესიერების აღსაღვენათ. ფრანკფურტის პარლამენტი ჯარმა დაშალა და განდევნა. ერთი სიტყვით, პრუსიის რეაქცია შეიქნა მთელი გერმანიის რეაქციათ; აზნაურთა ბატონობა — ეს ძალ-მომრეობის ბატონობაა. მოწინაღმდეგეთა დევნა, დაჭრა, დასჯა, მეკენჭეთა ძალ-დატანება და სხვა ასეთი ხელ-ფეხ შემკვრელი ზომების მიღება — აი, ამ ძალ-მომრეობის დახასიათება.

ამგვარათ, თუმცა რევოლუციამ გამარჯვება მიანიჭა თავისუფლების პრინციპს, მაგრამ მისი ცხოვრებაში გატარება კონსერვატიული შეიქნა: თავისუფლება ვიწრო გალიაში ჩაამწყვდის და დარიჯათ კეთილ-შობილნი მიუჩინეს. მთავრობამ საერო კრება დაიმორჩილა იმით, რომ იქიდან ერთ გააძევა. ნაციონალური კრება უნაციოთ! ხალხის პარლამენტი უხალხოთ! პოლიტიკური პარტიობა უპარტიოთ! ბეჭდვის თავისუფლება ცენზორით! ყრილობის თავისუფლება უანდარმებით! ხალხის უფროსობა პოლიციის უფროსობით! აი, კონსერვატორთა პოლიტიკა!

პრუსიის ბიუროკრატია იძულებული შეიქნა კონსტიტუციონალური წყობილება შემოელო, ხოლო ეს ისე, რომ ერთათ-ერთი მისი შინაარსი — ხალხის უფროსობა — გამოეშორებია და მის აღაგას თავისი უფროსობა ჩაესვა. ეგ შინაარსი და ეგ ფორმა ერთმანეთში ვერ თავსდებიან, ერთმანეთს ძირიანათ ეწინააღმდეგებიან და იმავე დროს იძულებულნი არიან ერთათ იყვნენ, ერთათ იცხოვრონ. ეს ერთნაირი სასწორია, რომლის ერთ მხარეს ბიუროკრატია ჩამოკიდებია, ხოლო მეორე მხარეს — ხალხი: ხან იქით გადაწევა და ხან აქეთ. ამ სასწორის თამაში, მისი გადარხევა-გადმორხევა გვაჩვენებს სახეს

მთელი გერმანიის წყობილებისას. და ეს გრძელდება დღევანდლამდი! პირველის უკველი დამცველი მემარჯვნე პარტიებია, მეორის კი შემცრცხნენი. ხოლო შეუ პარტიები, ლიბერალები, ხან იქით არიან, ხან აქეთ. ამათ ისტორიამ მელა-ძუბის როლი მიანიჭა. გერმანიის პოლიტიკის ჩარხი აქ ტრიალებს, მისი მართულები აქ არიან თავ-მოყრილნი, მისი დედა-ძარღვი აქ არის.

ახლა შევუდგეთ ისევ ამ ორ-პიროვან პოლიტიკის შესწავლას, ვნახოთ ეს ორ-თავიანი არსება როგორ მოძრაობს, რა აცოცხლებს, როთ იკვებება და შეიძლება აქედან ისიცგა-მოვიყვანოთ, თუ მას რა ბოლო მოელის.

„ა ხალი ხანა“.

კონსერვატორთა ბატონობა და მათი უმოწყალო ძალ-მომრეობითი პოლიტიკა გაგძელდა ათ წელიწადის. ეს დრო არის დრო პოლიტიკური რეაქციისა, მაგრამ ამასთანავე დრო ეკონომიკური განვითარებისა და დიდი ინდუსტრიის (მრეწველობის) აღორძინებისა. პურუშაზის ქონებრივმა ძალ-ღონემ უმაღლესათ აიწია და სახელმწიფოში საპატიო აღვილი დაიწირა. აღებ-მიცემობის და ვაჭრობის წარმატებამ ერი მოძრაობაში მოიყვანა, ხოლო მემამულენი დაავალიანა და ქონებრივათ უკან დასწია. ამ გარამოებამ ახალი კითხვა წამოიყენა: მთავრობამ მემამულეთა თუ ამ ბურუშაზის პოლიტიკა გაიხადოს თავის პოლიტიკათ? მეორე მხრით, რეაქციონულ სამინიტრომ დასცა ხალხის ყოველივე გონებრივი და პოლიტიკური წარმატება, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია არა მარტო პრუშიაში, არამედ მოწინააღმდეგ სახელმწიფოშიაც. ამნაირათ, მომზადდა ნიადაგი კონსერვატორთა ბატონობის დალეწვისა და უფრო რიგიანი მდგომარეობის ჩამოგდებისათვის. 1858 წ. მოხდა სახელმწიფოში ცვლილება; მეცე გაგიუდა და ცოტა ხნის შემდეგ გადაიცვალა. მისმა მემკვიდრე ვილჰელმმა, როგორც კი ტახტზე ავიდა, კონსერვატიული სამინისტრო დაითხოვა და შეადგინა ლიბერალთა ზომიერი სამინისტრო. აი ამ ხანას დაერქვა „Neue Aera“ — ახალი ხანა. — კონსერვატორები გადადგენ ოპოზიციაში და თავიანთ დროშას დააწერეს: „ენერგიულათ დავიცვათ ძველი სამინისტროს მიერ შემოღებული წყობილება, ნუ გავწყვეტო კავშირს წარსულთან“ — აი რა სათაურით გამოდი. ოდა მათი პროკლამაციები. ლიბერალებმა თავის მხრივ რამდენიმე მოთხოვნილება წამოიყენეს, რომელთა შორის საყურადღებოა:

არჩევნების თავისუფლება, მინისტრთა პასუხის მგებლობა, პროვინციის, მაზრის და სოფლის საზოგადოების თვით-მართველობანი, ვაჭრობის და ხელობის თავისუფლება და სხვა. დემოკრატები, როგორც განსაკუთრებითი პარტია, აღარ გამოსულან. მათი მეთაური, შულც-დელიჩი, ამას ასე ხსნის: დემოკრატთა გამოსვლით რეფორმების მომხრეთა შორის განხეთქილება ჩამოვარდება და შეიძლება ისევ კონსერვატორთ ჩაუვარდეს ხელში სამინისტროვთ. ამიტომ ისინი შეუერთდენ ლიბერალთ და ამ პარტიას ეწოდება შეერთებული ლიბერალები. ახალ არჩევანზე კონსერვატორები დამარცხდენ. არჩეულ იქნა 263 ლიბერალური სამინისტროს მომხრე, 57 წინააღმდეგი, ამას გარდა 18 პოლონელი¹⁾ და 14 „გარეული“ ე. ი. ისეთნი, რომელნიც არც ერთ პარტიას არ ეკუთვნიან.

ამ სახით ლიბერალები დაეპატრონენ პართვა-გამგეობას. მათი პროგრამის განხორციელება შესაძლებელი შეიქნა. მარა შეასრულეს კი თავიანთი მოვალეობა? არც ერთი მუხლი მათი პროგრამისა არ განხორციელებულა, არც ერთი რეაქციონური რეფორმა არ გაუქმებულა. ლიბერალური სამინისტრო მხოლოთ სავაჭრო საქმეებს აწყობდა, პოლიტიკა კი ძველებურ კვალში მიყავდა. ამან დაბადა დეპუტატთა შორის განხეთქილება და ხალხში უკმაყოფილება. მოწინავე ლიბერალები და დემოკრატები შეიკრიბენ (9 ივნისს 1861 წ.) პროფესორი ვიონის თავმჯდომარეობით და ახალი პოლიტიკური პროგრამა შეიმუშავეს. აი ზოგი მუხლები: გერმანიის გაერთიანება პრუსიის წინამძღვრობით და ერთი გერმანიის პარლამენტის დაარსება, მინისტრთა პასუხის მგებლობა, წოდებრივთ განსხვა-

¹⁾ პოლონელები პოლუსიის პოლონიის წარმომადგენელნია. ისინი განსაკუთრებით პოლონელთა ინტერესს იცავენ და ძალ-მომრეობის პოლიტიკას ებრძვიან. მათ პარლამენტალურა მოქმედება ხან მთავრობის სასარგებლოა ხან მთავრობის წინააღმდეგი. ეს დამაკიდებულია იმისგან, თუ მთავრობა როგორ ეპყრობა პოლონელთ.

ვების მოსპობა, სარწმუნოებათა თანასწორობა, სავალდებულო სამოქალაქო ქორწინება, პროვინციების თვით-მართველობა, სახელმწიფოსაგან ეკლესის განშორება, სამხედრო გასავლის შემცირება, და სხ. მაგრამ ამაების გმნხორციელება, როგორც უკანასკნელმა სამმა წელმა დაგვანახვა, შეუძლებელია მანამდი, სანამ ბატონთა საკრებულო ძირიანათ არ შეიცვლება, ამისათვის პირველი რეფორმა მის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. ამ პროგრამას უწოდეს პროგრესიული პროგრამა, ხოლო თავის პარტიის გერმანიის პროგრესიული პარტია. როგორც ხედავთ, ეს პროგრესისტობა იგივე ლიბერალობაა, ამ პროგრესისტთ ბატონებთა საკრებულოს გაუქმება კი არა, შეცვლა სურთ, ხოლო ხალხის დამახინჯებული პარლამენტი ისევ დამახინჯებულათ ჩაიგდო. საარჩევნო უფლების თანაწორობა, სამ კლასიანი სისტემის მოსპობა ერთიანათ მივიწყებულია, აშკარაა, პროგრესისტები უფრო ზომიერები არიან, ვინემ ძველი დემოკრატები, და უფრო მოწინავე, ვინემ ახალი ლიბერალები. პირველთაგან ძირიანათ განსხვავდებიან, მეორეებთან კი მჭიდროთ არიან შეკაშირებული, მაგრამ რადგანაც ამ ბატონებმა თავიანთ თავს პრგრესისტები დარქვეს, რა გაეწყობა, ჩვენც ეს სახელი უნდა ვიცნოთ, თუმცა დემოკრატებთან შედარებით ჩაიკიონერები არიან.

ასე თუ ისე, ახალი პროგრესიული პარტია შედგა. ამ გარემოებამ აამოძრავა კონსერვატორები და გამოაქვეყნეს თავიანთი პროგრამაც. ის ეს პროგრამა: 1) გერმანის ერთობა, მაგრამ არა როგორც იტალიისა, სისხლით და ცეცხლით, არა მედ მეფეთა, მმართველთა და ხალხთა შეერთებით, უფლებების და უფროსობის განმტკიცებით... 2) წარსულთან კავშირის დაცვა, ქრისტიანული სახელმწიფო, ძლიერი მხედრობა; არც პარლამენტალური წყობილება და არც მინისტრთა პასუხის მგებლობა. მეფობა მოწყალებითა ღვთისათა და არა მოწყალებითა კონსტიტუციისა. ქრისტიანული სკოლა, ქრისტიანულ უმცროს უფროსობა და მოტივილება... 3) დაცვა პატიოსანი



შრომის, ქონების უფლების და წოდებისა. არ მიენიჭოს უპირატესობა ფულს, ხელოსნობა და მამული არ შეიქნეს კაპიტალისტთა მსხვერპლათ“ და სხ.

ამნაირათ, საარჩევნო მოედანზე სამი პარტია გამოვიდა: კონსერვატორები, ლიბერალები, (სამინისტროს მომხრენი) და პროგრესისტები. 6 დეკემბრის ორეჩევნებმა დაამარცხეს კონსერვატორები (15 აირჩიეს) და გააძლიერეს პროგრესისტთა დასი. სხდომა გაიხსნა იანვარში და მარტში ისევ დათხოვნილი იქნა, რადგანაც დეპუტატთა უფლება ბიუჯეტზე მთავრობამ არ იცნო. ლიბერალთა სამინისტრო გადადგა და მიწვეული იქნა ისევ კონსერვატორები. 6 მაისს მომხდარმა არჩევნებმა საშინაო დაამარცხეს მთავრობის მომხრენი, გააშვეს ყველა მინისტრები, კონსერვატორთა ბელადები, შეამცირეს ძველი ლიბერალები და აირჩიეს ოპოზიციის უმრავლესობა. სექტემბერში გაიხსნა სხდომები. დეპუტატებმა დაამტკიცეს სახელმწიფოს ჩვეულმბრივი გასავალი და უარპყვეს ორა ჩვეულებრივი. მაშინ კი კონსერვატიული სამინისტრო იძულებული გახდა გადამდგარიყო. აი ეს ოპოზიციის პირველი გამარჯვებაა. 24 სექტემბერს შედგა ისევ კონსერვატიული სამინისტრო ბისმარკის თავმჯდომარეობით. ბისმარკმა მაშინვე ხერხი იხმარა და დეპუტატთ განუცხადა: ხარჯთ-აღრიცხვა (ბაუჯეტი) უკანვე გამაქვს და ამ-გაისს შემოვიტან განსახილველათაო. ამით სურდა შესწორებული ბიუჯეტი სისრულეში არ მოეყვანა და მით ეს მთავრობისთვის სავალდებულო არ შექნილიყო. მთავრობას სურს ბიუჯეტი დეპუტატებმა არ შეასწორონ, არამედ მხოლოთ განიხილონ და დაამტკიცონ. ბატონებთა საკრებულომ უარ-ჰყო დეპუტატთა მიერ შესწორებული ბიუჯეტი და მთავრობამ მიიღო. ამას გამო დეპუტატებმა დაადგინეს: ბატონთა საკრებულოს განაჩენი კონსტიტუციის წინააღმდეგია და არავითარი ძალა არ აქვს დეპუტატთა მიერ უარ-ყოილი ხარჯი დაამტკიცოს. ოკტომბერში სხდომები შეწყდა.

მთავრობამ დევნა დაუწყო მოწინააღმდეგეთ. განსაკუთრებით იმ დეპუტატთ, რომელნიც რამე სახელმწიფო სამსახურში იმ- ყოფებოდენ. დათხოვნილ მოხელეთა სასარგებლოთ ხალ- ხმა ფული მოკრიფა. იანვარში ისევ გაიხსნა სხდომა. დეპუ- ტატებმა პროტესტი განუცხადეს სამინისტროს და მოთხოვეს კონსტიტუციური თავისუფლების და წეს-რიგის აღდგვნა. ბრძოლა გამწვავდა პოლონიის კითხვის გამო. იმ წელს რუსე- თის პოლონია აჯანყდა, პრუსიის მთავრობამ პარლამენტის დაუკითხავათ პოლონიის საზღვრებზე ჯარი ჩააყენა და რუსე- თთან კავშირი შეჰქრა აჯანყებულთა წინააღმდეგ. (8 თებერ- ვალს 1863 წ.) დეპუტატებმა უარ-ჰყვეს, როგორც ჯარის გადასაყვანი ხარჯი, ისე რუსეთთან ხელ-შეკრულობა. ამის პასუხათ მთავრობამ პარლამენტი (ამას აგრეთვე **ლანდტაგს** ეძახიან გერმანიაში) დაითხოვა და ხელ-ახალი არჩევანები დანიშნა. მიუხედავათ ბევრნაირი შევიწროებისა და დევნისა, არჩევნებზე ოპოზიციამ გაიმარჯვა და სხდომის გახსნისთანავე დაადგინა: მთავრობის მიერ გამოცემული ბეჭვდის შემავი- წროებელი კანონი უკანონოთ იქნას ცნობილიო. ამით ხელ-ახალი ბრძოლა დაიწყო.

ამ სახით 1849 წ. წამოყენებული კითხვა: მეფე თუ ხალხი, მთავრობა თუ პარლამენტი, მესამოცე წლებშიაც გა- დაუჭრელი დარჩა. დეპუტატთა ყველა პროგრესიული განა- ჩენი უარ-ყოფილი იქნა მთავრობისაგან, მთავრობის ყველა რეაქციონური განკარგულება უარ-ყოფილი იქნა დეპუტატე- ბისაგან, ეს შეჯახებ-შეჯახებაა დაუსრულებელი. ორივე მხარე ერთმანეთ ებრძვის უფროსობისათვის. ორი უფროსის ერთათ მოთავსება შეუძლებელია: ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე. რომელი მათგანი გაიმარჯვებს? რომელს დარჩება უფროსობა? აი ამის გარშემო ტრიალებს მთელი პოლიტიკური ცხოვრება. ხალხი, მიუხედავათ მთავრობის ძალდატანებისა, ყოველთვის ოპოზიციის წევრთ ირჩევს და პარლამენტში გზა- ვნის, მთავრობა ისევ უკან აბრუნებს, ჩემი მომხრე აირჩიეთო.

ხალხი მამნც წინაღმდეგთ ირჩევს და ასეა მუდამ. რით უხდა დასრულდეს ეს ბრძოლა? პარლამენტის გაუქმებით? ეს ხომ სრული თვით-მშენებლობის აღდგენაა და მაშასადამე მეორე აჯანყების გამოწვევაა. მთავრობას ამის ლონგ არ აქვს. მისი მიზანია ხალხში თავისუფლების წყურვილი მოჩვენებითი თავისუფლებით დააკმაყოფილოს, ისეთი კონსტიტუცია განამტკიცოს, სადაც ხალხის წარმომადგენელობაც იქნება, ხალხის სურვილიც გამოაშკარავდება, მაგრამ ყველა ეს მოჩვენებათ უნდა იყოს, გავლენა არ ქონდეს, ძალა არ მიეცეს, გასავალი არ დაურჩეს. მეორე მხრით, ხალხს სურს მთავრობის ძალა იყოს მოჩვენებითი, შეზღუდული და ერთიანათ პარლამენტისაგან დამოკიდებული. ორი მოწინააღმდეგე სურვილი, ორი მოპირდაპირე მიღრეკილება! სად არის ხსნა? არსად მანამდი, სანამ ხალხი საშინაო პოლიტიკაზე ფიქრობს, სანამ კონსტიტუციონალური კითხვები გადასაწყვეტია აქვს და მთელ თავის ძალ-ლონგს ამას ანდომებს. ეს კიდევ ცოტაა, ხალხს ამოძრავებდა არა მარტო კონსტიტუციონალური კითხვა, არა-მედ ნაციონალურიც. 1848 წელს ნაციონალური მოძრაობა რეაქციაში მოსპო, ძალათ გააქრო. მესამოცე წლებში ეს პრინციპი ისევ წამოდგა და ერთი კურადღება მიიპყრო. ათასობით დააარსეს ეგრეთ წოდებული „ნაციონალური საზოგადოებები“, რომლებმაც ნაციონალური გაერთიანების აზრი გაავრცელეს მთელ გერმანიაში, გააღვიძეს წყველა მივარდნილი კუთხე, აამოძრავეს ყველა შორეული სოფელი და გერმანიის ყველა ნაწილი. მთავრობა ამას მუდამ წინ ეღობებოდა და ებრძოდა, მაგრამ ამის ჩაქრობა ყოვლად შეუძლებელი შეიქნა.

ცხადია ხალხის გულში ორი კითხვა დაიბადა: კონსტიტუციონალური და ეროვნული. ორივე მჭიდროთ შეკავშირებულია ერთმანეთთან. ხალხს არ შეუძლია ერთ კითხვაში გაიმარჯვოს ისე, რომ მეორეშიაც გამარჯვებული არ დარჩეს. მისი გამარჯვება მთავრობის დამარცხებაა. ხალხი დგას თა-

ვისუფლების და გაერთიანების დედა-აზრზე, მთავრობა არც ერთზე: ორივეს უარ-ჰყოფს. მაგრამ ამასთანავე კონსერვა-ტორთ სურთ ხალხის მოძრაობა მოსპონ და თვითონ გაბა-ტონდენ. რანაირათ შეიძლება ეს? სად არის საშუალება? სა-შუალება ერთათ-ერთია: გაერთიანების საქმე იცნას მთავრო-ბამ და მის სისრულეში შოყვანას თვითონ შეუდგეს. თუ მან აქ გაიმარჯვა, კონსტიტუციურ დავაშიაც გამარჯვებული იქ-ნება. ბრძოლა მოქალაქებრივი თავისუფლებისათვის არის ბრძოლა შინაური, ერის ნაწილთა შორის. ეს შეიძლება შეწყდეს ან შესუსტდეს მაშინ, როცა მთელ ერს რაიმე საფრთხე მოელის. ასეთი საფრთხეა ომი. მაშასადამე პრუსის ხალხის თვალის იხვევა, მისი ყურადღების გარეთ გატყუება კონსერვატორთა მიზნათ უნდა გადაქცეულიყო. აშკარაა თავის ხალხზე გამარჯვება მთავრობას შეეძლო უცხო ხალხზე გამარჯ-ვებით; ნაციონალური გრძნობების დაკმაყოფილება უცხო ნაციის დამცირებით, პრუსის გაგრამანელება გერმანიის გაპ-რუსიელებით. ამისათვის კი მახფილია ხელში ასაღები—ეს მახ-ვილის პოლიტიკა.

მაგრამ ყველა ამაების მოსააზრებლათ და ცხოვრებაში გა-სატარებლათ საჭირო იყო ერთი. კაცი. ეს ვერ იქნებოდა პროგრესისტი, ვინაიდან პროგრესისტები საშინაო კითხვებს უკვედენ უმთავრეს ყურადღებას, თხოულობდენ ჯარის და სამხედრო ხარჯის შემცირებას. მათ სურდათ გერმანიის გაერ-თიანება არა ომიანობით, არამედ ხალხთა სურვილით და პარ-ლომენტალური წყობილებით. ეს კაცი ვერ იქნებოდა ლიბე-სალი, ვინაიდან ვერასოდეს ლიბერალებმა საკუთარი პოლი-ტიკა ვერ აწარმოეს. მაშ ვინ უნდა იყოს ის? არავინ, გარდა ერთი კეთიშობილი მემამულისა, არავინ, გარდა ერთი კონ-სერვატორისა, რომელიც თავიდანვე უკიდურეს მემარჯვნეს ეკუთვნოდა, არავინ, გარდა იმ პირისა, რომელიც ხალხის ნაციონალურ მოძრაობას მუდამ ებრძოდა და რომელმაც 1850 წ. ქ. ერთოუტში მოწვეული გერმანიის რეიხსტაგზე (მთელ



გერმანიის პარლამენტს ეწოდება რეიხსტაგი) ასეთი წინადაღება წარადგინა: განიღევნოს ხმარებიდან სიტყვები— „გერმანიის სახელმწიფო, სახელმწიფო კანონი და რეიხსტაგი, გერმანიის სახელმწიფო კანონი და რეიხსტაგი ნამდვილათ არ არსებობენ. ამიტომ ამ არ არსებულის გამომხატველ სიტყვებს ესპობთ არა მარტო დროებით არამედ სამუდამოთ.“ აი ეს კაცი დღეს უნდა გამოსულიყო კონსერვატორთა მხსნელათ, პრუსიის მეფის გასაძლიერებლათ, პრუსიის ხალხისათვის თვალის ასახვევათ და გერმანიის გასაპრუსიელებლათ. მისი სახელია იტრო ბისმარქ-შონჰაუზელი ანუ მოკლეთ, ყველგან ცნობილი ბისმარქი.

ბისმარქია, როგოც კი სამინისტროში შევიდა, მაშინვე დეპუტატებს განუცხადა: თანამედროვე დიდი კითხვის გადაწყვეტა სიტყვებით და პარლამენტალური უმრავლესობით კი არა, რკინით არის შესაძლებელი (1861 წ. 30 სექტემბერ). ვისკენ უნდა მიემართო ეს რკინა! ვინ ყავდა ირგვლივ? ჩრდილოეთით დანია, სამხრეთით ავსტრია და გერმანიის წვრილი სამეფონი. დასავლეთით საფრანგეთი. აი ამათთან ბრძოლაში უნდა ჩაეთრია პრუსიის ხალხი და მით თვითონ ხალხიც კონსერვატიულ წყობილებაში ჩაება. ხალხი და მთავრობა ერთმანეთს ემტერებიან, ერთმანეთს დაუცხრომელათ ებრძვიან. მთავრობა ამ ხალხს შეატაკებს გარეშე მტერთ და მით იმარჯვებს შინაურ მტერზე! ეს ბისმარქის მოსაზრება გვარიანი, გენიოსური და ორგინალურიც იქნებოდა, რომ იმაზე აღრენაპოლეონ მესამეს არ გამოეგონებია და პრაქტიკაში არ შეეტანა. ბისმარქი ნაპოლეონის გზას დაადგა, განაპოლეონდა, მაგრავ ევროპა ორი ნაპოლეონისათვის ნამეტანი ვიწროა და რაღა გასაკვირველია ერთ-ერთი რომ გაშორებოდა.

ბისმარქის მოსაზრება თუ ორიგინალური არ არის, სამაგიეროთ მისი გატარება და განხორციელება სწორეთ რომ ორიგინალური და სამაგალითოც არის. საქმე მარტო მოსაზრებაში ხომ არ არის, ამასთანავე საჭიროა

მისი განხორციელების საშუალებების გამონახვა. ამნაირ-
 მა მოსაზრებამ, ნაპალეონის მიერ გატარებულმა, დასკა ნა-
 პალეონი, ხოლო ბისმარკის მიერ გატარებულმა—აამალ-
 ლა ბისმარკი და გენიოსათ გამოაჩინა. ცხადია, მთელი
 კითხვა ამ გატარების პროცესშია. ამის გამოკვლევა თავის-
 თავათ დიდათ საინტერისოა. ჩვენ კი იქ იმდენათ შევეხებით
 ამას, რამდენათაც ის პარტიობას შეეხება. ამით, ჩვენ გვგო-
 ნია, ამ პროცესის დედა-ძარღვიც თვალ-საჩინო იქნება. უწი-
 ნარეს ყოვლისა ჩვენ დავიმახსოვროთ შემდეგი: ბისმარკი გა-
 მოვიდა პრუსიის გაფართოების, გაგანიერების და გაძლიე-
 რებისათვის მებრძოლათ. ეს შეიცავს ერთიანათ საგარეო პო-
 ლიტიკას. ყველა პარტია, რომელიც კი ამას მიიღებს, უნდა
 მიიღოს შემდეგიც: ძლიერი საგარეო პოლიტიკისათვის საჭი-
 როა ძლიერი მხედრობა, ამისთვის საჭიროა დიდი ბიუჯეტი,
 მაშასადამე, მთავრობის გაძლიერება და ხალხის წინაშე ყოვ-
 ლათ შემძლებლათ გამოჩენა. ეს ისეთი ლოლიკაა, რომ მისი
 დარღვევა არაფრით არ მოხერხდება. ეს ისეთი კლდეა, რომ,
 რაც და ვინც უნდა მოხვდეს, უთუოთ უნდა შეასკრეს, მე-
 ტი გზა არა აქვს. ეს ისტორიული ლოლიკა, შედეგი წისული
 ისტორიული ლოლიკისა, შეიქნა მიზეზათ ყველა პარტიათა
 არევ-დარევისა და ოპოზიციის დამსხვრევისა.

ხალხისათვის ნაციონალური კითხვა შეერთებულია პო-
 ლიტიურ კითხვასთან. ის ორივესათვის იბრძვის. მაგრამ რა-
 კი პირველი კითხვა ბისმარკმა თავის პროგრამაში შეიტანა, ამით
 შეიტანა მეორეც. ეს განუყოფელია როგორც ხალხისთვის, ისე
 ბისმარკისთვის. გარჩევა ამათ შორის ის არის, რომ პირველი
 თავისუფლების და უმრავლესობის პრინციპზე დგას, მეორე
 მთავრობის და უმცირესობის—კონსერვატორთა—პრინციპზე.
 ამისათვის, ნაციონალურ გაერთიანება პირველ შემთხვევაში
 ვერ შესრულდება ისე, რომ იმავე დროს ხალხის უფროსობა
 ცნობილი არ იქმნეს, რადგანაც უკანასკნელი პირველის მი-
 ზეზია. ჭრაციონალური გაერთიანება მეორე შემთხვევაში ვერ

მოხდება ისე, რომ იმავე დროს მთავრობის უფროსობა ცნობილი არ იქნეს, რაღანაც ამ გაერთიანებას მთავრობა ახდენს. ასეთია ამათი ძირითადი განსხვავება. კონსერვატორები არასოდეს არ ცნობდენ ხალხის არც ნაციონალურ და არც კონსტიტუციონალურ მოძრაობას; ეს სრული ლოლიკაა. ასეთ ლოლიკაში იქნება ოპოზიციაც, თუ ის კონსერვატორთა ნაციონალური ლტოლვილებას უარ-ყოფს. ამით ის უარ-ყოფს მის კონსტიტუციასაც, და რომ ეს ასე უნდა იყოს, ცხადია. კონსერვატორთ თავიდანვე სახელი გაუტყდათ და ხალხიც მათ აღარ ენდობოდა. მაშასადამე, ბისიარკი მარტო ამ სახელგატეხილ პარტიას ვერ დაეფუძნება, ხოლო მეორე მისი მოძხერე პარტია ჯერ-ჯერობით არ სუფევს. საიდან უნდა გამოიჩეკოს ეს მომავლი დასი? რა უნდა ერქვას მას? რა სახელით უნდა გამოვიდეს?

ამას ჩვენ გავიგებთ, თუ ეკონომიკურ პირობებს წარმოვიდგენთ. ინდუსტრიას და ვაჭრობის განვითარებამ განავითარა ბურჟუაზია, მისი განვითარებისათვის აუცელებელია ფართო ბაზარი, როგორც შიგნით, ისე გარეთ. პრესიის გაგანიერება და გაძლიერება არის ამავე დროს ბაზრის გაგანიერება და ბურჟუაზიის გაძლიერება. ამიტომ ბურჟუაზია თავი დანვე იბრძოდა ხალხთან ერთათ ეროვნული ერთობისათვის. მაგრამ ახლა მას საიმედო მოკავშირე გამოუჩდა, ეს არის მთავრობა ბისმარკში განხორციელებული. ამნაირათ, ბურჟუაზია მოშორდა ხალხს და მიემხრო ბისმარკს. მათი შემაერთებელი კითხვაა ნაციონალური პოლიტიკა. მაგრამ ბურჟუაზია ამავე დროს ლიბერალიც არის. მაშასადამე, ის პარტია უნდა იყოს ნაციონალ-ლიბერალი. ახლა ჩვენ გავარკვიოთ მისი წარმოშობა, გამძლავრება, და ის ყალბი მდგომარეობა, რომელშიაც ის ჩავარდა.

ნაციონალ-ლიბერალები.

დანის მეფე გადაიცვალა 1863 წ. ბისმარქმა ისარგებლა ამით და ავსტრიის დახმარებით დანის ორი დიდი პროვინცია—შლეზვიგ-ჰოლსტაინი—წართვა და ვენის ხელ-შეკრულობით (30 ოქტომბერს 1864 წ.), ორივე მოკავშირეთა კუთვნილებათ შეირიცხა. მათ დაუკითხავათ და ნება დაურთველათ მიავრობის ასეთი მოქმედება პრუსიის დეპუტატებმა უკანონოთ აღიარეს. ბისმარქმა 12 მილიონი სესხი მოთხოვა პარლამენტს ომის გამოსაცხადებელათ, რაიცა უარ-ყოფილი იქნა. ომიანობის პოლიტიკის საწინააღმდეგოთ ხმის უმრავლესობით გადაწყვიტეს (14 იანვარს 1865): შემცირდეს სამხედრო ხარჯი, გაუმჯობესებულ იქნას სწავლა-განათლების საქმე, სოფლის მასწავლებელთ ჯამაგირი მიემატოს და სხვა. ყველა ეს მთავრობამ უყურადღებოთ დატოვა. ბისმარქს თავისთვის უნდოდა შლეზვიგ-ჰოლსტაინი, ხოლო იძულებული შეიქნა ავსტრიაც თანამოზიარეთ ეცნო. ბისმარქი ახალ მარჯვე შემთხვევას ეძებდა ავსტრიის დამარცხებისა და ნადავლი პროვინციების პრუსიისათვის ამოვებისათვის. ეს კი უმრავათ შეუძლებელი იყო. ბისმარქობა—ეს ომიანობაა. ის თავის მოწოდებას ასრულებს. დეპუტატთა საკრებულო კი ყოველივე ზედ-მეტი ხარჯის, სისხლის-ღვრის და ომის წინააღმდეგია. ამიტომ ის 26 იანვარს მთავრობამ დახურა და დეპუტატთ გამოუცხადა: თქვენ-თქვენ სალში მიბრძანდით და, როცა დაგიძახოთ, მაშინ მობრძანდით. პრუსიის ყველა ნაწილიდან მეფის სახელზე ურიცხვი აღრესები მოდიოდა: თხოვდენ, ნუ დაარღვევთ მშვიდობიანობას, ნუ გამოიწვევთ მმათა ომს, სისხლის-ღვრის მოსურნე სამინისტრო დაითხოვეთ და მშვიდობის მოყვარული კაბინეტი შეაღვინეთო. რასაკვირელია, ამან არ გაჭრა. ოპოზიციამ გამოსცა პროკლამაცია, სადაც, სხვათა შორის, ეწერა: „სანამ ბიუჯეტზე დეპუტატთა უფლება სავსებით ცნობილი არ იქნება, მანამ არც ერთი სი-

ნიდისის მექონე ლანდტაგი მთავრობის ბიუჯეტს არ დამტკიცებს... რადგანაც ომი აუცილებლათ გახადეს, მთელი ჩვენი ძალ-ღონე იმას მოვანდომოთ, რომ ამ შემთხვევით ვისარგებლოთ გერმინიის გაერთიანებისათვის, თავისუფლებისა და ხალხთა უფლების საფუძველზე, რისთვისაც ახალი კონსტიტუცია უნდა შევიმუშავოთ“. აქ მთელი კითხვა საშინაო პოლიტიკას შეეხებოდა. მოწინააღმდეგენი კი ერთხმათ გაიძახოდენ: მთელი კითხვა საგარეო პოლიტიკისაგან არის დამოკიდებული, ამისთვის კი ძლიერი მთავრობა და მხედრობაა საჭირო. ატყდა ომი და მეფის განცხადებაც გამოვიდა: შინაური პარტიობა ახლა უნდა დავივიწყოთ და ასეთ კრიტიკულ დროს სამშობლოს და სახელის დასაცველათ ყველანი უნდა შევერთდეთო. ს მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო. ოპოზიციას დაეკარგა ნიადაგი და ხალხის თანაგრძნობა მთავრობისაკენ გადავიდა. როგორც კი პირველი ამბავი პრუსიელთა გამარჯვებისა მოვიდა წინათ ყოველთვის ოპოზიციონურმა ბერლინმა ახლა მეფეს და ბისმარკს გატაცებული ოვაცია გაუმართა (29 ივნისს 1866 წ.). ავსტრია დამარცხდა და პრუსიაში მთელი საზოგადო აზრი სამინისტროს სასარგებლო შეიქნა. ივლისის არჩევნებზე ოპოზიციამ ნახევარი აღავი დაკარგა.

ა ავისტოს გაიხსნა დეპუტატთა არა-ჩვეულებრივი სხდომა. მთავრობამ მოითხოვა. სამხედრო გასავალის ცნობა და ბიუჯეტის ერთიანათ დამტკიცება. კენჭის-ყრაზე გამოჩდა, რომ ოპოზიცია გაიყო და ერთი ნაწილი მთავრობას მიემხრო. ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა.

პროგრესისტებმა და მოწინავე ლიბერალებმა, რომლებიც მთარობას მიემხრენ და მით თავიანთ პროგრამას უდალატეს, გამოსცეს თავის გასამართლებელი პროკლამაცია, საიდანაც იწყება ნაციონალ-ლიბერალთა ისტორია, აქ ვკითხულობთ: „ჩვენი უმაღლესი მოვალეობა იყო მთავრობის საგარეო პოლიტიკისათვის სრული ნდობა გამოგვეცხადებია. ძლევა-მოსილი ომი და გამარჯვება მიგვაჩნია ჩვენ პირველ სათავეთ გერმანი-

ის ერთობის. პრუსიის საზღვრების გაფართოვება და ჩრდილო ნაწილის შემოერთება ჩვენ უცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია... იმ მთავრობამ, რომელიც მოელი თავისი საგარეო პოლიტიკით გერმანიის ერთობის ნიადაგს ამზადებს, ჩვენი სრული ნდობა დაიმსახურა... მაგრამ ძლიერ მხედრობასთან ერთათ საჭიროა თავისუფალი მართვა-გამგეობა. აი ამ ორი ელემენტის—ძლიერი საგარეო პოლიტიკისა და თავისუფალი მმართველობის—შეერთებით შესაძლებელია გერმანიაში პრუსიის უფროსობის განმტკიცება“. ამნაირათ შესდგა ახალი ჯგუფი.

ავსტრიაზე პრუსიის გამარჯვებას მოყვა ჩრდილო-გერმანიის შეერთება და პრუსიის მეთაურობით ერთი კავშირის დაარსება, ეგრეთ-წოდებული „ჩრდილო-გერმანიის კავშირი“. ამ ერთობის წეს-რიგზე დაყენებისა და საერთო კანონების შემუშავებისათვის ბისმარქმა ორნაირი ორგანო დაარსა: წარმომადგენელნი თვითეულ მოკავშირე მთავრობისა—ბუნდესრატი (Bundesrath—მოკავშირეთა საბჭო) —და წარმომადგენელნი მთელი ხალხისა—რეიხსტაგი. ამნაირათ პრუსიის ლანდტაგის პარტიათა ბრძოლა რეიხსტაგშიაც გადადის. პირველი, აშენებული სამ-კლასიან საარჩევნო სისტემაზე, რასაკვირველია, ხალხის აზროვნებას ნამდვილათ ვერ გამოხატავდა. აქ ხმის უმეტესობა შეძლებულთ პქნნდათ, ხოლო რეიხსტაგის არჩევანში თანასწორი ხმა მიეცა ყველა სრულწლოვან მამაკაცს (24 წლისას), რომელსაც კი სამოქალაქო უფლებები ჩამორთმეული არა პქნნდა. კენჭის ყრა პირდაპირი და საიდუმლოა. აი ამას ეწოდება საყოველთაო, თანასწორი და პირ-და-პირი საიდუმლო კენჭის ყრის უფლება. მაშასადამე რეიხსტაგის პარტიათა განწყობილება ხალხის აზროვნების პირდაპირი გამომხატველია. ამიტომ ამიერიდან ჩვენ ვტოვებთ პრუსიის ლანდტაგს და გადავდივართ რეიხსტაგის პარტიებზე, რომელიც იგივენი არიან, რაც ლანდტაგისა, ხოლო ბოლოს ერთი ისეთი პარტია ემატება, რომელსაც მომავალი ყკუ-

თვნის და რომელსაც ლანდტაგში წარმომადგენელნი არ ჰყავს¹⁾).

„ჩრდილო-გერმანიის კავშირის შექმნით“ კონსტიტუციური კითხვა ხელ—ახლა საჭირ-ბოროტო კითხვათ გახდა. საჭიროა ამ „კავშირის“ საერთო წყობილება შემუშავდეს. ვინ უნდა შეამუშაოს ეს? მთავრობამ თუ რეიხსტაგმა? კონსერვატორების აზრით, ეს საკუთრივ მთავრობის საქმეა, პრუსიის კონსტიტუცია გერმანიის კონსტიტუციათ უნდა გახდეს და მეტი არაფერი. ამათ ასე მიმართეს რეიხსტაგის ამომრჩეველთ (20 დეკემბ. 1866 წ): „ჩვენი პროგრამმა მოკლე და ნათელია, პრუსიის სამეფო, როგორც შუა-გული ადგილი, დედაბოძი გერმანიის ერთობის და თავისუფლებისა, მეფის გერმანული პოლიტიკა, როგორც მეფის საკუთარი სურვილის გამომხატველი და გრაფ ბისმარკის მიერ წარმოდგენილი და ცხოვრებაში გატარებული—აი რას მიველტვით ჩვენ და რის სამსახური გვწადიან! „კონსერვატორები მთელი თავის მოთხოვნილებებით ლოდიკას მისდევენ, მართალია სიტყვა „თავისუფლება“ ენაზე აკერიათ, მაგრამ ეს ნიშნავს მათ საკუთარ „თავისუფლებას“ და ხალხის შებოჭვას. ამავე კითხვის შესახებ ნაციონალ-ლიბერალთა ახალ ჯგუფში 12 ნოემბერს

¹⁾ ერთი კითხვაა: რატომ ბისმარკმა საყოველთაოდ თანასწორი კენჭის ყრა შემოიღო. აი ამის პასუხი. იმ დროს საყოველთაო კენჭის ყრა ბარტო საფრანგეთში არსებობდა. ნაპოლეონმა მის საშუალებით იშოვა ტახტი. დეპუტატთა არჩევანი პოლიციის ძალადობით ხდებოდა, ხალხს მთავრობის მომხრე კანდიდატებს ამოარჩევინებდენ ხოლმე. ბისმარკს მაგალითი ჰქონდა თვალ-წინ და მეც ასე ვიზამო იფიქრა, ხალხსაც მოვიმადლიერებ და ძალ-დატანებით ჩემ მომხრეთაც გავათეთჩებინებო. რაც მართლა აასრულა. მაგრამ როცა მუშათა პარტია გამძლავრდა და ეს საყოველთაო კენჭის ყრა თავის სასარგებლოთ გამოიყენა, მაშინ კი ბისმარკმა მთელი პარტია კანონს გარეშე დააყენა, ხოლო როცა ამანაც არ გასჭრა, ბისმარკი დაეცა და მუშათა პარტია უდიდეს პარტიათ გადაიქცა. ახლა ბისმარკი თავისი ორგანოთი „ჰამბურგის ცნობები“ Hamburger Nonnhvihcten მის მიერ შემოღებული კენჭის ყრის გაუქმებას ქადაგებს.

ასეთი პროცედურა გამოსცა: „პრუსიის მხედრობის გამანჯვებამ გამოააშკარავა, რომ გერმანიის მთავრობისთვის პრუსიაა მოწოდებულიო. ამით ერთი დიდი ნაბიჯი გადავდგით იმ გზაზე, რომელზედაც კაი ხანია ნაციონალური პარტია მოღვაწეობს. მაგრამ პრუსიის მთავრობამ არ მოისურვა მთელი გერმანიის ერთობისაკენ ლტოლვილება მარტო მას განეხორციელებია. მან თავისი მოვალეობა ამით შეასრულა, რომ ჩრდილო-გერმანიის კავშირი დააარსა და ამისთვის ერთი რეიხსტაგი შექნა. ახლა ეს ხალხის საქმეა რეიხსტაგის საშუალებით ისე მოაწყოს, რომ ჩრდილო-გერმანიის ერთობა მთელ გერმანიის ერთობათ გადაიქცეს. ამისთვის აუცილებელია შემდეგი: ერთი მხრით, პრუსიის ტახტს მიენიჭოს ნამდვილი მთავრობის ძალა შესახებ მხედრობისა, დიპლომატიის, დამოუნის, ვაჭრობის და მისვლა-მოსვლისა. მეორე მხრით, რეიხსტაგს მიენიჭოს უაღრესი უფლება ბიუჯეტზე და კანონმდებლობაზე. ხალხს მიეცეს სრული მოქალაქობრივი უფლება და აღგილობრივ საქმეებში თვით-მართველობა. გერმანიის ერთობა, თავისუფლება და განდიდება — აი რა არის ჩვენი მიზანი“.

დეკემბრის 17 გამოცემულ პროგრამაში ჩამატებულია: რეიხსტაგს უნდა მიეცეს უფლება გადასახადების აკრეფაზე ნება-დართოს და განაწესოს. „ჩვენ მოვთხოვთ რეიხსტაგს, ფრანკფურტის პარლამენტის მიერ შემუშავებული „ძირითადი უფლებები“ (1848—49 წ. წ.) განახორციელოს და საყვაელთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნის უფლება საიდუმლო კენჭის ყრით დაიცვას“.

ასეთია ეს ახალი პარტია. მისი მიმართულება ორ-ნაირია: ნაციონალური ა 1a ბისმაკი, იგი მთავრობის და კონსერვატორების გზაზე დგას. ის არის ამასთანავე ლიბერალი, ამით ის დგას იმ გზაზე, რომელზედაც ბურჟუაზია უნდა იდგეს. ამ ხახით, ერთი მხრით, მას სურს მთავრობას რაც შეიძლება მეტი ძალა ქონდეს, მეტი მხედრობა ჰყავდეს, მეტი

ბიუროკრატია, პოლიცია და მათი ამყოლ-დამყოლი, შეორებით, ხალხს, რომელსაც არც მხედრობა, არც ბიუროკრატია და პოლიცია ჰყავს, ბევრი უფლება ჰქონდეს. ეს არის ერთ და იმავე დროს, ერთ და იმავე ალაგას ორი მოპირდაპირის—მთავრობის და ხალხის—უფროსობის განმტკიცება, მაშინ, როდესაც მთელი კითხვა იმაშია, თუ ეს უფროსობა რომელ ერთს დარჩება. ხალხის პრინციპია უმრავლესობა და თავისუფლება, მთავრობისა—უმცირესობა და ბრძანებლობა. მაში რანაირათ შეიძლება ერთი და იგივე პარტია ამ ორ მოწინააღმდეგე პრინციპზე დადგეს? ის ამაგრებს მთავრობის ავტორიტეტს და თანაც ხალხის თავისუფლებას ეძიებს. მთავრობის გაძლიერება საშიშარი არ არის ხალხის უფლებისათვის მხოლოთ იქ, სადაც ეს მთავრობა პარლამენტისაგან—მაშასადამე, ხალხისაგან არის დამოკიდებული, როგორც ინგლისში და საფრანგეთში. აქ მთავრობა ხალხისაგან მომდინარეობს. გერმანიაში კი მთავრობა სრულიათ დამოუკიდებელია პარლამენტისაგან, ესენი ერთმანეთს ებრძვიან და ასეთ გარემოებაში გამოდის ერთი პარტია და სასწაულთ-მოქმედების ჩემობს: ორივე მეტოქეს ერთი რეცეპტით დავაკიმაყოფილებო. ამით ნაციონალ-ლიბერალთა დასი საშინელ ლოლიკურ უკუღმართობაში ჩავარდა. იმას სწამს ბისმარკის საგარეო პოლიტიკა, მისი ნაციონალიზმი და არა სწამს მისი საშინაო პოლიტიკა, მისი კონსერვატიზმი, მაშინ, როდესაც ესენი ერთმანეთთან მჭიდროთ შეკავშირებულია და ერთი მეორიდან გამოდის. კონსერვატორთ სწამთ ორივე და ლოლიკა მათ რჩებათ; ლიბერალთ სწამთ პირველი, უარჲყოფენ მეორეს და მით ლოლიკურ ნახტომს აკეთებენ. ეს ლოლიკა რომ პიროვნული იყოს, კიდევ არათერია, დიდი ძალა არ ექნება, მაგრამ ის ისტორიული ლოლიკა, ნაშობი ისტორიული განვითარებისა და ამიტომ მისი ძლიერება აღამიანთა ყოველივე ძალ-ლონეს იღემატება. ის შეურყეველი ბოძია, პიტალო კლდეა, რასაც ვერ გაარღვევს, ერთ ქვასაც ვერ მოაგდებიებს.

მაგრამ შეიძლება ნაციონალ-ლიბერალები მართლა სასწაულ-მოქმედნი იყვნენ? ავამეტყველოთ საქმენი მათნი.

12 ოქბერვალს (1867) არჩევანებმა მოგვცა ასეთი რეიხსტაგი: 99 კონსერვატორი 1) 79 ნაციონალ-ლიბერალი, 15 ძველი ლიბერალი 19 პროგრესისტი, 27 კლერიკალი, 13 პოლონელი და მრავალი „გარეული“ კონსერვატიული მიდრეკილებისა, სულ 297 დეპუტატი. ამათ უნდა შეემუშავებიათ ახალი კონსტიტუცია. მაგრამ ბისმარკმა ამათ მის მიერ შემუშავებული კონსტიტუცია წარმოუდგინა და მოთხოვა დამტკიცება. აქ, რასაკვირველია, არ იყო ის, რაც კონსტიტუციის სულს და გულს შეადგენს: „ძირითადი უფლებები“ მინისტრთა პასუხის-მგებლობა, ბეჭვდის სრული თავისუფლება დასხ. ოპოზიციის წინადაღება—განსაკუთრებითი კომისიის არჩევა „ძირითადი უფლებების“ შესამუშავებლათ—გაშავებულ იქნა კონსერვატორთ და ნაციონალ-ლიბერალების მიერ. აგრეთვე მეორე წინადაღება, პრუსიის მეფეს აღმასრულებელი უფლება აქვს პასუხის მგებელი სამინისტროს საშუალებით, უარყოფილ იქნა. ასე ცველა პროგრესიული წინადაღება გააშავეს და 10 აპრილს მთავრობის მიერ წარმოდგენილი კონსტიტუცია დიდი უმრავლესობისაგან მიღებულ იქნა. უმცირესობას ეკუთ-

1) კონსერვატორთა პარტია გაიყო ორათ: კონსერვატორები და თავისუფალი კონსერვატორები. ამათ შორის ასეთი განსხვავებაა: პირველი დაუშნებულია მხოლოდ მამულზე, მეურნეობაზე, მეორეთ ხელი მოკიდეს აგრეთვე მრეწველობას, მთა—მაღალის წარმოებას და სხვ. ესენია კეთილ-შობილნი კაპიტალისტი. როგორც კეთილშობილი, ისინი ნამდვილ კონსერვატორთ ეკუთვნიან, ხოლო, როგორც კაპიტალისტი—ლიბერალთ. ვათი ლიბერალობა მდგომარეობს ეკონომიურ თავისუფლებაში, „Laissez faire“, მათი კონსერვატორობა კი პოლიტიკურ თავისუფლებაში, ბისმარკობაში. მათ არ ეხერხებათ ცველა კითხვაში კონსერვატორთ მიემსრონ და ამიტომ თავიანთ თავს უწოდეს თავისუფალი კონსერვატორები ე. ი., როგორც საჭიროთ დაინახავენ, ისე მოიქცევიან, ამიტომ მათ არც პროგრამმა აქვთ. მათი მეთაურია შტუმი და სხვა მილიონერი აზნაურები.

ვნოდენ პროგრესისტები და ერთი ნაწილი კლერიკალთა დრო
 პოლონელთა. ერთმა პროგრესისტმა, ვალდექმა, ასე განმარტა
 თავისი მოქმედება: „ამ კონსტიტუციის ძალით მხოლოდ კა-
 ნკლერია (პირველი მინისტრი) პასუხის მგებელი, მაგრამ ეს
 არავითარ პასუხის მგებლობას არ შეიცავს, ვინაიდან ყველა
 არსებითი კითხვაში პასუხის გებისაგან თავისუფალია. არ არის
 მისაღები ისეთი ცენტრალური მთავრობა, სადაც პასუხის მგე-
 ბელი სიმინისტრო არ არსებობს და უიმინისოთ კონსტიტუ-
 ციაც ფუჭი სიტყვაა: უფლება ბიუჯეტზეც არაფერ უფლებას
 არ შეადგენს თუ პასუხის მგებელ სამინისტროზე არ არის
 დამყარებული.

ამ ნაირათ მთავრობის პირველი დიდი გამარჯვება ეს მის
 მიერ წარმოდგენილი კონსტიტუციის დამტკიცება იყო. ბის-
 მარკი ამბობდა: მე ვიღწვი გერმანიის გაერთიანებისათვის, რო-
 ცა თქვენ ჩემ კონსტიტუციის უარპყოფთ, მით უარპყოფთ
 სამშობლოს ერთობასაცო. აქ ის სრულ ლოდიკაშია. მისი
 მოწოდება სწორეთ იმაში მდგომარეობდა, რომ გერმანიის ერ-
 თობა შექნილიყო არა ხალხის, დემოკრატიის მიერ, არამედ
 მთავრობის და ისიც პრუსიის მთავრობის მიერ, ხოლო ეს
 მთავრობა იბრძოდა კონსერვატიული წყობილებისათვის. რა-
 კი ნაციონალ-ლიბერალები ბისმარკის ნაციონალურ შეხედუ-
 ლობაზე დადგენ, ცხადია მისი კონსერვატიული შეხედულო-
 ბაც უნდა მიელოთ. ნამდვილათ კი ბისმარკისაგან საშინაო,
 ლიბერალური პოლიტიკა მოითხოვეს, მაშინ როდესაც მთელი
 კითხვა იმაშია, რომ ეს პოლიტიკა კონსერვატიული დარჩეს
 აი, ამას ლიბერალნი ვერ მიხვდენ თუ არ მიხვდენ დაჩაცვინ-
 დენ ყალბ, ორ-პირ და ულოლიკო მდგომარეობაში. ბისმ-
 არკის ლოლიკას ისინი ვეღარ უმაგრდებიან და იძულებულნი
 არიან, რასაც ერთ დღეს მოიმოქმედებენ, მეორე დღეს უარპ-
 ყონ. ეს აშკარაა 1870 წ. რეიხსტაგის გაზაფხულის სესიიდან. წინადადება იყო სიკვდილით დასჯა მოისპოსო. პირველ კენჭის
 ყრაზე მიღებულ იქნა, უმცირესობას ეკუთვნოდენ მხოლოთ

კონსერვატორები. მეორე კენჭის ყრაზე კი ბისმარკმა განაცხადა ამ წინადადების მიღება შეუძლებელია, დასამტკიცებლათ წარმოთქვა ერთი გრძელი სიტყვა გერმანიის ერთობის შესახებ. ნაციონალ-ლიბერალები ველარ გამაგრდენ და პირველათ მათ მიერ გათეთრებული წინადადება მეორეთ გააშავეს. ასეთი ბედი ხვდა ყველა წინადადებას და ბოლოს პრუსიის ყველა რეაქციონური კანონები მიღებულ იქნა მთელი ჩრდილო გერმანიის კავშირის კანონებით. (ამათში პირველი ალაგი უჭირავს სახელმწიფოს სამსჯავროს Staatgerichtspof—პოლიტიკურ დამნაშავეთა გასამართლებლათ შემოღებულს 1853 წ. რეაქციის მიერ).

კონსერვატორთა ასე ზედი-ზედ გამარჯვებამ ხალხში უკმაყოფილება დაბადა, მოსალოდნელი იყო ოპოზიციის ხელ-ახალი შედგენა და გაძლიერება. მაგრამ სწორეთ ამ დროს კონსერვატორთ მხსნელი მოვალინათ. ეს არის ბისმარკის ცნობილი „რკინა და სისხლი“—ომი საფრანგეთთან. პრუსიაში ისევ იფეთქა პატრიოტიზმა და გადახეთქა საფრანგეთის საზღვრები. საფრანგეთის დამარცხებას მოჰყვა მთელი გერმანიის გაერთიანება პრუსიის წინამდლოლობით, ესე იგი ჩრდილო გერმანიის კავშირში უნდა შესულიყო სამხრეთი გერმანიაც და დაარსებულიყო ერთი გერმანიის იმპერია. ოპოზიცია ერთ თავის პროკლამაციაში თხოულობდა ახალი გერმანიის კონსტიტუციის ხალხის წარმომადგენელთა მიერ შემუშავებას. ეს კონსტიტუცია პრუსიის მთავრობამ ომის ველზე—ვერსალში—შეიადგინა და შემდეგ რეიხსტაგს მზა-მზარეული წარუდგინა, ეს იგივე რაც ჩრდილო გერმანიის კონსტიტუცია, არც მეტი და არც ნაკლები. ბისმარკმა ასე დააყენა კითხვა რეიხსტაგში: ეს კონსტიტუცია ან ერთიანათ უნდა მიიღოთ და ან ერთიანათ უნდა უარ-ყოთო, დიდი დავიდარაბის შემდეგ 195 ხმით წინააღმდეგ 32 ხმისა ერთიანათ, en bloc, მიღებულ იქნა. ამით დარულდა ომების პოლიტიკა და დაიწყო მშვიდობიანობის



დაცვის პოლიტიკა, ე. ი. მილიტარიზმი. მთავრობამ მთავრობაში ის, რაც შეიძინა, გაამაგროს, საჭიროა ძლიერი მხედრობა, ძლიერი პოლიცია, ბიუროკრატია და სხ. ხოლო ყველა ამაებისათვის ფული და ფული, რაიცა ხალხის ჯიბიდან უნდა ამოვიდეს. მაშისადამე, მთელი კითხვა გადასახადების გარეშემო დატრიალდა. ამ კითხვის კი შეუძლია მთავრობა და რეიხსტაგი ერთმანეთს შეაჯახოს. აი, ამის თავიდან საცილებლათ ბისმარკმა წარადგინა სამხედრო კანონ-პროექტი, რომლის თანახმათ სამხედრო ხარჯი გადაწყვეტილი უნდა იყოს არა რეიხსტაგისაგან ყოველ წლივ, არა-მედ ერთხელ და სამუდამოთ — „კანონით“. აი, ეს რეაქციონური წინადადება 1877 წ. რეიხსტაგმა მიიღო და მით თავის თავიც მოკლა, ხალხის უფლება ბიუროკრატიას მსხვერპლათ შესწირა. ამით გერმანიის პარლამენტი მივიდა ad absurdum, ამას იქით წასავალი აღარ არის...

ასე და ამნაირათ 1848 წ. დაყენებული კითხვა — ხალხი თუ მთავრობა, პარლამენტი თუ სამინისტრო მე — 70 წლებში გადაწყდა უკანასკნელის სასარგებლოთ. ხალხმა მხიარულობით მიიღო ის, რის წინააღმდეგ წინათ ისე მედგრათ იბრძოდა. კონსერვატორები და ლიბერალები — რევოლუციამდი ერთმანეთის დაუძინებელი მტერნი — ახლა ერთად შეერთდენ და გერმანიის ხალხს დაეპატრონენ. ლიბერალები, ისტორიულათ ყალბ მდგომარეობაში ჩაყენებული, იძულებული შეიქნენ პოლიტიკაში კონსერვატორთ მიმხრობოდენ. სამაგიეროთ მათ დარჩათ ეკონომიური სარბიელი. გამდიდრება, ქისის გატენა, enrichissez vous — აი რა დაწერეს თავიანთ დროშას. ყველა ეს უპოლიტიკოთ, უთქმელათ, sans phrase. ამ გზით, მემამულენი გაბატონდენ პოლიტიკაში, ბურჟუები ეკონომიაში. პირველნი გაკოტრდენ ეკონომიურათ, მეორენი პოლიტიკურათ. აი, ამ ორ გაკოტრებულ პარტიას შორის ჩადგა ბისმარკი და რაც უნდა, იმას შერება. ბისმარკი ამ პარტიებს შვენივრათ შეეწყო. კონსერვატორი პოლიტიკაში

გალიბერალდა ეკონომიაში. ის გამოვიდა პირველ მომხრეთ ეკონომიური თავისუფლების, Laisser faire, ე. ი. ღარიბის მდიდრისაგან თავისუფლათ გაყვლეფის. ამით ბისმარქმა ორივე პარტია დააკმაყოფილა, ის ორივეს მიემხრო, ორივეს მეთაური შეიქნა. მარჯვნით კონსერვატორები, მარცხნივ ლიბერალები, ¹⁾ შუაზე ბისმარკი, აი, გერმანის generalmarsch. ბისმარკის მიერ აწყობილ საკრავზე გერმანიამ დააღილინა: Deutschland Deutschland ueber alles, ueber alles ili der Welt და სხ.

აი, ასე ჩინებულათ გაკეთდა გაბატონებული პარტიების საქმე. აზნაურული და ბურუუაზიული გერმანია ხელი-ხელ გაყრილი მოედანზე გამოვიდენ და ამაყათ გამოაცხადეს: ჩვენ ვართ მოვლენილი სამშობლოს საბეჭნიეროთ და საპატრონოთ, ხალხის წინამდლვარათ და გზის მაჩვენებლათ, სარწმუნოების, ზნე-ჩვეულების და წეს-რიგის დასაცავათ და გასამტკიცებლათ, მაშ ჩამოდექით, გზა დაგვითმეთო და ქვეყანა გახარებული, აღფრთოვანებული აქტი-იქით მიღვა-მოღვა, რომ ბატონებს თავისუფალი სათარეშო ასპარეზი დარჩენოდა. და ასე ეს უპატრონო მოედანი მათ მფლობელობაში გადავიდა, ისე, როგორც მამის ნაანდერძევი შეილზე გადავა ხოლმე. მათი მამა—ეს ისტორიაა, რომელიც ზევით აღვნიშნეთ და რომელმაც ეს ორი დიდი პარტია შექნა, აღზარდა, გაწვრთნა და თვითეულ მათგანს შესაფერი ალაგი მიუჩინა. ერთს უთხრა: ცხოვრებდე და განაგებდე მემამულეთა საქმეს, დარაჯათ იდგე კეთილშობილებისა და ძველი კაი დროისა; შენი ბინა სოფელია, შენი ხელობა ხვნა. თესვააო. ხოლო მეორეს უთხრა: შენ წარმოადგენდე უმა-

1) ლიბერალები ამ მარცხნიბას არ ყაბულობდნენ, მარჯვენიბა სურდათ, რის გამო დიდ ხანს ეკამათხოდდენ კონსერვატორთ, ბისმარკი უფრო ლიბერალია, ვინემ კონსერვატორიო! ასეთ საბრალო პარტიებს შორის ბისმარკი რომ გმირი გამოჩენილიყო, რა გასაკვირველია.

შულოთა, მარა ფულიანთა ინტერესებს, შენ გმორჩილებდექ
უფულონი და შენგან ეძებდენ წყაროსა ცხოვრებისასა, შენი
ბინა ქალაქია, შენი ხელობა მრეწველობა და აღებ-მიცემობაა.
ბოლოს ორივეს ერთათ ასე მიმართა: მართალია, თქვენ
შთამომავლობით, აღზრდით, განვითარებით და ინტერესით
ერთმანეთს ძირიანათ ეწინააღმდეგებით, წასულში მუდამ
ერთმანეთს ებრძოდით და ასე გასინჯეთ ქუჩაზე ერთმანეთის
სისხლიც კი დაღვარეთ, მარა ყველა ეს ამიერიდან დავიწყე-
ბულ უნდა იქნეს, ერთმანეთის დაახლოვებით და შერიგებით
იბრძოდეთ საერთო აწმყოსათვის და საუკეთესო მერმისისათვის.
სამშობლოს მეთაურობდეს ორივე, ხოლო ეს იმნაირათ, რომ
ერთს ჰქონდეს პოლიტიკური ძალა, ქვეყნის მართვა-გამგეობა,
მეორეს კი ექონომიკური ძალა, ქვეყნის მოქალაქეობა. აი, ამ
განაჩენით დასრულდა ბრძოლა კონსტიტუციისათვის. აი, ეს
განაჩენი შეადგენს საძირკველს გერმანიის პოლიტიკური
წყობილებისას და სწორეთ ამით განირჩევა ის დანარჩენი ევ-
როპის წყობილებისაგან.

ამნაირათ გერმანიის პოლიტიკური წყობილება არის,
ასე ვთქვათ, პოლიტიკური medioerite—საშუალება. ის არის
ერთ და იმავე დროს პო და არა, აქეთაც და იქითაც, წასულიც
და აწმყოც. ის საერთოთ აღებული კონსერვატიული ხასია-
თისაა, მარა მისი ზოგი ნაწილი ლიბერალურია. წარმოიდგი-
ნეთ მატარებელი, რომლის ლოკომოტივი კონსერვატორ მა-
შინისტის ხელშია, ხოლო ვაგონებში ლიბერალი და მასთან
ერთათ მთელი ხალხი სხედან. აი, ეს მატარებელი გერმანიაა,
ეს ლოკომოტივი მისი მართვა-გამგეობა. ლიბერალთა ისტ-
ორიული მოწოდება იმაში იყო, რომ ეს ლოკომოტივი, ეს
მართვა-გამგეობა თავიანთ ხელში მოექციათ. მაგრამ

„Das Wort Klang prächtig,
Doch die Tlat blieb Kläglich“¹⁾

¹⁾ ე. ი. ჩვენებურათ, სიტყვით მამაცი, საჭირო ზარმაცი.



როგორც მათ ჰერვეეგი იხსიათებს. მათ ძლიერ ბუღალტერია მე-40 წლებში წარმოადგენდენ დემოკრატები, მე-60 წ.წ. პროგრესისტები, მე-70 წ. წ. ნაციონალ-ლიბერალები და ასე: პირველი პარტია მეორეში გადავიდა, მეორე მესამეში, ხოლო მესამემ ბისმარკის წინ მოიყარა მუხლი და, რადგანაც ამას იქით წასავალი აღარ იყო, სამუდამოთ მუხლ-მოყრილი დარჩა. აი, როგორ დახურდავდა გერმანიის ბურჟუაზია! აი, გერმანიის ლიბერალაზმი!

რაკი ბურჟუაზია კონსერვატორთ შეურიგდა და მით თავისუფლების დროშა ხელიდან გააგდო, ცხადია პოლიტიკური ასპარეზი მებრძოლთაგან დაიცალა და ახალი პარტიისათვის სარბიელი გაფართოვდა. ეს პარტია ლიბერალთა მიერ მიტოვებულ დროშას უნდა დაპატრიონებოდა. მასზე თავისი ხაკუთარი მოთხოვნილებებიც მოექარგა და პოლიტიკური მოძრაობის სათავეში ჩამდგარიყო. სიღაძ უნდა დაბადებულიყო ეს პარტია? რა სახელი უნდა დარქმეოდა?

ბურჟუაზიის განვითარება ნიშნავს მრეწველობის და ვაჭრობის განვითარებას. მარა მრეწველობას ის თავის ხელით კი არ ქმნის, არამედ მხოლოდ მეთაურობს და თავის სასარგებლოთ განაგებს. შემქნელთ, საქონლის დამმუშავებელთ ეწოდება მუშა ხალხი. პირველი წარმოადგენს კაპიტალს, მეორე შრომას. შრომა ქმნის და კაპიტალი პატრიონობს, მუშა შრომობს და ბურჟუა სარგებლობს. მათი ინტერესი ერთმანეთს ძირიანათ ეწინააღმდეგება. ამ წინააღმდეგობის შევნება და გამოაშკარავება მუშა-ხალხის საქმეა. მაშასადამე ეს ახალი პარტია უნდა მოგვცეს მუშა-ხალხმა, ის უნდა იყოს მუშათა პარტია, ამნაირათ ჩვენ მივადექით შრომის პოლიტიკურ მოძრაობას.

მე-70 წლამდი გერმანიის პოლიტიკური ცხოვრება ბურჟუაზიის გარეშემო ტრიალებდა, ხოლო მას შემდეგ კი ის მუშა ხალხის გარეშემო ტრიალებს. პირველი ჩვენ ზევით შევისწავლეთ ახლა შევისწავლოთ მეორეც-

მუშათა პარტია.

საიდან იწყება მუშათა პარტიის შედეგენა? რას ნიშნავს მუშათა პარტია?

მუშა ხალხის განვითარებაში ორი ხანა არის საყურადღებო. პირველი — ეს ის დროა, როცა ის თავის თავზე ძრიელ დაბალი შეხედულების არის. ის თავის თავს უყურებს, როგორც საწყალ არსებას, ერის უდაბლეს და უმნიშვნელო ნაწილს, რომელიც დახმარებას, ქველ-მოქმედებას და შეწევნას საჭიროებს. ის მხოლოდ მოვლენილია სამუშაოთ, სატან-ჯველით, რომ მით უმაღლეს წოდებებმა ნებივრათ იცხოვრონ. მან უნდა დღე და ღამ ოფლი ღვაროს, შრომას თავი ვერ აართვას და თანაც მუდამ გაღარიბებული და გაჭირვებული იცხოვროს. ეს მისი აზრით მუდამ ასე ყოფილა და ასე უნდა იყოს. ეს მუშა-კაცის ბედია, ის ამ დღეზე დაბადებული და მაშისაღამე ასე უნდა ატაროს წუთი სოფელი, საზოგადოებისაგან ის არაფერსა თხოულობს გარდა განკითხვისა, შეცოდებისა და მაღლის გულისათვის დახმარებისა. მას ეზიზლება თავის თავი, — რატომ ასე გამაჩინა ღმერთმაო. მას სცვენია, რომ ის მუშაა და არა ერთი ვინმე შეძლებული. ის ცდილობს საზოგადოებაში თავისი ნამდვილი ვინაობა დამალოს, გადაასხვაფეროს, რომ მით პატივი მოიპოვოს და თავ-მოყვარება დაიკმაყოფილოს. მას საზოგადოებაში არავითარი ხმა და გავლენა არ უნდა ჰქონდეს. ეს აუცილებელია, უამისოთ ცხოვრება შეუძლებელია. მას, როგორც დაბალ მოდგმას, დიდი ღირსება და პატივი არ ეჭირვება. მას ყველა შეურაცყობს, შეაგინებს, მის პირადობას ფეხ ქვეშ გაიგდებს, მოკლეთ-ყველას საჯეკნი დაბალი ღობეა. აი ასეთი წარმოდგენის არის მუშა ხალხი თავის თავზე და, სანამ ის ასე ფიქრობს, ასე ფიქრობს მასზე საზოგადოებაც.

მეორე ხანა მაშინ იწყება, როცა მუშა ასეთი დამამცი-
რებელი შეხედულებისაგან თავისუფლდება და იგნებს თავის
მნიშვნელობას, ძალას და მოწოდებას. მას ახლა პირ-იქით,
თავი მოაქვს, ამაყობს, რომ ის მუშაა, რომ უმისოთ ცხოვ-
რების მსვლელობა შეუძლებელია, მთელ წყობილებას მისი
მაჯა ასაზრდოებს, ის ცხოვრების მიუცილებელი ელემენტია.
და, მაშასადამე, ის ერის უდაბლესი კი არა, უმაღლესი და
უპირველესი ნაწილი უნდა იყოს. მასში ძლიერდება თავმო-
ყვარეობა, იღვიძებს მიძინებული თვით-ცნობიერება და ცხოვ-
რების შეგნებულ პირათ ხდება. ის არავისაგან არ თხოუ-
ლობს სამოწყალოსავით დახმარებას და შეწევნას. ის მხო-
ლოდ თავის თავზე, თავის ძალაზე, მთელ მუშა ხალხის
შეერთებაზე და საერთო ძალ-ლონით ცხოვრების გაწაღდვაზე
ამყარებს ყველა იმედებს, წინსვლას და ნეტარებას. ის ახლა
ქველ-მოქმედებას აღარ თხოულობს. ის მხოლოდ თხოულობს
იმას, რაც მას უნდა ეკუთნოდეს და რასაც არ ანებებენ. ის
იმას კი აღარ ამბობს, რომ ეს ასე ყოფილა და ასე უნდა
იყოსო, არამედ იყო დრო, რომ ეს ასე არ იყო და იქნება
დრო, როცა ასე არ იქნებათ. ის იგნებს, რომ შესაძლებე-
ლია ცხოვრების სხვაფერ, უფრო სამართლიანად მოწყობა და
აქცთკენ მიისწრაფის; მას სურს ისეთი საზოგადოება, საღაც
ყოველივე შრომით განიზომება და არა შთამომავლობით და
ფულით. აი ასეთი შეხედულება მას ანთავისუფლებს ზნეობ-
რივ დამცირებისაგან და ანიჭებს აღამიანურ ღირსებას: თავ-
მოყვარეობას, ამპარტავნობას და გულდიღობას. ერთი სიტ-
ყით, მუშა ხალხი თავის თავს უცქერის, როგორც ისეთ
კლასს, რომელმაც ცხოვრება თავის სახისამებრ უნდა გარდაი-
ქმნას. და აი სწორეთ, სანამ რომელიმე კლასი თავის თავზე
ისეთი მაღალი შეხედულების არ არის, სანამ მასში კლასიური
თავმოყვარეობა გაძლიერებული არ არის, მანამდის მას არაფ-
რის დიდი და სახელოვანი საქმის გაკეთება არ შეუძლია,
მანამდის ის მონაა, მონა თავისი ილიუზისა, მონა საზოგა-

დოებრივი წყობილებისა. მისი პირველი ენის ამოდგმა ეს შისი
გაამპარტავნებაა, გაამპარტავნება არა პირადი თვისებებით, არა-
მედ იმით, რომ ის ამა თუ იმ კლასის წევრია, ამა თუ იმ
ისტორიული დანიშნულების მატარებელია. ეგ სულიერი
ემანსიპაციაა, ძველი ილუზიების დარღვევა, და ახალი აზროვ-
ნების შეთვისებაა, გრძნობების გაწმენდა და გაფაქიზებაა, გო-
ნების ამაღლება და განვითარებაა — აი ეს ყველა კლასის, ყვე-
ლა პარტიის და ყველა მოლვაწეთა ჯგუფის მიუცილებელი
საჭიროებაა. ამათ თავის თავზე დიდი წარმოდგენა უნდა
ჰქონდეთ, რომ დიდი საქმე გააკეთონ. თავის მოქმედებაში
დარწმუნებული უნდა იყვენ, რომ ნაყოფი გამოიღონ. ხოლო
ვისკენაა სიმართლე, ვისი თავმოყვარეობაა სასარგებლო და
პროგრესიული, ამას ისტორია სწყვეტს. ვისკენაც თვითონ
ცხოვრება დგას, ის იმარჯვებს და თავისი გააქვს. გერმანიის
მუშა-ხალხი დღეს ამ მეორე ხანაში იმყოფება, მარა იყო
დრო, და მას აქეთ არც ისე დიდი ხანია, როცა ის პირველ
ხანაში იმყოფებოდა. ეს იყო ჩევოლეიუციამდი. მეორმოცე
წლებში გერმანიის მწერლობაში მუშათა კითხვას საპატიო
ალაგი უჭირავს. ჯერ კიდევ დავაა იმის შესახებ, თუ რას
ქვია მუშა, არსებობს პროლეტარიატი თუ არა? ზოგან, განსა-
კუთრებით ლიბერალი ბურჟუები, ამტკიცებენ, რომ პროლე-
ტარიატი მარტო ინგლისშია და საფრანგეთში. ჩვენ სამშობ-
ლოში, მაღლობა ღმერთს, არ გვყავსო. მაგ. ისე სწერდა
1945 წ. პროფესორი ეკონომისტი როშერი, რამაც გამოიწ-
ვია მოწინააღმდეგე ბანაქში პოლემიკური სტატიები. ვინ იყო
მოწინააღმდეგე? ამ დროს ჩვენ ვხედავთ რამოდენიმე უურ-
ნალს, რომელნიც განსაკუთრებით მუშათა ინტერესებს იცა-
ვენ. ამათში უპირველესი ალაგი ეჭირა „ვესტფალის ორთქლ-
მავალს“¹⁾, რომლის თანამშრომლები იყვენ თანამედროვე
მუშათა მოძრაობის მეთაურნი — კარლ მარქსი და ფრიდრიხ

¹⁾ თვიური უურნალი 1845 წ.

ენგელსი. მთელი რედაქცია ახალგაზდა მარქსის გავლენის
ქვეშ დგას და თითქმის ყოველ წერილებში ვხედავთ კვალს
იმისას, რასაც დღეს მარქსიზმს ვუწოდებთ. ამიტომ საინტე-
რესო ვიცოდეთ, როგორ უცქეროდა მაშინდელი უურ-
ნალი მაშინდელ ჯერ კიდევ განუვითარებელ ეკონომიკურ
ცხოვრებას. ერთ წერილში ჩვენ ვკითხულობთ: ვინ შეადგენს
მუშათა კლასს? ვინ და ის მუშები, რომელნიც დღიური შრო-
მით გამოდიან, რასაც დღეს მოიმუშავებენ, დმას ხვალვე ხარ-
ჯავენ. ასეთ ხალხს ეკუთვნიან: მოჯამაგირენი, ხელოსნები,
ფაბრიკის მუშები და ყოველნაირ დღიურ ქირაზე მომუ-
შავენი. რანაირათ გაიგნოს მან გზა? როგორ მიეშველოს თავის
თავს მას აკლია ცოდნა, აკლია საშუალება ცოდნის შესაძენათ
და აკლია დროც. იმ აქ საჭიროა მისი მიხმარება, რომ იგი
თავის თავს მოექმაროს. ამის მაგიერ კი აქ მას ღვდლები უჩი-
ჩინებენ მოთმენას, ყოველივეს ატანას, როგორც ეს სამწუ-
ხაროთ ფაბრიკიან ადგილებშია. რა არის სიღარიბის მიზეზი?
— ბურჟუაზიული წყობილებაო, გვეუბნება უურნალი.

დღევანდელი საზოგადოების საძარკველი ეგოიზმია. მი-
სი ფორმის განვითარება ერთი-მეორის მტრობაა. მისი დე-
და აზრია — თვითოული თავისათვის და თვითეული ყველას
წინააღმდეგ. ყველა ეს იხატება თავისუფალ კონკურენციაში.
ეს ეგოიზმის უმაღლესი წერტილია. ამას ქვეით წასვლა შეუძ-
ლებელია. აღარც უკან დაბრუნება შეიძლება...

მომავალი საზოგადოების საძირკველი სიყვარულია, მი-
სი ფორმა — ასოციაცია, მმური შეერთება, ერთათ მოქმედება. მისი დე-
და აზრია — თვითოული ყველასათვის ყველა, თვითოუ-
ლისათვის. ბურჟუაზიის ბატონობა ეგოიზმის ბატონობაა, ცხა-
დია ბურჟუაზიული პარტიისაგან მუშა ხალხი არავითარ შვე-
ლას არ უნდა მოელოდეს... პოლიტიკურ რაღიკალიზმა დაარ-
ღვია ფეოდალური წყობილება თავისი პრივილეგიებით და წო-
დებებით და შექნა სარბიელი იდამიანთა თავისუფალ მოძრაო-
ბისათვის. იმ ეს არის მისი ისტორიული მნიშვნელობა. მან

დაანგრია ბატონ-ყმობა. მარა როცა მან მოქალაქე თავისუფალი გახადა, ადამიანი განათვითა და თავისუფალი კონკურენციით ერთმანეთს გადაამტერა. მან განათავისუფლა მოქალაქე აზნაურთა ბატონობისაგან და გადააქცია ფულის მონად. მუშა ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ ის ერთი განსაკუთრებული კლასია. მისი და ბურჯუაზიის ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. პოლიტიკურ თავისუფლებას იმდენი მნიშვნელობა აქვს, რამდენათაც თავისი ინტერესების დასაცველათ გამოიყენებს. (გვ. 167 და სხ.)

ასეთია „ვესტფალის ორთქლ-მავალის“ მოძღვრება. ამასთანავე უურნალმა წამოაყენა პრაკტიკული კითხვებიც, სახელდობრ — მუშათა სხვადასხვა ნაირი საზოგადოების დაარსება თვით მუშათა მიერ. მხოლოდ ისეთი საზოგადოება მოიტანს სასურველ ნაყოფს, სწერს ის, რომელიც თვითონ მუშათა ხელში იქნება და რასაც ეწინააღმდეგებოდენ მაშინ სხვები. 1844 და 47 წწ. პრუსიაში მართლაც მრავალი საზოგადოებები დაარსდა. მათი სახელი ყველგან ერთი და იგივეა: მუშათა დახმარების და განათლების საზოგადოება. ბერლინში, ბრესლავში, კელნში, ვესტფალის ქალაქებში და სხვაგან ასეთი საზოგადოებები იმართება, მარა არა მუშების, არამედ მოხელეთა და ქველ-მოქმედთა მიერ. მუშები აქტიურ როლს არ თამაშობენ. იმათ მხოლოდ დაუარსებენ, წესდებას შეუდგენენ, ფულს შეუკრებენ და სხვა. მარა მუშები რო თვითონ გამოვიდენ სარბიელზე, თვითონ გამოიფიქრონ, იმსჯელონ, შეერთდენ და სხვა, აი ეს მათთვის მიუწიდომელია. მუშა მათთვის ბავშვია, რომელიც ოპერუნობას საჭიროებს ყოველგან და ყველაფერში. ვესტფალის ერთი ასეთი „საზოგადოების“ სხდომაზე „ვესტფალის ორთქლ-მავალის“ რედაქტორის წინადადება: „საზოგადოება ისე მოეწყოს, რომ სხვადასხვა წოდებები ერთმანეთს ხვდებოდენ“ გაშავებულ იქმნა. ერთი სიტყვით, ეს ბატონი ბიუროკრატები და ქველ-მომქმედნი თავს სდებენ მუშათათვის; მხოლოდ მათთან შე-

ხვედრას, ლაპარაკს და განწყობილებას ერიდებიან. ეს შათ ეთაკილება.

თავის-თავათ ცხადია, რომ ასეთ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პირობაში მუშათა ვათვით ცნობიერება ძრიელ ნელი ნაპიჯით მიღიოდა. სამაგიეროთ გერმანელ ზუშებს ხშირი მიმოსვლა ქონდათ უცხოეთთან, შვეიცარიასთან და საფრანგეთთან და ის აქ თავისუფლათ ეცნობოდენ სხვადასხვა პოლიტიკურ მოძღვრებას. ამ დროს შვეიცარიაში დაწყო პროლეტარიატის მოძრაობა ცნობილი მუშის, ვერტლინგის, მეთაურობით, ხოლო პარიზში ფეხი აიღვა ბლანკის საიდუმ. ლო საზოგადოებამ. ორივე ეს ადგა კომუნისტურ მიმართულებას, ე. ი. სრულ ეკონომიკური თანასწორობის მოძღვრებას. მაგრამ ამას ასაბუთებდენ ხალხის გაჭირვებით, ადამიანის ბუნებრივი უფლებით, კეთილი სურვილებით, ვინემ რაიშე მეცნიერული საბუთებით, ეკონომიკური და კლასიური განვითარებით. ისინი ხშირათ სახარებითაც კი ამტკიცებდენ კომუნისტების სიმშვენიერებს და საჭიროებას. გერმანელი მუშები ყველა ამ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდენ და მისი აზრები სამშობლოშიაც გადაქონდათ. ამ შერით საყურადღებოა გერმანელ მუშათა საზოგადოება, რომელიც პარიზში დაარსდა ამ სახელით: „მართალ-თა კავშირი“. იმის წევრები და დამაარსებლნი იყვნენ გერმანელი მუშები, უმთავრესათ თერძები (ქარგლები) და შეადგენდენ ბლანკისტთა ორგანიზაციის ერთ განყოფილებას, რომელიც ბლანკისტთა აჯანყების დამარცხებასთან ერთათ დაირღვა და მისი წევრები გაიბნენ (1839 წ.). ზოგი ამათგანი გადავიდენ ლონდონში და შეეცადენ კავშირის განახლებას. და ასე შაპერის (ასოთ ამწყობი), ბაჟერის (ხარაზი) და მოლის (საათის მკეთებელი) მეთაურობით საზოგადოება განახლდა. „კავშირის“ განყოფილებები დაარსდა პარიზში, შვეიცარიაში და აქა-იქ გერმანიაშიაც. მოძრაობა დაიწყო 1847 წ. შაპერმა მიმართა საზოგადოების სახელით ენგელსსა და კ. მარქსს

და სთხოვა „კავშირში“ შემოსვლა და შიგნით მუშაობა. ესენი დათანახმდენ და გადაწყვიტეს ამ კომუნისტთა შორის თავის მეცნიერული შეხედულებების გავრცელება — კომუნიზმის ისტორიულათ და ეკონომიკურათ დასაბუთება, სოციალიზმის კლასთა ბრძოლასთან შეერთება. ამ დროს ყველა სოციალისტი და კომუნისტი თეორეტიკები წინააღმდეგნი იყვენ კლასთა ბრძოლის, პროლეტარიატის ცალკე პარტიათ გამოყოფის და ფიქრობდენ „კაცობრიობის განთავისუფლებას ყველა კლასების თანხმობით და მომხრობით. მეორე მხრივ მუშათა მოძრაობა კი უფრო და უფრო შორდებოდა სხვა კლასებს, მათ შორის არსებულ წინააღმდეგობას აღრმავებდა, კლასიური ბრძოლა ძლიერდობოდა.

მარქსს და ენგელსს ის მთავარი ლვაწლი მიუძლვის, რომ მათ აი ეს მუშათა მოძრაობა იცნეს და ის გაიხადეს თავისი მოძლვერების ლერძათ, ისინი ერთიანათ დადგენ პროლეტარიატის შეხედულობაზე და ეგვევე მოითხოვეს ყველა სოციალისტისაგან. ეს აზრები მოეწონა „მართალთა კავშირს“, სადაც უკვე მრავალი უცხოელი მუშები ჩაეწერენ და ასე ის გადაიქცა ინტერნაციონალურ საზოგადოებათ. იმავე წელს (1847წ.) მოხდა კავშირის ორი კონგრესი. პირველზე მოახდინეს „კავშირის“ ხელ-ახალი ორგანიზაცია, წინანდელი უსაშველო ცენტრალისტური და დიკტატურული (მაღლიდან) ორგანიზაცია გააუქმეს და მის ალაგას შემოიღეს სრული დემოკრატიული ორგანიზაცია, რომლის ადგილობრივი და ცენტრალური დაწესებულებები ირჩეოდენ ერთი წლით და ყოველ უამს შეიძლებოდა მათი გადაყენება ამრჩეველთა მიერ ხოლო მეორე კონგრესზე (ნოემბერში) „კავშირმა“ ათი დღის დებატების შემდეგ მიანდო მარქსსა და ენგელს კრებაზე გარკვეული და მიღებული აზრების შემუშავება, ანუსხვა და კომუნისტების სახელით მანიფესტის სახით გამოცემა. და კიდევაც წლის გასულს გამოვიდა ცნობილი „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“.

ამნაირათ, სამშობლოში მცხოვრებნი გერმანელი მუშები დიდათ ჩამორჩენილნი და განუვითარებელნი იყვენ; სამაგიროთ უცხოეთში მყოფნი ეცნობოდენ სხვა-დასხვა პოლიტიკურ აზრებს და სამშობლოში გადმოქმნდათ. ასეთ მდგომარეობა-ში მოუსწრო მათ 1848 წ. რევოლიციამ. ბევრი უცხოეთში მყოფი გერმანელი მუშები დაბრუნდენ სამშობლოში და მოძრაობაში ჩაერიენ.

ყოველგან მუშებმა თავი წამოყეს და თავის საკუთარ საქ-
მის გაწყობას შეუდგენ. „შრომის მოწყობა“, „შრომის უზრუნ-
ველ ყოფა“, „შრომის სამინისტრო“, „შრომის უფლება“ და სხვა
ამისთან ები — აი რა ისმოდა გერმანიის ყველა ქალაქებში და
კუთხეებში. მუშათა კითხვა დღიურ კითხვათ გადაიქცა. მარა
რევოლიციას ჩარა რეაქცია მოყვა და კონსერვატიული
მიდრეკილება მთელ თავის ძალაში შევიდა. გერმანიის შე-
ერთებულ მთავრობისაგან მუშათა საზოგადოებები ცნობილ
იქნა საშიშარ დაწესებულებათ და 13 ივლის 1854 წ. მათი
არსებობა შემდეგი მუხლით აკრძალეს: „საერთო მშვიდობია-
ნობის დასაცველათ, ვალდებულია ყოველი მოკავშირე მთავ-
რობა არსებული მუშათა საზოგადოებები, რომელიც სო-
ციალისტურ თუ კომუნისტურ მიზანს მისდევენ, ორი თვის გან-
მავლობაში გააუქმოს და ხელახლა შედგენა აკრძალოს“. ხოლო მუშათა კოოპერატიული საზოგადოებები სასტიკ
განვითარების კალაპოტში ჩააყენეს და პოლიციის ზედა-
მხედველობის ქვეშ დააყენეს.¹⁾ 6 ივლის 1854 წ. გამოვიდა
მეორე კანონი რომლის ძალით პერიოდულ გამოცემების ნე-
ბართვისთვის 5000 ტალერი გირაო და სხვა სასტიკი შემა-
ვიწროებელი წესები დაწესდა. ასეთი დევნით და შევიწროე-
ბით მუშათა მოძრაობა მიყუჩდა. მათი საზოგადოებები მოი-
სპო. მათი ორგანოები დაიხურა. აღდგა ძველი წესები. რევო-

1) ამ რეაქციონურ კანონის შემუშავებული იყო, სხვათა შორის, ბის-
მარქიც.

ლიუციური პროპაგანდა შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ საიდუმლო ორგანიზაციით, როგორც ეს 1848 წლამდის იყო. მრავალი რევოლუციონერი მუშები უცხოეთში გადაიხვდება და იქიდან დაიწყეს მოქმედება. შვეიცარიაში დაარსეს 16 „მუშათა საზოგადოებები“, მაგრამ პრუსიის მთავრობის მოთხოვნით შვეიცარიის მთავრობამ აკრძალა და 226 გერმანელი მუშა თავის საზღვრებიდან გააძევა. მთელ ევროპაში რეაქცია გამეფდა და მუშათა მოძრაობას დევნიდენ. რაკი პოლიტიკური ასპარეზი ასე შევიწროვდა, მუშები შედგენ ეკონომიკური გაუმჯობესების გზაზე და გერმანიაში დააარსეს მრავალი მუშათა ლეგალური საზოგადოებები. მათ შორის მრავალი იყო განსაკუთრებით ვეიტლინგის მიმდევრები. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა მესამოცე წლამდე, როცა კონსერვატორთ დაეკარგათ ძალა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ხანა დადგა. პოლიტიკური ცხოვრება ისევ განცხოველდა და მასთან ერთათ თავი წამოყო მუშებმაც, ლიბელურ რეჟიმმა მათ ცოტა-ოდნათ ხელ-ფეხი გაუხსნა, რამდენიმე თავისუფლება მიანიჭა და, რასაკვირველია, მოინდომა ეს მისი ცხოვრებაში გამოყენება. 1762 წ. ლეიპციგის ერთმა მუშათა საზოგადოებამ გადაწყვიტა მთელ გერმანიის მუშათა წარმომადგენლების კონგრესის მოწვევა და საერთო კიოხვის საერთო გადაჭრა. ამ აზრის წინა-ოღმდეგ გაილაშქრეს ლიბერალებმა და პროგრესისტებმა, რადგან აც, მათი აზრით, მუშათა განსაკუთრებითი ორგანიზაცია და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა რეაქციისაკენ მიგვიყვანს. მათი შეხედულებით მუშებმა კოოპერატიულ დაწესებლებებით თვითონ უნდა გაიუმჯობესონ თავისი მდგომარეობა, რისთვისაც არავითარი პოლიტიკა და ცალკე პარტიები საჭირო არ არის. ამ მიმართულების წარმომადგენელია პროგრესისტთა პარტიის მეთაური შულცე—დელიჩი. პირველათ მან თავის სოფელში, დელიჩი, გახსნა პატარა შემნახველ-გამსესხებელი ბანკი და შემდეგ სხვა ადგილებშიაც. ეს ბანკები დამყარებულია იმ დედა აზრზე, რომ გამოსცეს რაც შეიძლება

წვრილი აქციები, რის ყიდვა ყველა მუშებს შეეძლოს. პრიორ კოოპერატიული საზოგადოების დაარსება, წარმოების აღორძინება და მითსხვილი კაპიტალისათვის კონკურეციის გაწევა — ამ მუშათა კითხვის გადაჭრის საშუალება. ამნაირად სოციალური კითხვა ბანკთა კითხვათ გადაიქცა და, სანამ ეს ასეა, მართლაც არავითარი პოლიტიკა საჭირო არ არის.

მიუხედავათ შულცე დელიჩის ავტორიტეტისა, ლეიპციგის მუშათა საზოგადოება მანც თავის აზრზე დარჩა და კონგრესის მოსაწვევათ ცენტრალური კომიტეტი განაწესა. 1863 წ. ოქტომბერი კომიტეტმა ასეთი წერილი მისწერა ახლათ გამოსულ მოლვაწეს ფერდინანდ ლასალს: „თქვენი წიგნი — „შესახებ განსაკუთრებითი კავშირისა თანამედროვე ისტორიული ხანისა და მუშათა წოდების იდეიის შორის“ — („მუშათა პროგრამა“) აქ ყველა მუშების მიერ დიდი აღტაცებით მიღებულ იქნა და ცენტრალური კომიტეტი თქვენი დედა-აზრის მომხრე შეიქნა. — მეორე მხრით, აქა-იქ ძლიერი ეჭვი აღიძრა იმის შესახებ, რომ შულცე-დელიჩის ასოციაციები საკუთრებას მოკლებულ მუშას სარგებლობას ვერ მოუტანს და მისი მდგომარეობა სახელმწიფო არ შეიცვლებათ. ცენტრალური კომიტეტი იმ აზრასაა, რომ დღვენდელ პირაბებში ასოციაციები სასურველ ნაყოფს ვერ მოიტანენ, მაგრამ, რადგანაც შულცე-დელიჩის აზრები ყველა აღგილებულ გავრცელებულია და მუშა-ხალხისთვის, — რომლითაც ჩვენ ვგულისხმობთ ხალხის ყველაზე უფრო შევიწროვებულ ნაწილს, — საუკეთესო საშუალებათაა მიჩნეული და რადგანაც ჩვენ გვვონია შეიძლება უფრო უკეთესი გზის გამონახვა და ახალი საშუალების ჩვენება მუშათა პოლიტიკურ მატერიალურ და გონიერივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, ამისათვის ცენტრალურ კომიტეტმა ათ ოქტომბერის ერთხმათ გადასწყვიტა გთხოვას თქვენ გამოთქვათ თქვენი შეხედულება მუშათა მდგომარეობის და იმ საშუალებების შესახებ, რომლითაც იმათ უნდა ისარგებლონ და

აგრეთვე ახსნათ ის, თუ სახსარმოკლებულ ხალხის ნაწილი-
სათვის რა ღირსება აქვს ასოციაციებს“. ლასალმა დიდი სია-
მოვნებით მიიღო ეს მოწოდება და პასუხათ გამოაქვეყნა:
„ღია საპასუხო წერილი ლეიპციგის ცენტრალურ კომიტე-
ტის მიმართ“. ამით ჩაყარა საძირკველი მუშათა პარტიისა.

ფერდინანდ ლასალი.

ლასალი ჩამომავლობით ებრაელი, დაიბადა 11 აპრილს 1825 წ. ქ. ბრესლავში. სწავლობდა განსაკუთრებით ფილოლო-
გიურ და ფილოსოფიურ საგნებს. 1848 წ. რევოლუციაში აქტიუ-
რი მონაწილეობა მიიღო. ძრიელ დაახლოებული იყო მარქსისა და
ენგელსის წრესთან, რომელიც კიელნი გაზეთსა სცემდა და
რევოლუციისათვის სოციალისტურ—რადიკალური ხასიათის
მიცემა სურდა. ლასალი ამ დროს ფართო ასპარეზზე არ გამო-
სულა, ის იყო მხოლოდ დიუსელდორფის მუშათა მეთაური და
ადგილობრივ რევოლუციონურ მოძრაობის ხელმძღვანელი,
შემდეგ რევოლუციის დასრულებისა, ლასალი სამართალში
მისცეს და ექვსი თვე ნაობაზი მიუსაჯეს. ის 1875 წლამდე დიუ-
სელდორფში ცხოვრებდა. მის ბუნებას ეს პატარა ქალაქი ვერ
აკმაყოფილებდა და ბერლინში გადმოვიდა. ვინ იყო ფერდი-
ნანდ ლასალი? რით დაიმსახურა მუშათა ყურადღება? რას
მისდევდა? რა აზრს ემსახურებოდა? ფერდინანდ ლასალი არ
იყო გამოჩენილი ფილოსოფოსი, რაიმე ახალი სისტემის და
კანონების აღმომჩენი, მეცნიერების გადამტრიალებელი და
შესანიშნავი მოძღვრების მამა-მთავარი. ის ვერ იყო ისეთი
ლრმა მოაზრე, როგორც, მაგალითათ, მარქსი, მაგრამ რაც ის
იყო, რაც მას ახლდა, ყველა დანარჩებს აკლა, მის მზგავსს
ჩვენ ვხედავთ მხოლოთ ძველ საბერძნეთში და მათი რიცხვი
ათ თითზე ჩამოითვლება. ლასალი იყო შესანიშნავი მჭერ-
მეტყველი, გამჭრიახი და ტაქტიკის კაცი. მთელი მისი
არსება იყო ცეცხლ-მფრქვეველი მთა, საიდანაც ერთი ამოვარ-

დნილი ხმიანობა მთელ არე-მარეს შესძრავს. მისი სიტყვა—
ეს არის აღამიანის გულიდან ამოვარდნილი ქუჩილი. მისი
ნაწერი—ეს არის ელექტრონის ძალა, რომელიც ადამიანს ყველა
ძარღვებში უვლის და სამუდამოთ იმორჩილებს. მთელი მისი
ხანმოკლე მოღვაწეობა—ეს არის აზვირთებული ზღვა, აბობოქ-
რებული ტალღები, რაც მოსვენება, დაწყნარება არ იცის.
ლასალი ერთ საათს, ერთს წუთსაც ვერ მოისვენებდა. მას რამე
დიდი საქმე უნდა ეკეთებია, ქვეყანა უნდა გაენძრია, ყველას
ყურადღება უნდა დაემორჩილებია. მასში სისხლი კი არ მოძრა-
ობდა, როგორც ჩვეულებრივ აღამიანში, არამედ დუღდა, ღე-
ლავდა თავის კალაპოტში ვერ ეტეოდა და გარეთ გადმოხეთქის
ლამობდა. მისი ნერვები, მისი აგებულება ძრიელ სუსტი და
ვიწრო იყო შიგ მოთავსებულ ენერგიის, მხეობის და გამბე-
დაობისათვის. ერთ დღეს, ერთ საათს იმდენ ენერგიას დახარ-
ჯავდა, რის დახარჯვა სხვას ათ წილსაც არ შეუძლია. შეიძლება
მასში ბევრი ენერგია არ იყო, მარა ის, რაც იყო, წარმოა-
დგენდა ერთათ შეკუმშულს, მოწურულს ინტენსიურს და ამიტომ
მედგარს, უძლეველს და არა ჩვეულებრივს. ის მოვლენილი იყო
იმიტომ, რომ რამოდენიმე ათი წლის ცხოვრება სამ-თოს წლის
ცხოვრებათ ეჭცია, მთელი თავისი ძალ-ღონე, რაც შეიძლება
აღრე დაეცალა. ის, რასაც სხვა ათ წელს გააკეთებს, ერთ კვირას
გაეკეთებია და ისევ ჩქარა ამ ქვეყნიდან წასულიყო.—(დუღლში
მოკლეს 1864წ). ლასალი იყო ბუნებით გაუჩერებელი, დაუ-
ლალავი, მუდამ მოძრავი, მუდამ მომქმედი. მისი ბუნება—ეს
დელვაა, რევოლუციაა, რომელიც ცხოვრებაში ვერ ეტევა,
ატმოსფერა სასუნთქვათ არ ყოფნის და გული უცემს, სული
ეხუთება, ხან აქეთ ეცემა, ხან იქით, რომ ვიწრო საზოგადო-
ებრივი ბორკილები დაამტრიოს, დაანგრიოს და მით თავი-
სუფალი სამოძრაო სივრცე შექნას. ლასალი გერმანიის ცხოვრე-
ბაში—ეს ნიშნავს მდევის აკვანში ჩაწვენას და, რასაკველია,
რომ აკვანში ვერ ძლებდეს, ვერ იცდიდეს, და მუდამ დაუ-
სრულებრივ აჯანყებას ახდენს. დიხ, ლასალის ცხოვრება—ეს

რევოლუციია, ხელო ყოველივე მის გარშემო მკიდარი, უძვი და უსულო სხეულია. წარმოიდგინეთ ლომი რკინის გალიაში, მარა არა ჩვეულებრივი ლომი, რომელიც გალიას თავის ნებით ურიგდება, არამედ ისეთი, რომელიც ომობს, იბრძვის, გალიას ამტვრევს, რომ გარეთ გამოვიდეს. აი ეს ლომი ლასალია, ეს გალია გერმანია. „მომეცით ხუთასი ათასი გერმანელი მუშა და რეაქცია ფეხზე ვეღარ დამაგრდება“ შეჰყვირა მან ფრანკფურტის ერთ ყრილობაში. აი სად ეძებს ის ამ გალიას დასამსხვრევ იარაოს, აი სად ხედავს ის ქვეყნის გადამატრიალებელ ღერძს.

რევოლუციის შემდეგ, როგორც ვიცით, კონსტიტუციური ბრძოლა დაიწყო. მთავრობის და ხალხის უფლება ერთმანეთს შეეტაკა. აი ამ დაუსრულებელ კონფლიკტში ჩაერია ლასალი (1861) თავისი წიგნით: „სისტემა შეძენილ უფლებებისა“ და ქვეყანას აუწყა: ნამდვილი უფლება მის ხელშია, ვის ხელშიაც ძალაა. მაშასადამე ბრძოლა უფლებებისათვის ნიშნავს ბრძოლას ძალის შეძენისათვის. ვისკენაც ეს უკანასკნელია, მისკენ უნდა იყოს პირველიც და რაღაც აც დღეს ეს ძალა მთავრობის ხელშია, ცხადია მის ხელშია უფლებაც. აი დედა-აზრი ამ თხზულებისა. კონსერვატორებმა ტაშის ცემით მიიღეს—ეს ერთი ნიჭიერი კაცი მოგვემატაო. პროგრესისტებმა დევნა დაუწყეს, ერთი მტერი მოგვევლინაო. ორივე ეს პარტია იდგა ეგრედ წოდებული „უფლების ნიადაგზედ“ და აქედან ორივეს სხვადასხვა დასკვნა გამოყავდა: ერთი ამბობდა, მთავრობას უნდა მიეცეს უპირატესობაო, მეორე კი ხალხს, და ასე დაუსრულებლივ. მოდი, დაამტკიცე რომელია მართალი. ლასალმა ეს შეაბრუნა. კითხვა დასვა არა უფლების, არამედ ძალის ნიადაგზე: ყველა უფლების წყარო ძალაა და ვისაც პირველი სურს, მეორე უნდა შეიძინოსო. მარა ეს იყო წმინდა თეორეტიული მოსაზრება, მეცნიერული გამოკვლევა და არა პრაკტიკული პროგრამა. კონსერვატორებმა ის აღიარეს თავის მომხრეთ, პროგრესი-

სტებმა მტრათ. ამ დავაში ჩაერია ის შეორე თხზულებით — „რა ეხლა“, სადაც პრაკტიკული დასკვნები გააკეთა და პოლიტიკური შეხედულება ნათლათ გაარკვია. ის სწერდა, მთელი ძალა, მხედრობა, მოხელენი, პოლიცია და სხვა მთავრობის ხელშია, ამიტომ პარლამენტმა, რაც უნდა ოპოზიცია გაუწიოს, მნიშვნელობა არ აქვს, რაღაც მთავრობის ძლიერებას ვერ დაანგრევს. გადასახადის ნება-დაურთველობა ცარიელ ქალალდათ დარჩა: მთავრობამ ძალად იკრიფა ის. აქედან ერთათ-ერთი გასავალია: მთავრობა უნდა იძულებული შეიქმნას პარლამენტს დაემორჩილოს, რაც შესაძლებელია ამ ნაირათ: ყველა დეპუტატი პარლამენტიდან გამოვიდეს და გამოაცხადოს, სანამ მთავრობა გარანტიას არ მოვცემს ჩვენ გადაწყვეტილებას გასავალი ექმნას, პარლამენტში არ დავბრუნდებით. ამ შემთხვევაში ის ან უნდა დამორჩილდეს ან და ისევ თვითმშეყრობელობა აღავგინოს. მეორეს ვერ იზამს ხელ ახალი რევოლუციის შიშით, მაშინადამ პირველი უნდა ქნას და მით ხალხის წარმომადგენლობა გაიმარჯვებს. იმ ეს აზრი ახლა არც ერთ პარტიას არ მოეწონა, ნამეტანი რევოლუციონურიათ; ოპოზიციას უფლების ნიადაგიდან ჩამოსვლა არ სურდა. პროგრესისტებმა ბრძოლა გამოუცხადეს ლასალს, ის ბისმარქის „რკინის“ თეორიის მომხრეო. გაზეთებმა ლასალს პასუხი არ დაუბეჭდეს და იძულებული იყო ცალკე წიგნათ დაებეჭდა „ძალა და უფლება“ და მით სამუდამოთ მოსცილებოდა პროგრესისტთა პარტიას. ის შედგრად იდგა თავისაზე: სანამ ძალას არ შევიძენ, მანამდის ვერცუფლებას შევიძენთო. სად არის ეს ძალა? რომელი პარტია წარმოადგენს მას? არც ერთი: არც ლიბერალური, არც პროგრესიული. ამათ ყველაფერი კანონიერათ სურთ მოავარონ და ძალის თეორიას უარს ყოფენ. ძალა კონსერვატორთა ხელშია. მაში სად უნდა მოვნახოთ ახალი ძალა, ახალი პარტია? იმ ახლა პირველად გამოვიდა ლასალი როგორც მუშათა აგიტატორი. 12 აპრილს 1862 წ. ბერლინის ერთ ხელოსანთა

საზოგადოებაში წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა; სადაც გან-
მარტა მუშა-ხალხის დანიშნულება და ისტორიული მოწოდე-
ბა¹⁾. აյ მან ერთი დაკვრით მთელ თანამედროვე კლასთა შო-
რის ყველაზე უძლიერებელს და უღარიბეს კლასს, მუშა-ხალხს
უპირველესი როლი მიანიჭა. „თქვენ ხართ ის საძირკველი,
რომელზედაც უნდა აშენდეს ეკლესია მომავლისა.“ შესხახა
მან იქ დამსწრე საზოგადოებას და მით ამ დაბეჭავებულ ხალხს
მხნეობა, ენერგია, თავ-მოყვარეობა, თავის პატივის ცემა სა-
მუდამოთ ჩაუნერგა. ლასალი მაშინვე მიხვდა, რომ სანამ მუ-
შა-ხალხს თავისი თავის რცხვენია, თავის ხელობა ეთაკილება,
სანამ ის თავის თავზე დაბალი შეხედულების არის, მანამდის
მისი მოძრაობაში მოყვანა შეუძლებელია. ამიტომ პირველი
მისი სიტყვა უნდა ყოფილიყო გამამხნევებელი, აღმაფრთვე-
ნებელი, რომელსაც ეს ეკონომიურად საზოგადოების უკანასკ-
ნელი ნაწილი გონიერივად უპირველეს ნაწილად უნდა გაე-
ხადა, ქვევიდან მაღლა ამოეყვანა და ერის სათავეში მოექცია, აი
აქ უნდა იყოს თქვენი ალაგი და არა იქ ჯურლმულშიო. ეს
კი მთელი რევოლუციია, როვოლიუცია სულიერი. რა ნაირად
შეეძლოთ ეს ლასალს მოეხდინა? უბრალო სიტყვების რახა-
რუხით? თავმოყვარეობის სიმებზე თამაშობით? არა, მან წარ-
მოიდგინა მთელი ისტორიული ფილოსოფია, ის ფილოსოფია
რომელიც მოკლედ „მანიფესტში“ გამოთქვეს მარქსმა და
ენგელსმა, და რაც ახლა ლასალის წყალობით პრაკტიკაში
უნდა გადასულიყო.

აი მისი დედა აზრი: ყოველ ისტორიულ ხანაში ერთი
რომელიმე კლასი ბატონობს, ის განაგებს ქვეყანას და ყო-
ველივეს აწყობს თანახმათ თავისი ინტერესისა და შეხედუ-
ლებისა. საშუალო საუკუნეში ასეთი კლასი იყო თავად-აზნაუ-
რობა, რომლის ძალა მიწაზე ანუ ადვილ-მიულზე იყო დამყა-
რებული, აქ მამული თამაშობს უპირველეს როლს. მაგრამ ამ

¹⁾ ეს დაიბეჭდა ამ სათაურით: „მუშათა პროგრამა“.



Եպոնիլցին յերշո դակարա և նեղնելա գաօթառճա
մեռր կլասո, կլասո ծյրյանիօսա, հռմլոս մալա մամյլից
որ արա, ցյլից Մյոյմնա դամյարյեծյլո. առ ամ սյանասյնըլո
կլասոս գանցոտարյեծ արոս աեալո եանոս գանցոտարյեծ. ման նոց-
տոյրատ տանքատան դասւա մովնօնազբ წուցյեծ և մոյլո մարյ-
րուալյուրո մալա ոցոտ դասսայուտրո. մացրամ մամազբ դրու մոյ-
լո սյոլյեծ—սյուրաբյեսոն մովնօնազբ წուցյեծն ըյուտնուա. ծյրյանիօմ,
գալոննոյրյեծյլմա յյոնոմոյրատ, մոնճոմա
սյոլյեծյեծնոտապ գալոննոյրյեծ և ուս ոյոս մոեթա սայրանցյոտու
դուզո հյուալյուցո. մյեսամյ წուցյեծն ծատոննօն սայցյնոտ
ալուարյեծյլո ոյմնա. մացրամ մյեսամյ წուցյեծ Մյուուազուա ուր դուզ
կլասոս, հռմյելոտ Մորոս ոնբյերյետո წոնաալմդյյցոննօ. յե
կլասյեծն ծյրյանիօն և ձրույթարուաբո. մարտալու ծյրյանիօմ ալուարա—իյմո գածաբոնյեծոտ յյոյանա գածաբոննուա, մարա
ալույ գամոնիննօ, հռմ մյշա-եալու մուս պմատ գածայիւր
և մաս տացուս նյեծո սյոլյեց և ուրանչաց. 1848 թ. ոյնու-
շո (սայրանցյոտշո) մյշա-եալու ալցա ծյրյանիօս წոնաալմդյյց
և մոտ յյոյանա դասմբյուր, հռմ մյուլյունան յրտատ-յրտ հյ-
ուալյուուոնյուր մալոս մյշա եալու Մյուցյենս. Մրոմու ձրուն-
ցուն წամուցա წոն և մոոտեռցա ծատոննօն. մյշա-եալու ծա-
տոննօն յե տանասյուրոննօն ծատոննօննօ, ցոնաաւցան ուս գան-
եռուրոյլյեծյլո տանասյուրոննօն. ուս մոյլյեծյլուա սյուցյելուուց
սյուրաբյեսոննօն և մամասամյ մուս գանտացուսյուցյեծ նոմնաց
ալամուննօն գանտացուսյուցյեծնօն. մուս ծատոննօն յե ալամուննօն
ծատոննօննօ և արա մամյլուս տու ցյլուս. „առ արոս հռմյ-
լումյ წուցյեծնուսատցուս ոմանց սյմալլուսո პարուց և նեյոնիուց
ամալլույն, հրցորու Մյցնյեծ, հռմ ուս մովուցյեծյլուա Մյոյմ-
նան մովնօնազբ წուցյեծնտ, գածայյուրուս տացուս წուցյեծնուս դյուզ
անրու մոյլո տանամյը հրուց եանոս դյուզ անրու, տացուս ուցուա
մոյլո սանցագուցնօն սակելոմմլզանյըլու. ուցուատ, ամ դուզմա
პարուց և մեուլուս ուրուուլ լանունյլյեծնամ մոյլո ոյցու-
նո անրունյեծ սյնդա մոուցուս, տյցը առ Մյցնյենուս սյուլուս

დაჩაგრულის, აზრების სიძაბუნე, თავისი თავის უმნიშვნელო არსებათ წარმოდგენა. თქვენ ხართ ის საძირკველი, რომელ-ზედაც უნდა აშენდეს ეკკლესია მომავლისა“, დააბოლოვა თავისი სიტყვა ორატორმა.

აი ეს არის შინაარსი ლასალის „მუშათა პროგრამისა.“ ამ სიტყვას ისეთი გალვენა ქონდა, რომ მთელი გერმანიის მუშათა ყურადღება მიიპყრო. დღე ამ სიტყვის წარმოთქმისა ითვლება დღეთ მუშათა პარტიის დაბადებისა. პირველათ, როგორც მოვიხსენიეთ ლეიპციგის მუშათა საზოგადოებამ ლასალის მხარე დაიჭირა და წერილით მიმართა რჩევისათვის. ლასალმა უპასუხა — „ღია საპასუხო წერილი ლეიპციგის ცენტრალურ კომიტეტის მიმართ,“ სადაც მან ეკონომიური და პოლიტიკური შეხედულება გამოთქვა. კითხვა იყო ასეთი: მუშა-ხალხს შეუძლია თავისი ძალ-ღონით შედგენილი ასოციაციებით მდგომარეობის გაუმჯობესება? ამის გადასაჭრელათ ლასალმა სამი თეორია წამოაყენა: პირველი — ქირის რკინის კანონი. მუშის დღიური ქირას ბუნებრივი საზღვარი აქვს, რომელსაც ვერ გადასცილდება. დღევანდელი ცხოვრება თავისუფალ კონკურენციაზე არის დამყარებული. რამდენად მეტი მუშა ეძებს სამუშაოს, იმდენად მეტია იმათ შორის ერთმანეთის შეცრდება. აი ამით ხელმძღვანელობს კაპიტალისტი და ქირაობს მხოლოთ იმათ, რომელნიც ყველაზე უფრო იაფათ თანმხდებიან. მაგრამ სიიათეს საზღვარები აქვს. ეს არის მუშის უპირველესი და უსაჭიროესი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ჭამა, ბინა, ცოლ-შვილი და სხვა. თუ ის იმდენ ქირას ვერ იღებს, რომ ეს მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, მაშინ მათ შორის ჩნდება ივადმყოფობა, ხშირდება სიკვდილი, კლებულობს ქორწინება, და ამით მუშა-ხალხის რიცხვი მცირდება. რაკი მათი რიცხვი მცირეა, სამუშაოს მაძიებელნიც მცირეა, და მაშასადამე მათ შორის შეცილება სუსტია. ახლა კაპიტალისტთა შორის ტყდება შეცილება, თუ რომელი უფრო მეტ რიცხვს მუშას თავისკენ მიიზიდავს. მუშა, რასაკვირ-

ველია, იმას ექირავება, ვინც მეტს აძლევს. ამით მუშის დღის ქირა მაღლა იწევა, ახლა მათ შორის მეტი ფული ტრიალებს, მაშასადამე უკეთ ცხოვრობდენ. სიკლილი და ავათ-მყოფობა კლებულობს, ქორწინება მატულობს და ასე მუშა ხალხი ხელ-ახალა მრავლდება. ახლა ისევ ძრიელდება მათ შორის სამუშაოსათვის ბრძოლა და ეცემა დღის ქირა. იწყება ისევ პირველი პროცესი, პირველი პროცესი იწვევს მეორეს, მეორე პირველს და ასე მუდამ. დღის ქირა საშუალო რიცხვით იმდენი რჩება, რომ სული დაიპუროს, ელემენტარული მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. აი ეს არის ქირის რკინის კანონი. მაშასადამე საიდან შეუძლია მუშას იმდენი იშოვოს, რომ კაპიტალი შეადგინოს, ეგ ყოლად შეუძლებელია, ეგ თვალის ახვევაა, გზა-დაბნეულობაა. მუშა-ხალხს შეუძლია ასეთი ასოციაციების გამართვა არა თავის ხარჯით, არამედ სახელმწიფოს, ხაზინის დახმარებით. მუშა ხალხი უნდა შეერთდეს და დაარსოს სამრეწველო ასოციაციები. მაგრამ ცარიელი ჯიბით ხომ მას არ შეუძლია ამის მოწყობა. მიეცით მუშა-პროლეტარიატს საბრძოლველი იარაღი და ის იბრძოლებს, მიეცით მას დიდი სესხი და ის გამოიყენებს თავის სასარგებლოთ. ერთი სიტყვით, მუშა ხალხმა, რომ თვითონ გააუმჯობესოს თავისი მდგომარება, საჭიროა სახელმწიფოს დახმარებით სამრეწველო ასოციაციების დაარსება და ის თანდათან მოელი ხალხის საკუთრებათ გადაიქცევა. შეუძლია კი სახელმწიფოს ასეთი დიდი დახმარების მიცემა? და რა არის სახელმწიფო? სახელმწიფო — ეს თქვენ, მუშა და ღარიბი ხალხი ხართ. თქვენ შეადგენთ მის დიდ უმრავლესობას, მაშ დაეპატრონეთ ამ თქვენ საკუთრებას, ხელში ჩაიგდეთ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა და გამოიყენეთ თქვენს სასარგებლოთ. რანაირათ შეიძლება სახელმწიფოს დაპატრონება? ამის საშუალება ერთათ-ერთია: პარლამენტში მხოლოთ თქვენი მომხრე დეპუტატთა გაგზავნა და იქიდან ბურუუაზის განდევნა. მაგრამ პარლამენტის არჩევანი დამყარებულია ქონებაზე,



ცენზე, ის სამ კლასიანი სისტემით იჩევა და სანამ ეს ასეა, მანამ მუშა ხალხს თავისი წირმომადგენელის ამოჩევა არ შეეძლება. აშკარაა, ამ სისტემის გაუქმება და პირდაპირი, საყველოა, ყველასათვის თანასწორი კენჭის უფლების შემოღება თქვენი ერთათ-ერთი პოლიტიკური მიზანი უნდა იყოს. იი, ეს არის თქვენი ერთათ-ერთი დროშა, ამით შეგიძლიათ გამარჯვება, სხვა სახსარი არ არსებობს.

ამ ნაირათ ლასალმა ჩაყარა საფუძველი მუშათა განსაკუთრებული პარტიისა, რომლის ინტერესი ყველა დანარჩენ პარტიას ეწინააღმდეგება. რა დამოკიდებულება აქვს ამ პარტიის ოპოზიციურ პროგრესისტთა პარტიისთან? მუშათა პარტია ყოველგან დამოუკიდებელ და უეჭველათ მათგან განკერძოებულ პარტიათ უნდა გამოვიდეს. პროგრესისტთა პარტიას მხარს უჭერს მხოლოდ ისეთ საქმეში, რომელიც მისი სასარგებლოც რის, მაგრამ ის ებრძვის და განზე უდგება მაშინვე, როგორც კი ამ საერთო საქმეს ღილატობს. ამით პროგრესისტებს იძულებულს ყოფს ან წინ წავიდენ და თანამდროვე ისტორიის შესაფერი როლი ითამაშონ, ან და უკან წავიდენ, უღონოდა უმნიშვნელო პარტიათ გადიქცენ და წუმპიან ორმოში ჩაეშვან, რომელშიაც მუხლამდე უკვე ჩაიჩოქეს. იი როგორი უნდა იყოს გერმანიის მუშათა პარტიის ტაკტიკა პროგრესისტების მიმართ. ასეთია ლასალის სახელმოვანი „ლია წერილი“.

ლეიპციგის ცენტრალურ კომიტეტმა დიდი ხმის უმეტესობით მიიღო ლასალის პროგრამა და შეუდგა მუშათა კონგრესის მოწვევის და მუშათა დიდი საზოგადოების დაარსებას. ამასთანვე ჰამბურგის, კიელნის და სხვა ქალაქებში ლასალის თანაგრძნობის ხმა გაისმა. მაგრამ ეს რა იყო წინაშე იმ ოპოზიციისა, რომელიც ლასალის წინააღმდეგ დაიძრა, ყველა პარტიებისა, საზოგადოებისა და უურნალ-გაზეთებისაგან! პროგრესისტებმა დასწამეს ღალატი, მას სურს მუშები ჩვენ ჩამოგვაშოროს და მით ჩვენი პარტია დაასუსტოს. კონსერვატორებმა მას უწოდეს ქვეყნის დაგრეველი დაშიშარი უტოპისტი.

მათ ანუგეშებდა ერთი გარემოება. მუშებმა ამ შავ და ლაბარმა ხალხმა რა პარტია უნდა შეადგინოსო, განა ამისთვის მათ ჰკუა-გონება შესწევთო? მათ ეს დიდხანს სასაცილოთაც არ ყოფნიათ. ლასალის პასუხს არც ერთი გაზეთი არ ღებულობდა და იძულებული იყო ყოველგან კრებები ემართა და პირადათ დაეცვა აზრები. ლასალის მოგზაურობა და აგიტაცია — ეს წარმოუდგენელი ტრიუმფი იყო. ბოლოს ის და მისი მოწინააღმდეგებ შულცე-დელიჩი მიიწვიეს ფრანკფურტის სახალხო მიტინგზე თავიანთი აზრების დასაცავათ. ლასალი წავიდა, შულცემ არ მცალიაო და აღარ წავიდა. ლასალმა წარმოოთქვა სიტყვა 500 მუშის წინაშე, რომელნიც წინედ შულცეს მომხრენი იყვენ. 60 მუშამ დაიძახა გაუმარჯოსო შულცეს ჭყრილობა დატოვეს. დანარჩენი ერთხმათ ლასალისაკენ გადავიდა. ასეთი აგიტაციის და მოქმედების წყალობით, მაისში 1863 წ. მოწვეულ იქმნა მუშათა კონგრესი, სადაც წარმოდგენილ იყო 11 ქალაქის მუშათა საზოგადოებები და დაარსეს „გერმანიის საყოველოა მუშათა საზოგადოება“. ახლა რამდენიმე რედაქციამ ლასალს მხარი დაუჭირა და თავისი ორგანოები გაუხსნა. აი ამ „საზოგადოების“ ორგანიზაცია: წევრათ შეუძლია იყოს ყველა მუშას, რომელიც კი წევრობის სურვილს განაცხადებს. მას შემოსავლისთანავე ეძლევა ყველა ის უფლება, რაც სხვებს აქვს და შეუძლია წევრობას, როცა სურს, თავი დაანებოს. არა მუშის მიღების უფლება ეძლევა მხოლოდ ცენტრალურ გამგეობას. გამგეობას იჩიებს „საზოგადოების“ კრება, რომელიც ყოველ წლივ ხდება; გამგეობა შედგება 12 წევრის და თავმჯდომარისაგან. თავმჯდომარე იჩიევა ხუთი წლით, გამგეობის წევრები კი თითო წლით. ადგილობრივ წევრთა სათავეში დგას გამგეობის მიერ დანიშნული სანდო პირი, რომლის მოვალეობაა ახალი წევრების მიღება, ადგილობრივ წევრთა საზოგადო ყრილობების გამართვა, საწევრო ფულის მიღება და სხვა. მისი სამუდამოო გადაყენება შეუძლია გამგეობას, ხოლო თავმჯდომარეს — დროებით. თუმცა ეს ორგანიზა-

ცია დემოკრატიულ საფუძველზეა, ადგილობრივ წევრთა არჩეული დელეგატები ირჩევენ გამგეობას, რომელიც, თავის მხრით ნიშნავს „სანდო პირებს“, მარა პირველსავე კრებაზე გაჩენდა კიდევ უფრო დემოკრატიული ოპოზიცია წინააღმდეგ თავმჯდომარის დიდი უფლებებისა. მაგრამ რაღაც თავმჯდომარე, თავის თავათ ცხადია, ლასალი უნდა ყოფილოყო, ხოლო მას ერთიანათ ენდობოდენ, ოპოზიციაც სუსტი იყო.

ლასალმა მაინც არ მიიღო თავმჯდომარეობა მანამდის, სანამ მისი კრების მიერ არჩევა არ დაადასტურა „საზოგადოების“ ყველა წევრთა კენჭის ყრამ.

ამ ნიირათ ლასალი შეიქმნა „საზოგადოების“ ყველა წევრთა არჩეული მეთაური. იმავე წელს ლასალმა დაიწყო სააგიტაციო მოგზაურობა განსაკუთრებით რეინის პროვინციაში, სადაც მუშათა ცენტრები იყო. ყველგან გამოიუთმელი აღტაცებით და ვაშას ძახილით დებულობენ, ეს იყო მოციქულის მოგზაურობა ქვეყნის დასახსნელათ. მის პატივ-საცემლათ სახლებში, ქუჩებში, გზის სადგურები, სადაც კი ლასალი გაივლიდა, გაჟედილი იყო ხალხით. ლასალი შეიქმნა ყველასათვის საინტერესო, მისი ნახვა და მისი სიტყვის მოსმენა ყველასათვის სანატრელი. სამაგიეროთ, ლასალის მდევნელი, გარდა ბურუუაზიული პარტიისა, პოლიცია შეიქმნა. მისი მოღვაწეობა არის ერთი დაუსრულებული პროცესი სამსჯავროს წინაშე. მაგრამ მისი მქერ-მეტყველური დაცვის წყალობით, ყოველთვის გამართლებული გამოდიოდა. ეს კიდევ უფრო აღელვებდა საზოგადოებას და ლასალს სახელს უხვევსავდა.

ლასალის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო მუშათა პარტიის შექმნისაკენ. ეს კი ერთ უძნელეს საქმეს შეადგენდა. მუშები თავიდგანვე ბურუუაზიულ პარტიებს ეკუთნდენ, განსაკუთრებით პროგრესისტებს. მუშებს ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინათ, თუ როგორ შეუძლიათ მათ საკუთა-

რი გზით სიარული, საკუთარი პოლიტიკის წაყვანა და საკუთარი დროშის იღმართვა. ლასალს ყველგან აღფრთვანებით დებულობდენ, მარა ასე უცებ მათი სულიერი გადაქმნა, გადახალისება, შეუძლებელი შეიქმნა; ლასალს სურდა „გერმანიის საყოველთაო მუშათა საზოგადოება“ მთელი გერმანიის მუშა-ხალხის შემართებელ ძალად გარდაქცეულიყო. მთელი მისი მექანიკურებები წევრების გამრავლებაზე იყო მიმართული. მერე რამდენი წევრი ყავდა? 1864 წ. (ლასალს სიკვდილის წინა თვეში) „საზოგადოების“ წევრი იყო 4610, ამათგან 349 ლეიპუიგიდან, 529 ბარმენიდან, 489 ჰამბურგიდან, 117 ფრანკფურტიდან და ასე სხვა და სხვა პროვინციის ქალაქიდან; ხოლო ბერლინიდან კი 35! ლასალის მუდმივი ზრუნვა იყო „ბერლინის დაპყრობა,“ როგორც ის იტყოდა ხოლმე. ის ამბობდა: ათი ათასი წევრი ამ დედა-ქალაქში, პროვინციისს ასიათასს სჯობსო. რამდენჯერმე სცადა ბერლინიდან პროგრესისტების გამოგდება, მარა ამაოთ, ამის მიზეზი პოლიციაც არის, რამდენიმეხელ ყრილობაში სიტყვა წაართვეს, და დეჭერილი სატუსალოში გაგზავნეს, ხოლო როცა სამსჯავრომ გაამართლა, მერე ადმინისტრაციის წესით ბერლინში ლაპარაკი აუკრძალეს. ასე თუ ისე ლასალის დაასებულ პარტიამ პირველათ დათესა ის აზრი, რომ მუშა-ხალხის წინაშე აი ამაში მდგომარეობს. რა ვუყოთ, რომ მაშინ ხუთი ათასი შეადგინდა მუშათა პარტიის, დღეს მაგიერში რამდენიმე მილიონს შეადგენს. აზრი ნამდვილი და დროს შესაფერი ასე გაიმარჯვებს. ლასალის მიერ დაარსებულ პარტიის დაერქვა ლასალიანელები.

ლასალის ეკონომიკური თეორია — საწარმოვო ასოციაციების დაარსება მუშათა კითხვას გადაწყვეტსო, რასაკვირველია, ყალბი იყო. ეგ მისი სრული შეცდომაა, მარა ისტორიულათ ადვილი ასახსნელია. ლასალს არ შეეძლო ეს კი-

თხვა უყურადღებოთ დაეტოვებია, როდესაც მთელ გერმანიაში მუშა ხალხს ეს კითხვა იღელვებდა; გამოსულიყო და ეთქვა: გივები ხართ, ეს კითხვა სულ უმნიშვნელოა, ცხადია შესაფერ ნიადაგს ვერ იშოვნიდა და ბურუუაზიულ პროგრესისტებს გაახარებდა; ამიტომ ის იძულებული შეიქმნა ეგევი კითხვა, კითხვათ მიეღო, მხოლოთ სხვაფერ დაესვა და მით ბურუუბისაგან განსხვავებულიყო. მაგრამ ამის სისრულეში მოსაყვანათ მისთვის საჭირო იყო დაემტკიცებია, რომ მუშას არ შეუძლია თავის ქირიდან რამე გადაარჩინოს და ასოციაციები გააკეთოს. ამიტომ მან რიკარდოს დღის ქირის თეორია იიღო და თავისებურ მჟერმეტყველურათ განმარტა, რასაც რკინის კანონი უწოდა. მაგრამ ეს კანონიც ვერ კანონობს ვინაიდგან მუშა ხალხის გამრავლება ემორჩილება საზოგადოთ ხალხის გამრავლების კანონს, მხოლოთ ხალხი მრავლდება იმდენათ, რამდენათ გროვდება მისი საწარმოვო ძალა. ამნაირათ ლასალი ისტორიულათ იძულებული შეიქნა ამგზაზე შემდგარიყო და მით მისი ეკონომიკური მოძღვრება ვიწრო წმინდა გერმანიულ სოციალიზმათ გამოტანილიყო. ეს სოციალიზმი ეწინაღმდეგება მარქსის მიერ დაარსებულ მეცნიერულ და მაშასადამე ინტერნაციონალურ სოციალიზმს. მარქსის მოძღვრება არ არის არც გერმანული, არც ფრანგული. ის საზოგადოა, საქვეყნოა, როგორიც უნდა იყოს ყოველივე მეცნიერება. მაგრამ მარქსია და ლასალს შორის ის კავშირი იყო, რომ ორივე მუშა—ხალხს უყურებდა როგორც ერთათ ერთ რევოლუციონურ ძალას, რომელმაც მერმისი უნდა შოაწყოს, ორივე მასში ხედავდა ცალკე კლასს, რომლის ინტერესი ძირიანათ ეწინაღმდეგება ბურუუაზის ინტერესებს. ამიტომ ორივეს აუცილებლათ მიაჩნდა მუშათა პარტიის შედგენა, ბურუუაზიულ პარტიიების წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო დანარჩენ შეხედულებებში განსხვადებოდენ. მუშათა პარტია უკვე დაარსდა, ახლა მხოლოთ მისი გაზრდა და გაღონიერებაა საჭირო. მაგრამ ეს პარტია ლასალის დაარსებულია და მით

ლასალის თეორიას აღიარებს, ის ლასალიანელია და არა მარქ-
 სისტი. ახლა განვიხილოთ, როგორ შეებრძოლება ლასა-
 ლიზმი და მარქსიზმი ერთმანეთს და როგორ ნელ — ნელა ლასა-
 ლიანელები მარქსისტებათ იქცევიან.

განხეთქილება მუშათა ბარეფიაში.

ჯერ კიდევ ლასალის სიცოცხლეში მუშათა საზოგადოება-
 ში ეჭვი დაიბადა ხაზინის შემწეობით საწარმოვო ასოციაციების
 დაარსებაზე, განსაკუთრებით პროგრესისტები საშინელ დაცი-
 ნვით და მასხრობით იხსენიებდენ ამ პლანს. ეს არის ოქვენი
 ასოციაცია? პოლიციიდან ვალს სესხულობთ და მერე პო-
 ლიციის ზედამხედველობით აწარმოებთ? ეს არის ოქვენი სა-
 ხელმწიფოს დახმარება? ეს გააბედნიერებს მუშას? მეტი არა-
 ფერი? ეს ოქვენთვის მიჩუქებია! — ვკითხულობთ პროგრე-
 სისტა ერთ პამფლეტში, მიმართულს ლასალიანელების წინაა-
 ღმდეგ. ასეთი დაცინვით და ქადაგებით ლასალიანელებს ერთი
 ნაწილი ჩამოშორდა და პროგრესისტა მხთაურობით 1863 წ.
 ფრანკფრუტში დაარსეს „კავშირი გერმანელ მუშათა საზო-
 გადოებების“ — რომელმაც პროგრესისტა მხარე დაიკირა.
 ამ საზოგადოებას მხთაურობდა პროგრესისტი, ცნობილი მწე-
 რალი ლანგე და მეტყავე მუშა ივგუსტ ბებელი. ლანგე ურ-
 ჩევდა თავის ამხანაგებს ლასალის მოძღვრება უფრო საფუძ-
 ვლიანათ და მეცნიერულათ გასაჯეთო, ოორემ უბრალო და-
 ცინვათ სახელი წაგვიხდება ¹⁾. ბებელმა ამავე წელს წარმო-
 სთქვა ერთი დიდი სიტყვა ლასალის წინაღმდეგ. მაგრამ რომ
 უკეთ შეებრძოლებოდა ლასალიანელთ ხელი მიყო ლასალის ნა-
 წერების შესწავლის და აი ამ შესწავლაში დარწმუნდა, რომ
 ლასალის მოთხოვნილება — თანასწორი, საყოველთაო და პირ-
 დაპირი საარჩევნო უფლება კანონიერია და საზოგადოთ ლა-

¹⁾ ეს მათ არ შეისმინეს და ლანგეს მოთხოვეს თავისი აზრის და-
 საბუთება. ამის პასუხა მან დაბეჭდა ცნობილი წიგნი — „მუშათა კითხვა“.

სალის მოძღვრება ჰქონდა იყოს. მხოლოთ რაა მასში მართალი და რა ყალბი, ჯერ კიდევ ვერ გამოერკვია. აი ეს ეპიზოდი და შეხედულება ბებელმა დათესა თავის ამხანაგებში, რის გამო 1865 წ. შტუდგარტში „კავშირის“ კონგრესზე გადაწყვეტილი იქმნა—საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევანო უფლებისათვის ბრძოლა. პროგრესისტებს ეს რასაკვირველია არ ესიამოვნოთ. მაგრამ, რომ საქმე როგორმე ძველებურათ მოეგვარებინათ, ამის წინააღმდეგ არაფერი თქვეს. ამ დროს ლეიბციგში ბებელი გაეცნო ვილჰელმ ლიბკნეხტს, მარქსის ახლო მეგობარს და მოწაფეს. ამ გაცნობამ ბებელზე დიდი გავლენა იქონია. ის სამუდამოთ ლიბკნეხტის თანამოაზრე და მეგობარი გახდა. „მუშათა კავშირი“, რომელსაც ვერც ლასალის მოძღვრება და ვერც შულცედელის წვრილი ბურულბა აქმაყოფილებდა, ახლა დაადგა მესამე მიმართულებას, მიმართულებას და მოძღვრებას მარქსისას.

მარქსის აზრები იმ დროს ისე გაძლიერებული იყო ეპროპაში, რომ 1864 წ. მისი ხელმძღვანელობით სხვადასხვაერის მუშებმა ლონდონში დააარსა „საერთაშორისო მუშათა საზოგადოება“, —(ინტერნაციონალი), სადაც წარმოდგენილი იყო ყველა ევროპის და ამერიკის უმთავრეს ერთა მუშახალხი. „ინტერნაციონალის“ მიზანი იყო მთელი ევროპის მუშათა შეერთება და ბურულაზის წინააღმდეგ ბრძოლა. მისი წესდების პირველი მუხლი ამბობს: მუშათა განთავისუფლება უნდა მოხდეს თვით მუშათა მიერ. ლიბკნეხტი, წევრი „ინტერნაციონალისა“, პრუსიაში მოღვაწეობდა. მარა იქიდან მთავრობამ განახევა და მოვიდა ლეიბციგში, სადაც დიდი გავლენა მოიპოვა. ამის შედეგი ის იყო, რომ 1866 წ. გერმანელ „მუშათა საზოგადოების კავშირის“ კომიტეტმა გადაწყიტა — პროგრესისტებთან და მათ მეთაურ შულცე-დელისთან კავშირის გაწყვეტა და საკუთარი გზით წასვლა. ამ ნაირად, ესენი ჯერ ჩამოშორდენ ლასალის მიერ დაარსებულ მუშათა საზოგადოებას პროგრესისტებთან შესაერთებლათ, ხოლო

ახლა პროგრესისტებიც მიატოვეს და შედგენ ახალ, საკუთარ გზაზე. ამათ თანდათან მიიმხრეს პროგრესისტთა ბანაკში მყოფი მუშები და დიდათ გაძლიერდენ. 1868 წ. მოხდა მათი კონგრესი ქ. ნიურენბერგში, სადაც პარტიის პროგრამა უნდა შემუშავებულიყო. კონგრესს დაესწრენ 89 მუშათა საზოგადოების წარმომადგენელი, აგრეთვე წარმომადგენელი—სტუმრები შვეიცარიის და ავსტრიის მუშათა საზოგადოების და „ინტერნაციონალისა“. კომიტეტმა წინადადება შეიტანა „ინტერნაციონალის“ პროგრამა მიიღეთო, რომლის დასაცავათ ერთმა ლეიპციგის მუშამ დიდათ შესანიშნავია სიტყვა წარმოსთქვა. რამოდენიმე დღის კამათს შემდეგ წინადადება მიღებულ იქმნა 69 ხმით, წანააღმდეგ 46 ხმისა. უმცირესობამ პროტესტი განაცხადა და სხდომა დატოვა. ის ეს პროგრამა:

1. მუშა ხალხის განთავისუფება უნდა მოხდეს თვითონ მუშათა მიერ. ბრძოლა მუშა-ხალხის განსათავისუფლებლათ არის არა ბრძოლა კლასთა უპირატესობისა და მონოპოლიისათვის, არამედ ბრძოლა თანასწორი უფლების, თანასწორ მოვალეობის და ყოველივე კლასთა ბატონობის გაუქმებისათვის.

2. ადამიანის ეკონომიური დამოკიდებულება შრომის იარაღთა პატრიონისაგან არის საფუძველი სილატაკისა, გონებრივი დაცემისა და პოლიტიკური დამოკიდებულებისა.

3. პოლიტიკური თავისუფლება არის აუცილებელი პირობა მუშათა ეკონომიურათ განსათავისუფლებლათ. სოციალური კითხვა განუყრელია პოლიტიკურისაგან. პირველის გადაჭრა დამოკიდებულია უკანასკნელზე და შესაძლებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში“.

ის ეს პრინციპები გახდა მათ სახელმძღვანელოთ, რის მიღება სავალდებულო შეიქმნა პარტიის წევრებისათვის. ის წევრები რომელნიც ამას არ დაეთანხმებოდენ, პარტიიდან უნდა გასულიყვან. ამ მთავარ დედა აზრებს გარდა კონგრესმა მიიღო შემდეგი მოთხოვნილებანი: გაუქმება მუდმივი ჯარის



და მის მაგიერ ხალხის მილიციის შედგენა; შემოღება შემოღება
სავლის კვალობაზე გადასახდას და სხვა რეფორმები, რის მი-
ღება სავალდებულო არ იყო წევრებისათვის. 1869 წ. შეიკ-
რიბა ხელახლა კონგრესი აიზნახში. ამ კონგრესის პროტო-
კოლში ვკითხულობთ: წინა კონგრესზე მომხდარ უთანხმოე-
ბის გამო მოწინააღმდეგე უმცირესობა „კავშირიდან“ გამოვიდა,
ასე რომ 89 „საზოგადოება“ 72-ზე ჩამოვიდა. სამაგიეროთ წლის
განმავლობაში 42 ახალი საზოგადოება მიემატა, სულ არის 109
საზოგადოება, რომლებსაც 10,000 წევრი ყავს. ამასთანავე
ცენტრალურ საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია მუშათა ნი-
ვთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობას და დააარსა მანუფაქტ-
ურის, ფაბრიკების, მთა-მაღანების და რკინის ქარხნების მუშ-
ების პროფესიონალური კავშირები. ჩქარა დაარსდება ხის მუ-
შათა, ხელთათ-მანთა მუშების, ლურგლების, სახლის ამშენებ-
ლების და სხვათა კავშირებიც. კონგრესმა თავის პარტიას
დაარქვა: „სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.“ კონ-
გრესმა დაამტკიცა თავის წინანდელ კონგრესის მიერ მიღებუ-
ლი პროგრამა, და მას მიუმატა შემდეგი პრაკტიკული მოთ-
ხოვნილებანი: საყოველია, პირდაპირი და თანასწორი კენჭის
უფლება ყველა კაცისათვის, რომელსაც ოცი წელი შეუსრუ-
ლდება, ლანტაგის, საბჭოების და სხვა წარმომადგენელთა
არჩევისათვის წარმომადგენელთ ენიშნება შესაფერი ხარჯი.
2. ხალხის მიერ პირდაპირი კანონმდებლობა 3. გაუქმება ყვე-
ლა უპირატესობის, წოდებათა, სარწმუნოებათა, შეძლებულ-
ლოთა და ჩამომავლობის. 4. ხალხის მილიცია მუდმივი ჯარის
მაგიერ. 5. ეკლესიის განშორება სახელმწიფოსაგან, შკოლის
განშორება ეკლესიისაგან. 6. სავალდებულო სახალხო შკო-
ლი და უფასო სწავლა სახელმწიფოს ყველა სასწავლებლებში.
7. მიუდგომელი და დამოუკიდებელი სასამართლო, ნაფიცი
მსაჯულები. მსჯავრი საზოგადო და პირადი. მუქთი სამართა-
ლი. 8. გაუქმება ბეჭვდის, კრების და შერთების კანონებისა,
შემოღება ნორმალურ სამუშაო დღისა, შემცირება ქალთა და



აკრძალვა ბავშთა მუშაობისა. 9. გაუქმება ყველა არა პრეზიდენტის პირ გადასახადებისა და შემოღება ერთათ-ერთი შემოსვლის კვალიობაზე გაწერილ პირდაპირ გადასახადისა. 10. კონკრეტული საზოგადოებების მფარველობა სახელ მწიფოსაგან და სახელმწიფოს კრედიტი თავისუფალ საწარმოვთ საზოგადოებებისათვის დემოკრატიული გარანტით¹⁾.

ამ ნაირათ დასაბამი მიეცა მარქსისტურ, ანუ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. მისი მიზანია მოსპობა კაპიტალისტურ წყობილების, ხოლო ამისთვის საჭიროა გზის გაკაფვა—თავისუფალ სამოქმედო წყობილების შექმნა და ცხოვრების გაუმჯობესობა. სანამ მუშა ხალხი შებორკილია, თავისუფალი მოქმედების უფლება არ აქვს, მანამდის კაპიტალიზმის და მაშასადამე სიღარიბე—სიღატაკის დედა-მიწიდან აღვა შეუძლებელია. აქედან რაც შეიძლება მეტი თავისუფალი პოლიტიკური წყობილება (მოთხოვნილება პოლიტიკური); მეორედ, სანამ მუშა მეტის მეტი აუტანველი შრომით წელში გატეხილია, ენერგია მოკლებულია, თავისუფალი, და მაშასადამე ფიქრის და განვითარების, ღრმა ცოტა აქვს, ცხოვრობს საწყლად, მანამდე მას არ შეეძლება კაპიტალიზმთან ბრძოლაში აქტიური შეიქმნეს, მანამ ის შეუგნებელი რჩება. აქედან, კანონით შემოკლება სამუშაო დღის, მფარველობა მუშა მამაკაცთა, დედა კაცთა, და სხვადასხვა (მოთხოვნილება ეკონომიკური). ხოლო ყველა ეს არის იარაღი, საშუალება, რომლითაც მუშა ხალხი უნდა გაღონიერდეს, გამაგრდეს, და მოუღოს ბოლო ბურჟუაზიულ წყობილებას. როგორც ხედავთ, მუშათა პარტიას სურს ბურჟუაზიულ წყობილებაშივე ისე განვითარდეს, რომ ეგევე წყობილება დასცეს. იი ასეთია თანამედროვე მუშათა მოძრაობის ტაკტიკა და მიმართულება.

აიზენახის კონგრესის სხდომას ლასალიანთა წარმომადგენელნი არ დაესწრენ. მათ ერთი საქმე დაემტითათ; ისინი ჩა-

¹⁾ ესუკანასკნელი ლასალიანელების მისახიდავათა შეტანილი.

ჩენ იმავე პროგრამაზე, რომელიც ლასალმა დაუტოვა მაშინ, როდესაც ცხოვრებაში ბევრი რამე შეიცვალა. მიუხედავათ ამისა, იგინი დიდი ენერგიით ავრცელებენ თავიანთ მოძღვრებას. მათი შესანიშნავი მოქმედება არის 1869 წ. „ბერლინის დაპყრობა“. მათ ორატორებმა ერთ დიდ სახალხო ყრილობაში ერთიანათ დაამარცხეს პროგრესისტთა ორატორნი და ყრილობამაც მათი მხარი დაიკირა. ამ ნაირად ლასალიანელები და მარქსისტები თავთავის გზაზე ვითარდებოდენ და იზრდებოდენ. ისინი დაშორდენ ერთმანეთს როგორც ორგანიზაციით, ისე მოძრაობით. პირველნი ემორჩილებიან სასტიკ ცენტრალურ გამგეობას, — რომლის თავმჯდომარეს (თავმჯდომარეთ იყო შვეიცერი) დიქტატურული უფლება აქვს, მეორეს თავმჯდომარე არ ყოლია და გამგეობასაც დიდი უფლება არ მისცეს. აქ პირველება გამქრალია პარტიაში. არჩევნების დროს კი ერთმანეთს მხარს უჭერდენ და ბურჟუაზიის წინააღმდეგ თანახმათ იბრძოდენ. აიზნახის პროგრამამ ლასალის მიმდევრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იმათ ერთმა ჯგუფმა მანიუესტით მიმართა თავის პარტიას და ითხოვდა მარქსისტებთან შერიცხვას. ეგ სურვილი ორივე მხარეში იყო, მაგრამ დიქტატორობის და ბატონობის მოტრფიალეთა წყალობით (შვეიცერი და სხვა) ეს ვერ მოხერხდა. ამ შეერთებაში ისინი ხედავდენ ლასალიანელების მარქსისტებში გაქრბას და მასთან ერთათ ყოველივე დიქტატორული უფლების დაკარგვას. ამასთანავე მათი მიზანი და მოძღვრება დიდათ ეწინააღმდეგებოდენ ერთმანეთს, და შეერთება, ერთ პარტიად გადაქცევა ასე ადვილი საქმე არ იყო. საჭირო იყო რამდენიმე ისტორიული გარემოება, რომ ეს შეერთება მომხდარიყო.

1870 წ. ომი გამოცხადდა პრუსიასა და საფრანგეთს შორის. მთავრობამ რეიხსტაგში მოითხოვა ამისთვის კრედიტი, რაც მთელმა რეიხსტაგმა აღტაცებით მიანიჭა. ამ საერთო აღტაცებაში მხოლოთ ორ დეპუტატმა უარი სთქვა კრედიტ-



ზედა ასეთი მოსაზრება წარმოადგინა: „ეს ორის ომი დინასტიური დიდი ხნით მომზადებული პრუსიის მთავრობის მიერ წინააღმდეგ საფრანგეთისა, ჰოვენცოლერთა ტახტის სასარგებლოთ და სასახლოთ. ჩვენ ასეთ მთავრობას ნდობას არ ვუცხადეთო“. ეს ორი პირი იყო სოციალ-დემოკრატები, მუშათა პარტიის მეთაურნი ბებელი და ლიბერალი. ამ გარემოებამ პარტიაში უკმიაყოფილება დათესა. ლიასალიანელებმა ეს ხელზე დაიხვიეს და მარქსისტები საშშობლოს მოღალატებათ დასახეს. თვით მარქსისტების ცენტრალურ გამგეობამ ლიბერალთა და ბებელს უკმიაყოფილება გამოუცხადა. მაგრამ ჩქარა ისე დატრიალდა საქმე, რომ პარტია მათ შეხედულებაზე დადგა. სეკტემბერში იღებული იქმნა სედანი, ნაპალეონი დატყვებული, პარიჟში რესპუბლიკა გამოცხადებული. ამით გერმანიის მთავრობას ომის გაგრძელების მიზეზი იღარ ქონდა, ვინაიდან ის თავის პროკლიაციაში აცხადებდა: მე ვებრძვი ნაპოლეონს და არა საფრანგეთის ხალხს. ეს ნაპალეონი უკვე დამარცხებული შეიქმნა და მაშასადამე ომიც უნდა გაჩერებულიყო. მაგრამ სწორეთ აქ უღალატა ბისმარქმა თავის სიტყვას და ჯარი გადაყვანილ იქმნა საფრანგეთის საზღვრებში. ახლა ომი გამოუცხადა საფრანგეთის ხალხს და რესპუბლიკას. მთელი გერმანია გამოუთმელმა სიხარულმა და ოლტაცებამ მოიცა. ომი და ომი, აი რას იძახოდენ ყოველი მხრიდან. აი ამ საერთო სიმთვრალეში ხმა აღამაღლა გერმანიის მუშა-ხალხმა. სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ გამგეობამ გამოსცა მანიფესტი და თხოულობდა ომის შეყვენებას და რესპუბლიკასთან მშვიდობიანობის და ელზას — ლორენცის არ შემოერთებას. ეს მოწოდება დარჩა ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა. 9 სეკტემბერს გამგეობის წევრნი ბებელი და ლიბერალები დაჭრილი იქნენ. მაგრამ, რადგანაც რეიხსტაგი იქმნა მოწვეული ახალი კრედიტისათვის, დაჭრილი დეპუტატებიც გაუშვეს. რეიხსტაგში ახალ კრედიტზე უარი სთქვეს არა მარტო მარქსისტებმა, არამედ ლიასალიანთ დეპუტატებმაც.



მათ აგრეთვე უარყვეს წინადადება: პრუსიის შეფერ ხელმწიფების ტიტული მიიღოს და გერმანიის გამგე ის შეიქმნესო... უკელა დანარჩენმა პარტიებმა მთავრობის წინადადება მიიღო.

რეიხსტაგი დაიხურა 17 დეკემბერს, ბებელი და ლიბკნებტი ისევ დაიჭირეს და როგორც სახელმწიფოს მოღალატენი სამართალში მისცეს. 1871 წ. მოხდა რეიხტაგის არჩევანი,—სადაც მუშათა პარტია საშინლათ დამარცხდა. არჩეული იქმნა მხოლოდ ბებელი. მუშათა პარტიის კანდიდატებს ერგოთ 124 ათასი ხმა. 1872 წ. ლეიპციგის ნაფიც მსაჯულებმა ბებელი და ლიბკნებტი დამნაშავეთ იცნეს და ორი წლის ციხე გადაუწყვიტეს. პროცესმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს იყო პროცესი არა მარტო ბებელის და ლიბკნებტის, არამედ მთელი პარტიის და „ინტერნაციონალის“. რა ხმაურობა და მითქმამოთქმა ატეხა ამან იქიდანაც სჩანს, რომ ერთის წლის განმავლობაში პარტიის წევრთა რიცხვი გაორდა და წინად სოციალისტების ცნობილი მოწინააღმდეგენი მუშათა პარტიისკენ გადავიდენ. (მაგ იოჰან იაკობი და მრავალი სხვა).

ლიბკნებტის და ბებელის დატყვევებამ პარტია უმეთაუროთ დატოვა. მოწინააღმდეგეთ ევონათ, აი ახლა დაიფუშება ის, მისი დღეები დათვლილია. ლასალიანელების დიდი უმრავლესობა გადავიდა მარქსისტებისკენ, შვეიცერმაც თავი დაანება თავჯდომარებას და მის აღავას არჩეულ იქმნა სრულიათ უცნობი პირი. ამ დღეიდან ორივე პარტიის მორიგება და ერთათ გარდაქცევა დაიწყო. ეს დააჩქარა 1874 წ. რეიხსტაგის არჩევანმა. მუშათა პარტიის ერგო 350 ათასი ხმა. არჩეულ იქმნა 9—დეცემბრი. ამათში იყო სამი ლასალიანი და ექვსი მარქსისტი. ახლა აშკარა შეიქმნა, რომ მარქსისტები თუმცა უმეთაუროთ დარჩენ, მარა მაინც გამძლავრებულან, და ლასალიანელებზე მეტი გავლენა მოუპოვებიათ. იმავე წელს, გაზაფხულზე ლიბკნებტი განთავისუფლდა საპურიბილედინ (ბებელი კიდევ დარჩა). სოციალისტ-



ების ასე გამრავლებამ გააკვირვა მთელი გერმანია, დააშენდა
ბურჟუაზია და მთავრობა. აქედან იწყება მათი დევნა და შე-
ვიწროება: სახლის ჩხრეკას, პროცესებს და სხვა ასეთ პოლიციურ
ზომებს საზღვარი არ ქონდა. ამ გარემოებამ მუშათა პარტიის
ორი ფრაქცია ერთმანეთს კიდევ უფრო დაუახლოვა და მე-
გობრული განწყობილება ჩამოაგდო. ახლა ორივესთვის აშკ-
არა შეიქმნა ერთობის მნიშვნელობა და რეაქციის წინააღმდეგ
ერთათ ბრძოლის საჭიროება. და აი, 1875 წ. თებერვალში
ორივე ფრაქციამ მოახდინა საერთო კონფერენცია შეერთების
პირობების შესამუშავებლათ. კონფერენციას დაესწრენ 18
წარმომადგენელი, თითო ფრაქციიდან ცხრა. ამ მოლაპარაკე-
ბის შედეგი იყო ახალი ორგანიზაციის და პროგრამის პრო-
ექტი, რომელიც უნდა მიეღო ორივე ფრაქციის კონ-
გრეს, რაც მოწვეულ იქმნა იმავე წელს მაისი-
სათვის ქ. გორგაში. კონგრესის დელეგატთა არჩევის უფლე-
ბა მიეცა ყველა იმ ამხანაგს, რომელიც ერთ-ერთ ფრაქციის
სასარგებლოთ უკანასკნელ სამ თვეს ფულს იხდიდა. ასეთები
აღმოჩნდა 9 ათასი მარქსისტები, რომლებმაც გამოგზავნეს 56
დელეგატი და 15 ათასი ლასალიანელები, 73 დელეგატით.
კონგრესმა მიიღო კონფერენციის მიერ შემუშავებული შემაქრ-
თებელი ორგანიზაცია და პროგრამა. ახალი წესდებით პარ-
ტიის წევრია ყველა ის, ვინც იღებს პარტიის პროგრამას
და პარტიისთვის იღწვის შეძლების და გვარათ, აგრეთვე ფუ-
ლის გადახდითაც. დიქტატურული მართველობა გააუქმეს: ცენ-
ტრალურ დაწესებულებებს ირჩევს კონგრესი ყოველ წელს.
ასეთი დაწესებულებებია: ორივე ფრაქციის ორი ცენტრალუ-
რი ორგანო, რომელიც ჯერ კიდევ რჩება ცალ-ცალკე, გამ-
გეობა ხუთი წევრისაგან შემდგარი, და ზედამხედველი კომი-
შისია 7 წევრისაგან და საბჭო 18 წევრისაგან. გამგეობა და
ზედამხედველი კომისია უნდა იყოს ერთ ალაგას. ხოლო საბჭოს
წევრებს შეუძლია იყვენ სხვა და სხვა ალაგს. საბჭოს მოვალეობაა
პირველ ორ დაწესებულებათა აზრთა სხვა და სხვაობის მორიგება,

შეთანახმება. რაც შეეხება პროგრამას — ეს ლასალის და მარქსის აზრების შერევა, მათი კომპრომისია. ლასალის „ქირის რკინის კანონი“ და ასოციაცია, სახელმწიფო კრედიტით, შეტანილი იქმნა პროგრამაში. ამ შემთხვევაში მარქსისტებმა სამაგალითო ტაქტიკა გამოიჩინეს. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი შეხედულებანი აღრე თუ გვიან გაიმარჯვებს და ის ლასალიანელთა შეხედულებაც გადაიქცევა, საჭიროა მხოლოდ მათთან ერთათ ერთ ორგანიზაციაში ყოფნა და ასე მათზე გავლენის მოპოვება. ამიტომ მათ პროგრამა ანაცვალებს ორგანიზაციას და ამაში არც შეცდენ. ოვით გამგეობაშიაც ბებელის წინადადებით სამი ლასალიანელი და ორი მარქსისტი აირჩიეს.

ამ ნაირათ, გოტის კონგრესმა შეაერთა ორი რაქცია, მისცა საერთო ორგანიზაცია და საერთო პროგრამა.

მუშაობა მარტივის შემდეგი განვითარება

ორივე ფრაქციის შეერთებამ დიდათ განავითარა პარტია. შეერთებამდე მათ ქონდათ 11 პოლიტიკური ორგანო. ერთი წლის შემდეგ (1876წ) 23, კიდევ ერთი წლის შემდეგ (1877) 41 (აქ ჩათვლილი არ არის სპეციალური ორგანოები რომელიც რიცხვი 12 იყო). პირველ წელს გამგეობის კასაში შევიდა 60,000 მარკა, მეორე წელიწადს ასი ათასამდე. აქ, რასაკვირველია, ნაანგარიშევი არ არის აღგილობრივ კომიტეთა შემოსავალი, რაც გამგეობას არ ეკითხების. პარტია შეუდგა მომავალი 1877 წლის არჩევნების მომზადებას. გამგეობაზ ჯამაგირი დაუნიშნა 6 აგიტატორს, რომელნიც ერთ კუთხიდან მეორეში გადადიოდენ სოციალიზმის საქადაგებლათ. ამას გარდა მას ყავდა 18 აგიტატორი რომელნიც დრო გამოშვებით იგზავნებოდენ სააგიტაციოთ და ჯამაგირს ღებულობდენ. გადაწყვეტილ იქმნა პარტიის ყველა მოსამსახურე საარჩევნო ბრძოლაში შესულიყო. წამოაყენეს 175 კანდიტანტი. ერთი

სიტყვით, პარტიამ დიდი საქმიანობა და მამაცობა გამოიჩინა. გათენდა 10 იანვარი (1877წ) „ასეთი შევი დღე გერმანის შინაგან ისტორის როგორც 10 იანვარი—არასოდეს არ ჰქონებია“, ამბობს ერთი ისტორიკოსი. რა მოხთა? რა და წინა დღის კენჭის ყრის შედეგი გამოცხადდა და მასთან ერთათ ცნობილ იქმნა სოციალ—დემოკრატთა ამომრჩეველთა რიცხვი. მათ კანდიდატებმა მიიღეს ნახევარი მილიონი ხმა, არჩეულ იქმნა 12 დეპუტატი¹). მუშათა პარტია ერთი დაკვრით ყველა ოპოზიციონურ პარტიებზე უძლიერესი შეიქმნა. მოულოდნელმა გამრჯვებიმ საშინაო დააფრთხო ბურჯუაზიულ—კონსერვატიული პარტიები და ჩააფიქრა მთავრობა. ჩვენ ზევით დავინახეთ ამ პარტიების პროგრამა. სოციალურ კითხვებს აქ აღი არ უჭირავს. ეს იმტომ, რომ ისინი ბურჯუაზიის წარმომადგენელი არიან, ხოლო ბურჯუაზიის სოციალური კითხვა არ აინტერესებს. ის თხოულობს მხოლოთ, მაცალეთ, ეკონომიკური მოქმედების თავისუფლება მომეცით, დანარჩენი მე ვიციო. ეს თავისუფლება მას მიანიჭეს ანუ უკეთ რომ ვსთქვათ—კანონ მდებლობის უფლება თავის თავს მინიჭა, ის ცხოვრებაში განახორციელა და კანონით გაიხადა. მუშას იმდენს ამუშავებს, რამდენიც სურს, როგორც უნდა ისე ყვლეფს; და აბა გიუი ხომ არ არის, მუშათა კითხვა წამოაყენოს და მათი მფარველობა მოითხოვოს. არასოდეს მოელ ევროპაში მფარველი კანონები მუშათათვის არ გამოსულა მანამდი, სანამ თვითონ მუშა—ხალხი არ ამოძრავდა და თავისი ინტერესების დაცვა თვითონ არ იტვირთა. ასე იყო ინგლისში, საფრანგეთში და ასე მოხდა გერმანიაშიაც. სოციალური რეფორმები: მუშათა და მათ ცოლ შვილთა კაპიტალისტთა ეკსპლოატაციისაგან მფარველ-

¹) ხმის რაოდენობას არასოდეს დეპუტატთა რაოდენობა არ შეესაბამება, რადგანაც საარჩევნო კუთხეები მცხოვრებთ რაოდენობაზე არ არის გაყოფილი, მაგ. პროგრესისტებმა მიიღეს 100,000 ხმა, დეპუტატები კი 35!

ობა პირველათ მუშათა პარტიამ წამოაყენა, როგორც ზევით მოყვანილ პროგრამაში დავინახეთ. აი ახლა როცა სოციალ დემოკრატია გაძლიერდა, მთელი გერმანია შეინგრა, ენა ამო-იდგა,— აი ამის შემდეგ გამობრძანდენ ბ. ბ. პროფესორები და მათაც სოციალური რეფორმები მოითხოვს. ამ მოძრაობას დაერქვა პროფესორთა, ანუ კათედრის სოციალიზმი. პირ-ველი კათედრ— სოციალისტური წერილი დაბეჭდა ბერლინის პოლიტიკურ ეკონომის პროფესორმა შმოლერმა 1875 წ. ავტორი მუშათა კითხვას განიხილავს განსაკუთრებით ზნეობრივ— მორალურის მხრით და ამტკიცებს, რომ გა-ბატონებული კლასების ზნეობრივი მოვალეობაა თავისი უმოწყალო ექსპლოატაცია რამე კალაპოტით შეზღუდონ. ამ მხრით ისინი ამართლებენ აიზნახის პროგრამის იმ მუხ-ლებს, რომელიც შრომის მფარველობას მოითხოვს. ამ ნაი-რად მუშათა პარტიის ხმაურობა უნივერსიტეტის კათედრებს მიწვდა და პროფესორები გამოაღვიძა. ეს კიდევ არაფერი. მუშათა პარტიამ არივ-დარია დანარჩენი პარტიების ჩვეულებ-რივი მსვლელობა. ახლა ამათ გადახედეს თავიანთ პროგრა-მას და გამოჩნდა, რომ მუშების შესახებ არაფერი ქონდათ მოხსენებული. ესენი მუშა ხალხის ყურადღების ყოველ გვარ წვრილმან გარემოებაზე მიპყრობას ცდილობენ, ხოლო სო-ციალურ კითხვას მუდამ ავიწყებიებდენ. ახლა კი გერმანიაში ნახევარი მილიონი კაცი დაინახეს, რომელიც მუშათა პარ-ტიის დროში ქვეშ დგანან და იძულებული გახდენ მისთვის ანგარიში გაეწიათ და კიდევაც შეუდგენ პროგრამის შემუ-შავებას.

კონსერვატორების მიერ გამოქვეყნებულ პროგრამაში 1876 წ. პირველათ მიეცა ალაგი მუშათა კითხვას. აქ ვკით-ხულობთ: „საფარის კანონებით მუშათა ზნეობრივი და ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესობა“. 1878 წ. ეგვენ კითხვა პირველათ შეიტანეს პროგრესისტებმა და კლერიკა-

ლებმა¹⁾ თავის პროგრამებში. პირველის პროგრამა ამბობს: „ეკონომიკური კანონმდებლობა, განსაკუთრებით მუშა მამა-კაცთა და დედა-კაცთა და ბავშვთა სიცოცხლის და სიმრთე-ლის მფარველობა“. კლერიკალები სწერენ: „მუშა ხალხის კა-ნონიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და შესაფერი კა-ნონების გამოცემა“. ხოლო საშვალო და სხვილი ბურუუ-ზის წარმომადგენელი პარტია ნაციონალ-ლიბერალები ამ კითხვას დღემდის ვერ შეურიგდენ. მათ პროგრამებში ყველ-აფერზე ლაპარაკი: დამოუნა, ბაჟები, ვაჭრობა, მისვლა მო-სვლა, ერთი სიტყვით ყველა იმ ზე, რაც მათ ჯიბეს აინტ-ერესებს, ხოლო სოციალურ კითხვაზე კი არაფერია, სიტყვა „მუშაც“ არ არის მოხსენებული. მაგრამ ამასთანავე ყველა პარტია ენერგიულ ზომებს თხოულობს სოციალ-დემოკრატი-ის დასამარცხებლათ.

ამ ნაირათ მუშათა პარტიის გაძლიერებამ ერთიანათ არივ-დარია დანარჩენი პარტიები. ესენი იძულებული გახდენ პრო-გრამებში მუშათა შესახები კითხვებიც შეეტანათ და თუ ნა-მდვილათ არა თვალის ასახვევათ მაინც, სერიოზულათ მიე-ლოთ. ეს კიდევ ცოტაა. კონსერვატორებმა მუშათა პარტიის დასამარცხებლათ სრულიათ ახალი პარტია დაარსეს, რომელსაც უწოდეს ქრისტიანულსოციალური პარტია. ეს განსაკუთრე-ბით ბერლინის მუშებისათვის გამოიგონეს, რომ ამით ბერ-ლინი სოციალდემოკრატიისთვის წაერთმიათ; მარა როგო-რც მისი დაარსება იყო სასაცილო, ისე სასაცილოდ ატარებს თავის ცხოვრებას. 1878 წ. 3 იანვარს მეფის მოძღვარმა

1) კლერიკალები ანუ ცენტრის პარტია შედგა სასულიერო მთავ-რობის უზენაეს მთავრობათ გამოცხადების ნიადაგზე. მათი აზრით პაპს ხელთ უპყრია როგორც სასულიერო, ისე სამოქალაქო ხელმწიფება და მას უნ-და მორჩილებდეს გერმანიის მთავრობაც. მათი მიმდევრებია კათოლიკე გლეხები უკან ჩამორჩენილ პროვინციებში. ბისმარკი ეპრძოდა ამ პარტიას, რასაც დაერქვა „ბრძოლა კულტურისათვის“. ამ უამათ ცენტრი მთავრო-ბას ემზრობა და თავისი წინანდელი ოპოზიციური მიმართულება დაჰკარგა.



დეპუტატ შტოკერმა მოიწვია ბერლინის ერთ დარბაზში დიდი მიტინგი, სადაც წარმოსთქვა სიტყვა და განმარტა ახალი დაარსებული პარტიის პროგრამა. გაიმართა ცხარე კამათი, საიდანაც აღმოჩნდა, რომ ყრილობის დიდი უმრავლესობა სოციალ-დემოკრატია, და მოძღვარის პლანიც ჩაიფუშა. რამდენიმე ხნის შემდეგ მოიწვია ხელახალი ყრილობა, მაგრამ არა საზოგადო არამედ კერძო, დახურულ კარებში, სადაც განსაკუთრებით ხელოსნები შეაგროვა და მოწინააღმდეგენი თავიდან მოიშორა. აი აქ, ამ დახურულ კარებში, დაარსდა ზემოთ მოხსენებული „ქრისტიანულ სოციალური“ პარტია. აი რა პროგრამა იქმნა აქ მიღებული:

I. ქრისტიანულ-სოციალურ მუშათა პარტია დგას ქრისტიანობის, მეფის და სამშობლოს სიყვარულის საფუძველზე.

II. ის უარყოფს თანამედროვე სოციალდემოკრატიას, როგორც არა პრაკტიკულს, არა ქრისტიანულს და არა პატრიოტულს.

III. მისი მიზანია მდიდართა და დარიბთა შორის უსწორ-მასწორობის შემცირება. შემდეგ აღნუსხულია რამდენიმე მოთხოვნილებანი, აი ზოგიერთი: აქრძალვა კვირის მუშაობის, გაუქმება ბავშვების და ქალიშვილების ფაბრიკაში მუშაობისა. ნორმალური სამუშაო დღე, თანახმათ წარმოების დარგის მოთხოვნილებისა. ინტერნაციონალური მუშათა მფარველი კანონი. კანონმდებლობა ნაციონალური შრომის დასაცავათ. გადასახადის გაწერა შემოსავლის და კვალათ და სხვა. სამღადელოების მოვალეობაა ხალხის ზნეობრივი და გონიერივი მდგომარეობის გაუმჯობესობა. შეძლებული ხალხის მოვალეობაა დარიბ ხალხს მოხედოს და მისი კანონიერი მოთხოვნილება, როგორც დღის ქირის აწევა და სამუშაო დღის შემოკლება, დააკმაყოფილოს. აი ახალი პარტია! ეს დაარსებულია ხუცეს—მემამულეთა მიერ, რომელნიც კაპიტალის ბატონობას დევნიან მხოლოდ იმიტომ, რომ თავიანთი ბატონობა განამტკიცონ. ამიტომ რა გასაკვირალია, რომ ახალ



დაარსებულ პარტიას მუშებში ნიადაგი ვერ მოეპოვა: მს
მხოლოდ სახელით არის პარტია, თორემ საქმით ვერასოდეს
ერთი თავისი კაცი დეპუტატთ ვერ აირჩიეს. მისი მომხრე
ბერლინში მხოლოთ რამდენიმე ათასი ხელოსანი და წვრილი
ბუჯუაზია. შემდეგ ეს პარტია შტოკერითურთ კონსერვა-
ტორებმაც უარ ყვეს, ნამეტანი რევოლიუციონური ხარო.
მეორეს მხრით, მომხრეთა ერთმა ნაწილმაც უარყო ნამეტანი
კონსერვატორი ხარო და მღვდელ ნაუმანის მეთაურობით
დაარსა უკიდურესი ქრისტიანულ-სოციალური პარტია...

ერთი სიტყვით, პარტიათა განწყობილება, მათი ჩვეუ-
ლებრივი მიმდინარეობა შეარყია სოციალდემოკრატიამ. მეო-
რეს მხრით მთავრობას ენერგიული და რაღიკალური ოპო-
ზიცია გამოუჩდა. საყოველთაო კენჭის ყრის უფლება, რომე-
ლიც ბისმარქი რეიხსტაგისთვის შემოიღო, ვითომ მთავრო-
ბის ძალის გასაძლიერებლათ, მუშათა პარტიამ თავის სასარ-
გებლოთ გამოიყენა და ის იგიტაციის ერთ უძლიერეს იარა-
ლათ გაიხადა. აქამდი მთავრობა მუშებს უბრძანებდა და ვი-
საც სურდა იმათ გაათეთრებიებდა. ახლა კი ეს ერთიანათ
შეიცვალა. მუშები შეერთდენ და ეს შეერთებული ძალა აღა-
რავის წინაშე ქედს აღარ იხრის. 1878 წ. დასაწყისში პარ-
ტიის კუთვნილებას შეადგენდა 16 კოოპერატიული სტამბა,
სადაც 40 ასოთ-ამწყობი და სხვა საჭირო მუშა მუშაობდა
და ერთი მილიონი მარკის საქმეს აწარმოებდენ. ამას გარდა
პარტიას ეკუთვნოდა ოცდა ექვსი მუშათა პროფესიონალური
კავშირი (ტრელუნიონი) რომლის წევრთა რიცხვი 50,000
შეიცავდა. კავშირთა წლიური შემოსავალი უღრიდა ნახევარ
მილიონ მარკას, გასავალი — 350 ათას. დანარჩენს თავიანთი
წრეების კეთილ დღეობას ახმარდენ, განსაკუთრებით,
ავათმყოფობის, სიბერის და დაშავებულთა სასარგებლოთ.
მარტო ასოთ-ამწყობთა კავშირს 52,000 მარკა შემოსავალი
ქონდა. ხოლო უბრალო საზოგადოებები, როგორც განვითა-
რების, თეატრის, სიმღერის, კითხვის, უურნალ გაზეთების და

სხვა და სხვა უთვალავი იყო. ამას მიუმატეთ მრავალი შობ-
ხმარებელ-კონკრეტული საზოგადოებებიც. აი ასეთი ძა-
ლა შექმნა მუშათა პარტიამ სულ მოკლე დროის განმავლო-
ბაში. ეს ასე ვთქვათ სახელმწიფოა სახელმწიფოში. ასეთი
მოწინააღმდეგის გამოჩენამ ორ ნაირი მიღრეკილება დაბადა.
ბურუუაზიული¹⁾ პარტიები ერთმანეთს დაუხლოვდენ საერ-
თო მტრის დასამარცხებლათ, ხოლო ბისმარკმა მოინდომა
სისასტიკით მისი გატეხა. 1876 წელს მან აკრძალა პარ-
ტიების მთელი ორგანიზაცია იმ მუხლის ძალით, რომელიც
რეაქციის დროს (1854 წელს) მუშათა საზოგადოებების
წინააღმდეგ იყო გამოცხადებული „აკრძალოს პოლი-
ტიკური საზოგადოებებიო“. რასაკვირველია, ასეთი სა-
ზოგადოებები ყველა დანარჩენ პარტიებს აქვს, რად-
გან შეუძლებელია უამისოთ პარლამენტისური წყობილება,
მარა ეს კანონი მხოლოდ მუშების წინააღმდეგ იხმარეს. მაგ-
რამ ამან ვერ შეაფერხა პარტია და იმიტომ ბისმარკმა განიძ-
რახა უფრო რადიკალური ზომის მიღება, სახელდობრ პარ-
ტიის აკრძალვა, ნახევარი მილიონი ხალხის თავის ცოლშვი-
ლით კანონის გარეშე დაყენება. ასეთი ზომის ხმარა კონსტი-
ტუციონალურ სახელმწიფოში ყოველივე თავისუფლების
პრინციპს ეწინააღმდეგება და მისი განხორციელება დიდს
რეაქციის მოასწავებს. მაგრამ „რკინის კანცლერი“ ხომ
იმიტომ არის რკინის, რომ დაბრკოლებები დალექტოს. 1878 წ.
2 მაისს ჰედელმა დამბაჩა ესროლი პრუსიის მეფეს. თუმცა
მსროლელი გონება შეჩყეული იღმოჩნდა და არასოდეს სო-
ციალდემოკრატი არ ყოფილა, მარა ბისმარკმა ამით ისარგებ-
ლა და ახალი კანონი-პროექტი წინააღმდეგ სოციალდემოკ-
რატებისა წარმოადგინა. რეიხსტაგის უმრავლესობამ განაცხა-

1) რომ მეითხველი შეცოომაში არ შეკიდეს უნდა აღვნიშნოთ, რომ
მუშათა პარტიის წინააღმდეგ ყველა დანარჩენი პარტიები ბურუუაზიუ-
ლია, ვინაიდვან ყველა იცავენ კერძო საკუთრებას.

და, რომ სოციალდემოკრატიის მოძრაობა გონიერების მოძრაობაა და მისი დამარცხება გონიერების მოძრაობითვე, თავისუფალ აზრთა შეტაკებით, უნდა მოხდეს და არა პოლიციით და უანდარმებითო. კანონის სჯაში სოციალდემოკრატებმა მონაწილეობა არ მიიღეს, მხოლოთ ლიბკნებტის პირით განაცხადეს შემდეგი: „რადგანაც ერთი გაგიუებულის მოქმედებას, რის გამოძიება ჯერ კიდევ არ დასრულებულა, რეაქციონური პლანების გასატარებლათ საჩერებლობენ, რადგანაც ჰედელის დანაშაულობას მთელ ჩვენს პარტიას თავს ახვევენ, იმ პარტიას რომელიც ყოველივე მკლელობას უარყოფს და ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებას თვითეულ პირის სურვილისაგან დამოუკიდებლათ აღიარებს, ამისათვის იძულებული ვართ ჩვენ, გერმანიის სოციალდემოკრატიის წარმომადგენელნი, შემდეგი განვაცხადოთ: თავის ღირსების შეურაცხყოფათ მიგვაჩნია ამ პროექტის სჯაში მონაწილეობის მიღება, ხოლო კენჭის ყრაში მონაწილეობას მივიღებთ, რომ ხალხის თავისუფლების სე უმაგალითო შელახვა, ჩვენი ხმით წინააღმდეგეთ. დასთანხმდება ამას რეიხსტაგი? როგორც მას სურს, მხოლოთ გერმანიის სოციალდემოკრატია, მიჩვეული ბრძოლის და დევნას, ახალი ძალის ღირსით დინჯათ მიექანება მომავალ ბრძოლისაკენ, ვინაიდგან შევნებული აქვს, რომ შიზანი კეთილი და დაუმარცხებელია“. რეიხსტაგმა უარყო პროექტი. მთავრობა დამარცხდა, მარა მის ბედათ, ხელ ახალი მიზეზი გამოუჩდა: 2 ივნისს მეფე დასჭრა ნობლინგმა. 16 ივნისს ბისმარკმა მოწინააღმდეგე რეიხსტაგი დაითხოვა, 30 ივლისს მოხდა ხელ-ახალი არჩევანი, 9 სეკტემბერს სხდომა გაიხსნა და წარმოადგინეს ახალი პროექტი სოციალდემოკრატების წინააღმდეგ. მეფის დამჭრელი ეკუთნოდა ვის? მეფის მოძღვრის შტოკერის ქრისტიანულ-სოციალურ პარტიის! ამის ჯავრი კი სოციალდემოკრატიაზე უნდა იყარონ! რეიხსტაგის ოპოზიცია ორ ბანაკათ გაიყო: ერთი ყოველივე განკერძოებულ ზომებს უარყოფდა,

ხოლო მეორე საზოგადო თავისუფლების შემავიწროებელ კანონის თანახმა იყო; პირველს შეაღენდენ სოციალდემოკრატებს გარდა დანელები, კათოლიკენი, პოლონელები, ველფენი¹⁾ და სამხრეთ გერმანიის დემოკრატები. დიდი სჯისა და დავიდარაბის შემდეგ მთავრობის პროექტი 221-თ წინააღმდეგ 149 ხმისა მიღებულ იქმნა. უმრავლესობას შეაღენდა კონსერვატორები და ნაციონალ-ლიბერალები, დანარჩენი პარტიები უმცირესობას.

აი ზოგიერთი მუხლი კანონისა:

I აიკრძალოს ისეთი საზოგადოებები, რომლებსაც სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტური, თუ კომინისტური ზომებით არსებულ სახელმწიფო თუ საზოგადო წყობილების დანგრევა სურთ.

II აიკრძალოს ისეთი კრებები, სადაც სოციალ-დემოკრატიულ, სოციალისტურ თუ კომინისტურ აზრებს ქადაგებენ.

III აიკრძალოს დაბეჭდილი გამოცემები, სადაც სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტური თუ კომუნისტური აზრებია გატარებული შესახებ სახელმწიფოს და საზოგადო წყობილების.

IV აიკრძალოს ფულის შეკრება სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტური თუ კომუნისტური მიმართულების გასაძლიერებლათ,

V ვინც აკრძალულ საზოგადოებას შესაკრებათ სახლს ათხოვებს დაისჯება სატუსალოთი ერთი თვიდან ერთ წლამდე; და სხვა და სხვა სულ 30 მუხლამდეა. განსაკუთრებით შესანიშნავია ერთი მუხლი, რითაც რამდენიმე ქალაქი ეგრედ წოდებულ „პატარა სამხედრო წესებზე“ დაიყენეს, პოლიციას შეეძლო ანგარიშ მიუცემლათ სოციალდემოკრატიის აგიტა-ტოტორთა ქალაქიდან გაძევება და მათი საცხოვრებელი ადგილის პროვინციაში დანიშვნა.

1) ჰანოვერის ნაციონალისტები.

პირველათ ამ სამხედრო წესებში ბერლინი და ჰამბურგი ჩაიყენეს, შეძეგ ლეიპციგი, ფარანკფურტი და სხვა... აგი-ტატორები, ქალაქიდან პროვინციაში განდევნილი, იქ ავრ-ცელებდენ თავიანთ აზრებს, რამაც დიდათ ხელი შეუწყო პარტიის გაძლიერებას, კანონი ძალაში შევიდა სამ ოკტომბერს. ამით იწყება მუშათა პარტიის ორგანიზაციის დარღვევა. პირველათ დაიშალა ცენტრალური გამგეობა და 40 საზოგა-დოება, ახალი კანონის ძალით პირველ თვეს აიკრძალა 135 საზოგადოება; ამათში 21 მუშათა ცენტრალური გავრცე-ბული- „კავშირი“ (თამბაქოს მუშათა, დურგალთა და ლითონის მუშათა, ხის მუშათა, მკერვალთა, მეწალეთა, სახლის ამშენე-ბელთა, და სხვა); 55 საარჩევნო საზოგადოება, 36 სასიმღე-რო, 4 სათეატრო, 10 განვითარების, 2 უურნალ-გაზეობის, 6 დახმარებითი, 1 კომპერატიული საზოგადოება. აიკრძალა აგრეთვე 35 პარტიის ორგანო. მათ შორის ცენტრალური ორგანოც და 100 სხვა და სხვა არა პერიოდული გამოცემანი (წიგნები). პარტიის 93 დაუღალავი მებრძოლი, აგიტატორი, და მეთაური განდევნილ იქმნენ სამხედრო წესზე დაყენებულ ქალაქებიდან. ამ წესებში ჩაყენებულ მცხოვრებთა რიცხვი 4 მილიონამდე იყო.

ამ ნაირათ მუშათა პარტია კანონს გარეშე დააყენეს და მით იძულებული შეიქმნა კანონიც თავის გარეშე დაეყენებია, ვ. ი. უკანონო გზით ემოქმედნა. გამართეს საიდუმლო ორგა-ნიზაცია, ორგანოს და წიგნების ბეჭდვა საზღვარ გარეთ გა-დაიტანეს და შეძეგ საიდუმლოთ შემოქმნათ. ეს საქმე ისე მოაწყვეს, რომ წელიწადში 500 ათას აკრძალულ წიგ-ნებსა და გაზეთებს ავრცელებდენ. პარტია შედგა ახალ გზაზე. ის ჩქარია შეეწყო გარემოებას და მთელი თავისი ძალ-ლონე მოძრაობაში მოიყვანა. მას ყოველივე მოქმედება აკრძალული იქვე: კრება, ლაპარაკი, ორგანო და სხვა. მაგრამ წარმოიდ-გინეთ საყოველთაო განცვიფრება, როცა 1881 წ. რეიხსტა-გის არჩევანებზე პარტიამ 312 ათასი ხმა და 12 დეპუტატი

მიიღო. და ეს იმ პარტიამ, რომელსაც არავითარი თავისუფებული თავი არგანიზაცია არ აქვს!

მუშათა ბარცია და ბისმარკის ბოლოციკა.

ბისმარკი ეს მთელი სისტემაა, მთელი მოძრაობაა. მთავრობის და რეიხსტაგის ჩარხს ის ატრიალებს. ის იყო ოცი წლის განმავლობაში ახალი გერმანიის დიქტატორი, უიმისოთ არაფერი მოხდებოდა, მისი თანამობით ყველაფერი კეთდებოდა. მისი მოქმედება ასებულ მდგომარეობის თავის პლანებისათვის გამოსაყენებლათ შეუდარებელია. როგორც ზევით ვთქვით, ის მოვლენილი იყო იმიტომ, რომ გერმანია პრუსიაში გაექრო და მით კონსერვატორული წყობილება დაემაგრებია. ერთათ ერთი პრუსია იყო კონსერვატორთა ბუდე და სიმაგრე, ამ სიმაგრის აღება ვერავითარ პარტიამ, და ვერავითარ რევოლუციონურ მოძრაობამ ვერ მოახერხა. მაშასადამე გერმანიაში პრუსიის გაბატონება ნიშნავდა კონსერვატორიზმის გაბატონებას. ამ ამ იდეალს ბისმარკი ერთხელაც არ ცილდება, ყველაფერს, უბრალო გარემოებასაც კი იყენებს ამ მიზნის მისახევათ. ის მუშათა პარტიას პირველათ, ლაბალის დროს, ლმობიერათ ეპყრობა. რატომ? — იმიტომ რომ ამით მაშინდელ პარლამენტალურ ოპოზიციის — პროგრესისტების — ძალის გაყოფას ფიქრობდა და მით თავის ბატონობის გაძლიერებას. ხოლო შემდეგ როცა პარტია გაძლიერდა და მის დიქტატორობის შეებრძოლა, მაშინ მას კანონის გარეშე აყენებს და ერთიანათ კრძალავს. ამ დღიდან ბრძოლა ბისმარკის პოლიტიკას და მუშათა პარტიას შორის გამწვავდა და აშკარა შეიქმნა. ახლა ვნახოთ ვინ გამოვიდა აქედან გამარჯვებული.

1881 წელს გახსნილ რეიხსტაგში ასეთი სეფე — სიტყვა იქმნა წაკითხული: სოციალური წყლულის განკურნება მარტო სოციალდემოკრატების დევნაში კი არ მდგომარეობს, არამედ მუშა ხალხის კეთილდღეობის აღორძინებაში. ამისა-

თვის მთავრობის მიზანია მუშათა დაზღვევა ივადმყოფობისა, დასახიჩრების და სიბერისაგან. ამასთანავე პირდაპირი გადასახადების შემცირება და სამაგიეროთ არა პირდაპირი გადასახადების ახალი წყაროების მონხვა. აქ როგორც ხედავთ, ორი გზაა ნაჩვენები: მუშათა — ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობა და მით სოციალდემოკრატთათვის ნიადაგის გამოცლა; მეორე მხრით სახელმწიფო შემოსავლის გაძლიერება. ეს ორ პირვანი პროგრამაა. შემცირება პირდაპირი გადასახადის, რაც ხალხისათვის ყველაზე უფრო ადვილი დასახავი და ნაკლებათ საგრძნობელია. ორივე შემთხვევაში ხალხის ჯიბიდან ამოდის ფული, იმ განსხვავებით რომ პირდაპირ გადასახადებს პოლიცია კრებს, არა პირდაპირს კი აქციზის მოხელენი. და ამავე დროს ხალხის კეთილ დღეობის გაუმჯობესება სურთ! რა ნაირათ უნდა მოხდეს ასეთი სასწაულება? ნუ თუ ბისმარკი ასეთი მეთილისმეა? გავსინჯოთ ეს თილისმა. მისი მიზანია როგორც ვთქვით მუშათა პარტიის გაქრობა, საშუალება კი მუშათა კეთილ დღეობის აწევა. 1869 წლიდან, როცა ბურჟუაზია გაძლიერდა და ლიბერალებმა პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვეს, მათი პირველი მეცადინეობა იყო ლებერალიზმის განმტკიცება, თავისუფალი ვაჭრობის და გაცვლა-გამოცვლის დამყარება. ბისმარკიც თავისუფალი ვაჭრობის მომხრე გამოვიდა. ამცირებენ სადამოქნო ბაეთ და აადვილებენ მუშათა ქირაობა — გაქირავებას. ერთი სიტყვით ბურჟუაზიას მიენიჭა თავისუფალი ვაჭრობა ეკონომიურ სფერაში. ლიბერალებმა რაკი ეს ფულის საქმე ასე მოიწყეს, პოლიტიკის საქმე ხელიდან გაუშვეს და ეს ბისმარკს მიანებეს, კონსერვატორთ დაუქვემდებარეს. ამ ნაირათ ეკონომიიში გაბატონდა ლიბერალი-ბურჟუაზია, ხოლო პოლიტიკაში კონსერვატორიაზნაურობა. იმ აქარის ბისმარკის გამარჯვების საიდუმლოება. ბისმარკი ფეხ და ფეხ მიყვება ამ ორ პარტიის და თავის სასწორს ხან ერთისკენ გადახრის, ხან მეორესკენ. მათი მოთხოვნილებათა დროიანათ შეგნება და დაკმაყოფილება, — ამ მისი პოლი-

ტიკა. აღებ მრცემობა, მრეწველობა განვითარდა და უმაღლეს ხარისხამდე ავიდა. ამას ზედ დაერთო საფრანგეთისგან აღებული ხარჯი — ხუთი მილიარდი და მრეწველობის საქმეც აყვავდა. მარა 1873 და 74 წ. წ. მოხდა დიდი სამრეწველო კრიზისი. გერმანიის მრავალი ფაბრიკა, ბანკები და კანტორები დაიკეტა. ბაზარი აივსო საქონლით, ამას მიუმატეთ უცხოეთიდან უბაჟოთ შემოტანილი საქონელიც, ამან საშინლათ დასცა ფასები. მეორეს მხრით, მრავალი მუშა უსაქმოთ და მაშასადამე ულუკმა-პუროთ დარჩა, რის გამო სამეურნო ნაწარმოების ფასიც დაეცა. ამ ნაირათ წაბორძიკდა ნაწარმოების ორივე დარგი: საქართველო სამრეწველო და სამეურნეო. ახლა კი წინანდელ ლიბერალებმა ხმა აიმაღლეს საღამოუნო ბაჟების აწევისათვის და თავის წარმოების ფეხზე წამოყებისათვის. ბის-მარკიც უცებ შემოტრიალდა და რეიხსტაგში განაცხადა: თავის-უფალი ვაჭრობა ზარალია, პროტექციონიზმი სასარგებლოაო ამ ნაირათ იწყება 1878 წლიდან ახალი საეკონომიკო პოლიტიკა. დამოუწის კედლით შინაური წარმოების შემოზღუდვა და მით პურის, ხორცის, ტანისამოსის და ფეხ-საცმელის — ყველაფრის, რაც კი საჭიროა ადამიანისათვის — გაძვირება. ეს არის გაძვირების პოლიტიკა. მეურნეობამ თავისი ეკონომიკია გააკეთა, ის ახლა მსოფლიო ბაზარს აღარ ეძებს, შინაურ ბაზარს თხოულობს და მით კმაყოფილია. ასე და ამნაირათ, ეკონომიურ მსვლელობამ გაბატონებული პარტიები ბისმარკითურ პროტექციონიზმის გზას დააყენა, რაც გამოიხატა რეიხსტაგის მიერ მიღებულ საბაჟო კანონებში 1879 წელს 12 ივნისს. უცხოეთის ხორბლის ბაჟმა 1879 წ. ააღწია 14 მილიონ მარკამდე, 1883 წელს 19 მილიონ მარკამდე. 1885 წ. ხელ-ახლა ასწიეს ბაჟი, რაღაც აშკარა იყო, რომ მიუხედავათ ბაჟისა, პური მაინც შემოდიოდა. მაშინ კი ბაჟის ფული 30 მილიონამდე ავიდა. 1887 წ. კიდევ აწიეს და ასე დაუსრულებრივ. ახლა ვიკითხოთ: აქვს ამას სოციისტურ კითხვასთან და მუშათა პარტიისთან კავშირი? ძრიელ მჭიდრო.



მუშა ხალხს ცხოვრება ხელოვნურათ გაუჭირეს და მითია უფრო
 ჭირებაში ჩავდეს. მისი ჯიბიდან ახლა მეტი ფული უნდა
 ამოვიდეს, რომ წინანდებურათ იცხოვროს. შინაურ მწარ-
 მოებლებმა გარეშე მოცილენი მოიშორეს და მყიდველთა
 ჯიბეს საკუთრათ დაეპატრონენ. ეს მყიდველი მუშა-ხალხია, ის
 ხალხი, რომელიც არაფერს თავისის არ აწარმოებს და მაშა-
 სადამე ბაჟების სირგებლობაში არავითარი წილი არ უდევს.
 ეს ნიშნავს აი რას: დღეს გირვანქა პური ლირს ვ კაპეიკი; ხვალ
 მოლის მეპურე და აცხადებს: პურის ბაჟები ასწიეს, უცხო ხორბა-
 ლი არ შემოდის და ამისთვის სამი კაპეიკის მაგიერ ერთი შაური
 უნდა გადაგახდევინო. ეს არის მუშათა კეთილდღეობის აღორ-
 ძინება? ეს კიდევ ცოტაა. ბისმარკი სხვა გზითაც ფიქრობს მუშათა
 პარტიას სამოქმედო ნიადაგი გამოაცალოს. ეს გზაა გადასახა-
 დების მოწყობა. გერმანია გააერთიანა და მას ჯარიც უნდა
 ყავდეს დარაჯათ. ხოლო ამისთვის ფულია საჭირო. ბისმარკი
 თავიდანვე იმას ცდილობს, თუ ეს ფული საიდან გამოძებნოს.
 1877 წ. ბისმარკი შეიმუშავა ახალი პლანი გადასახადების
 რეფორმების, რაიცა მდგომარეობდა იმაში, რომ რამე ნაი-
 რით ასი მილიონი შემოსავალი მეტი მიელო. ეს რეფორმაა
 თამბაქოს მონაპოლიის შემოღება. 1878 წ. მთავრობამ გა-
 მოსცა შეერთებული მთავრობის მიმართ ეგრედ წოდებული
 დეკამბრის წერილი, სადაც 200 მილიონი ახალი გარდასახა-
 დი მოითხოვა, რის განხორციელება 1879 წლიდან უნდა
 დაიწყოს. პირველით თამბაქოს ბაჟი 2 მარკიდან 45 მარკაზე
 იყვანეს (დოკელ-ცენტნერი), ამასთანავე უცხოეთის თამბა-
 ქოს ბაჟიც ასწია. 1881 წელს შემოიღეს ბაჟები ლატარიაზე,
 აქციეპზე, და სხვა. ამ კანონს მიემხრენ კონსერვატორები,
 ლიბერალები, და ზოგი კლერიკალებიც. ჩვეულებრივათ რა-
 საც ნაციონალ-ლიბერალები გააშავებდენ, კლერიკალები ათე-
 თრებდენ და რასაც უკანასკნელნი ეწინააღმდეგებოდენ, პი-
 რველნი მოემხრობდენ, ამით უოველოვის ბისმარკის უმრავ-
 ლებობა შედგა. ნაციონალ-ლიბერალებს გამოსცილდენ ზოგი

წევრნი და ბაჟების პოლიტიკასთან საბძოლველათ პროგრე-
სისტებს შეურთდენ. ის აქედან დაიბადა ახალი პარტია. პა-
რტია თავისუფალ მოაზრეთა, რომლის მეთაური ევგენი რიხ-
ტერი შეიქმნა. თავისუფალი მოაზრე იმიტომ ქვია, რომ
პრუსის ლანტაგში ის მცავრობის საეკვლესიო კანონების
წინააღმდეგი შეიქმნა და მოითხოვა სარწმუნოების საქმეში
მეტი თავისუფლება. ეკონომიკურ საქმეში ის სრული თავისუფ-
ლების მომხრე და ყოველივე ბაჟების და პროტექციონიზმის
წინააღმდეგია. ეს პარტია უფრო ფინანსისტების, ბირჟის
პარტიას შეადგენს, ამიტომ მას კონსერვატორები უწინების
პარტიას უწოდებენ. ამათ 1884 წლის პროგრამაშია: თავი-
სუფლება ბეჭვდის, სიტყვის, ყრილობის. ყველა პირთა და
პარტიათა თანასწორობა კანონის წინაშე, მუშა-ხალხის კეთილ
დღეობის გაუმჯობესობა, ბრძოლა სახელმწიფო სოციალიზმის
წინააღმდეგ (ბისმარკის), ბრძოლა წინააღმდეგ მონოპოლიისა,
ბაჟებისა და პროტექციონიზმისა. ეს უფრო გატარებული
ლიბერალიზმია. ის იღვწის როგორც ეკონომიკური ისე პო-
ლიტიკური თავისუფლებისათვის. მიუხედავათ ამისა 1884 წ.
და შემდეგ ბაჟების პოლიტიკა უმაღლეს ხარისხს იღწევს.
1878 წლიდან 1879 წელს სახელმწიფო კასაში ბაჟებიდან
შემოვიდა 242 მილიონი მარკა, 188¹/₈₂, 368 მილიონი,
188⁴/₈₅ წელს 375 მილიონი, 188⁷/₈₈ წ. 417 მილიონი,
188⁹/₉₀ წელს 629 მილიონ მარკა. ამნაირათ ხალხის ჯიბეს
ამოდენა ფული ამოაცალეს. ის რაში მდგომარეობს არა
პირდაპირი გადასახადი. განვირდა თმბაქო, სასმელი, (ლი-
ქორი, არაყი, ლუდი, ლვინი და სხვა) საქმელი და ყველა-
ფერი ეს მხოლოთ ხაზინას და მაწარმოებელთ (მემამულენი
და ბურუუაზია) სასარგებლოთ. ის თურმე ეს ასწევს მუშათა
კეთილ დღეობას, ეს გადასჭრის სოციალურ კითხვას! ათის
წლის განმავლობაში თვითეულ სულზე არა პირდაპირი გა-
დასახადი 5 მარკიდან 13 მარკამდე ასწიეს. ამასთანავე იწყება
აგრეთვე პრემიების პოლიტიკა შაქრის, მაგარი სასმელების

და სხვა. ნაწარმოებების მწარმოებლებთ მიენიჭა ეგრედ წოდებული პრემიები იმ მიზნით, რომ საზღვარ გარეთ გაიტანონ და უცხოეთის ნაწარმოებთ კონკურენცია გაუწიონ. ხოლო შიგნით შაქრის აქციზი აწიეს; აგრეთვე დაბაჟულია ჭარხალი. ასე რომ შაქარი სამშობლოში გააძირეს და ამავე დროს საზღვარ გარეთ გააიაფეს. ჩვენ აქ შორს წაგვიყვანს ყველა ასეთ ზომების ჩამოთვლა, საკმარისია ითქვას ის, რომ ეს გაძვირების პოლიტიკა სულ უხუთავს მუშა ხალხს და ამდიდრებს მწარმოებლებთ და ხაზინას. ეს პოლიტიკა შემთხვევითი კი არა, აუცილებელი მოვლენაა. გერმანიაში დღეს ორი კლასი ბატონობს: ბურგუაზია და მემამულენი და ესენი ცდილობენ, რასაკვირველია, სახელმწიფოს ჩარხი თავის სასარგებლოთ გადაატრიალონ. მეორე მხრით სახელმწიფო მუდამ ფულს თხოულობს თავის მხედრობის, მოხელეების და სხვათა გასაძლიერებლათ. აი ეს ფული ხალხის ჯიბიდან ამოაქვთ სხვადასხვა შეუმჩნეველი თუ შემჩნეული ფორმით.

ამ ნაირათ კაპიტალიზმი და მილიტარიზმი — ეს ორი და მმანი ერთმანეთს ძირს უმაგრებენ და მხარს უჭერენ. მათ შორის მჭიდრო კაგშირია. ისინი ან ერთათ უნდა დაინგრენ ან ერთათ უნდა დარჩენ. მათი დამნგრევი გერმანიაში დღეს ერთათ ართი პარტიაა — ის რომელიც კანონს გარეშე დააყენეს, ჯაჭვით კლდეზე მიაბეს. აი ამან ისევე უნდა იწყვატოს და მოქმედების თავისუფლება მოიპოვოს. მაგრამ ეს ნიშნავს ბისმარკის რეინის პოლიტიკის დამსხვრევას და მით თვით ბისმარკის დაცემას. აქმდე ჩვენ დავინახეთ, ბისმარკი როგორ ართმევს ხალხს და აძლევს შეძლებულთ, ამას ეწოდება ბისმარკის არისტოკრატიული სოციალიზმი. მაგრამ მას კიდევ აქვს შენახული მეორე სოციალიზმი, სპეციალურათ ხალხისთვის, ეს იხატება ერთი სიტყვით: დაზღვევა. ეს დაზღვევის პოლიტიკაა. მუშა ხალხის სავალდებულო დაზღვევა დასახიჩრებისა, სიბერის, ავათ მყოფობის და სხვა შემთხვევისგან.

ამის თანხა შედგები: მუშების, პატრონების და ხაზინის ჯი-
ბიდან. მარა რაღვანაც ხაზინის ჯიბე—ეს ხალხის ჯიბეა, რჩება
ზედ მეტი პატრონები—კაპიტალისტები, რომელნიც მუშებს
მთელს სიცოცხლეში ამუშავებენ და მათ სასარგებლოთ
ორიოდე გროშს იმეტებენ. ეს ასე ვთქვათ მოწყალებაა, მო-
წყალება კანონით სავალდებულო მუშამ სამოცდა ათ წლამ-
დე ფული უნდა იხადოს, ხოლო შემდეგ კი დახმარებას მი-
იღებს. ეს-არის სიბერისაგან დაზღვევა. სოციალდემოკრატები
ცდილობდენ რეიხსტაგში, ეს 70 წელი 65 ზე მაინც ჩამოე-
ყვანათ, რაღვანაც მუშა იშვიათათ აღწევს 70 წელსაო. ეს
რასაკვირველია, უარყოფილი იქნა. ერთათ ერთი მიზანიც
სასარგებლო დაწესებულება არის ავათ მყოფობისაგან დაზ-
ღვევა, ამ შემთეხვევაში ექიმი, წამალი და სავათმყოფ მუქთათ
აქვს ავათმყოფ მუშას. მაგრამ ამ საქმისათვის კაპიტალისტე-
ბი არას იხდიან. ეს ერთიანათ მუშათა ხარჯით ინახება.

მაგრამ ამ დაზღვევამ სხვა გავლენა იქნნია, ვინემ ბის-
მარქს ეგონა. მუშა-ხალხი ამით დარწმუნდა, რომ მისი მოთ-
ხოვნილება და მოძრაობა კანონიერია, რომ თვითონ სახელ-
მწიფო იძულებულია მუშათა პოლიტიკის გზაზე დადგეს და
სხვა. ერთხელ რეიხსტაგში ბებელმა სოჭა: სიმართლე მოგახ-
სენოთ, სოციალისტურ მოძრაობას ძალიან ხელი შეუწყო
იმ გარემოებამ, რომ ბისმარქმა ზოგი ჩვენი სოციალური
მოთხოვნილება იცნო. მხოლოდ ამ საქმეში ჩვენ ოსტატი
ვართ და ის კი მოწაფე. და მართლაც მოწაფე აღმოჩნდა.
ბისმარქმა, იმ მიზნით, რომ სოციალისტებს ნიადაგს გამო-
ვაცლიო, მუშებს იმედები გაუძლიერა. მათი ბედ-ილბლის
შემსუბუქება კანონიერათ სცნო. სოციალური კითხვის გადაჭრა
მოინდომა, მაგრამ ყველა-ეს გაძვირების პოლიტიკით ერთის
მხრით და დაზღვვის პოლიტიკით მეორეს შერიც. ეს ორი
ზოგა ერთმანეთს ძირიანათ ეწინააღმდეგებიან. აი ამ წინაღმდე-
გობაში უნდა იტრიალოს ყველა დღევანდელ შემრიგებელ
მოღვაწემ, იმათ, რომელთაც კაპიტალისტების და მუშების

ინტერესების შერიგება სურთ. ასეთი სკამზე ჯდომის შედეგია ორივედან ჩამოვარდნა და მიწაზე პრაგვანის მოდენა, ბისმარკის პოლიტიკა ამ ჩამოვარდნის გზაზე შედგა და რაღა გასაკვირველია, რომ „რკინის კანცელირი“ ასპარეზს გამომშვიდობებოდა. და მართლაც, მუშათა მოძრაობა ვერც აკრძალვამ შეაფერხა და ვერც რეფორმებმა, პირიქით ის უფრო და უფრო გაიზარდა და გამძლავრდა. ცხადია. ბისმარკის „სოციალისტურ კანონი“ მიზანს ვერ მიაღწია და ამიტომ რეიხსტაგს ის არა ერთხელ გაუუქმებია, მარა ბისმარკი მაინც არ აუქმებდა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააძლიერა მუშათა უკამაყოფილება, რასაც ყურადღება მიაქცია ახალ გამეფეხულ ვილჰელმ მეორემ და გადასწყვიტა ბისმარკის ძალმომრეობის მოშლა და ხალხის დამშვიდება. ბისმარკი რასაკვარველია წინააღმდეგი იყო და იძულებული გახდა შთავრობას გამოშორებოდა 1890 წ. ბისმარკის დაცემა და „სოციალისტურ კანონის“ გაუქმება ერთათ მოხდა. მუშათა პარტია ცნობილ იქმნა კანონიერ პარტიათ და აიც გამოვიდა თავის დაფარულ აღგილებიდან, შეიმუშავა ახალი პროგრამა და მოაწყო ახალი ორგანიზაცია. ორივე ეს მან მოახდინა თავის კონგრესებზე ქალაქ პალეში 1890 წ. და ქ. ერფურტში 1891¹). დაიბადა ერფურტის პროგრამა, რომელიც დღემდის სახელმძღვანელოთ იქვს არა მარტო ვერმანის, არამედ მრავალ სხვა ქვეყნის სოციალდემოკრატიასაც.

ამ ეამათ ვერმანის სოციალ დემოკრატიულ პარტიაში ითვლება სამი მილიონი წევრი - ამომრჩეველი, ყავს 80 დეპუტატი რეიხსტაგში, აქვს მრავალი ქურნალ-გაზეთები პარ-

,) პარტიის საორგანიზაციო წესდების პირველი მუხლი ამბობს: „პარტიის წევრია ყველა ის, ვინც პარტიის პროგრამის დედა-აზრებს იღებს და პარტიას შეძლების დავვარათ ეხმარება“.

ତୀରୀଳ ଉଠଗାନିଶାପ୍ରିଯାତା ଫ୍ରେଗରିର ହୃଦୟରେ ଅତାଶି, ଖମ୍ବେଲିନିପୁ ହୃ-
ଗୁଣିଲାର୍ଯ୍ୟାଲାତ ଯେମାର୍ଯ୍ୟବିନ ପାରତୀରୀଶ ଫ୍ରେଲାଇତ ଦା ଶ୍ରେଷ୍ଠ ଏକତ୍ରିତ୍ୟରି
ମୋଲ୍ଦାର୍ଫ୍ରେଣ୍ଡିଟ. ପ୍ରସ୍ତରା ପାରତୀରୀ କଲେବ୍ୟଲାନିବ୍ସ ଖମ୍ବେଲିନିପୁ ହୃପ୍ରେ-
ଶିତ, ଯେ ସିଦ୍ଧାନ୍ତିକିତ, ଫ୍ରିନ୍ ମିଲିଶ ଶିଥାଲାନିଦ ମୁଦ୍ରାତା ପାରତୀରୀ ଦା
ଯେତେ ମୋଲ୍ଦାର୍ଫ୍ରେଣ୍ଡିଟ ଅନ୍ତର୍ଦ୍ଵାରା ପରିଚ୍ଛାଯାଇଲା ମେପ୍ୟୁର୍ଯ୍ୟବିନ...



• • •

